სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომის ოქმი #2

ქ. თბილისი 2026 წლის 30 მარტი

**სხდომას ესწრებოდნენ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრები:**

1.ნაზირა კაკულია 2. ლელა ბახტაძე 3. ივა ბახტაძე 4. ლუკა გიორგობიანი 5. გიორგი გოროზია 6. ნიკა სამხარაძე 7. ლია მაჭავარიანი 8. მარიამ ახალკაციშვილი 9. მაკა მურვანიძე 10. ლუკა გერგედავა 11. მაია ივანიძე 12. ირა აქუბარდია 13. ნინო გოგნიაშვილი 14. ბარბარა მახარაძე 15. რევაზ გაჩეჩილაძე 16. ლუკა ტაბიძე 17. ლილი მამუკაშვილი 18. ვლადიმერ მარგველაშვილი 19. თინა ქიტუაშვილი 20. ია კირვალიძე 21. არჩილ ხომასურიძე 22. კახაბერ ლორია 23. თეა ქარჩავა 24. მარიამ მახარობლიძე 25. ქეთევან ჭეიშვილი 26. ზურაბ გაიპარაშვილი 27. ციური სუმბაძე 28. სოფიო ხუციშვილი 29. ლალი ახალბედაშვილი 30. ადა ნემსაძე 31. თეიმურაზ მაჩაიძე 32. თამილა ჩალაძე 33. გიორგი მამარდაშვილი 34. ედიშერ ფუტკარაძე 35. მანანა ნიკოლაიშვილი 36. მარინე ხუციშვილი 37. გვანცა გვანცელაძე 38. ნოდარ ლომიძე 39. თეა შავაძე (დანართი 1)

**სხდომაზე დამსწრე აკადემიური საბჭოს წევრები:** 1. ივანე ამირხანაშვილი 2. თეიმურაზ ბარქაძე 3. თამარ გაგოშიძე 4. ირაკლი დვალიძე 5. თამარ ვეფხვაძე 6. ლია თოთლაძე 7. ვახტანგ მაღრაძე 8. მარინე მაჭავარიანი 9. ელიზბარ ნადარაია 10. ლევან საბაური 11. ნინო სადრაძე 12. ზაქარია ქიტიაშვილი 13. კახაბერ ქოიავა 14. რამაზ ქურდაძე 15. ნინო შარაშიძე 16. ალექსანდრე შენგელაია 17. თემურ შენგელია 18. ედიშერ ცხადაძე 19. მაია ძაგანია 20. მარი წერეთელი 21. ქეთევან ხუციშვილი (დანართი 2)

წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) სპიკერმა, ვლადიმერ მარგველაშვილმა საბჭოს წინაშე დასვა დღის წესრიგის წარმოდგენილი სახით დამტკიცების საკითხი.

**დღის წესრიგი:**

1. სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებისთვის სტატუსის შეწყვეტის შესახებ (მომხსენებელი: გიორგი ოქიტაშვილი);

2. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის 2025 წლის ანგარიშის მოსმენის შესახებ (მომხსენებელი: შოთა ფოთოლაშვილი);

3. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2025 წლის ანგარიშის მოსმენის შესახებ (მომხსენებელი: ნათია მეტრეველი);

4. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2025 წლის ანგარიშის დამტკიცების შესახებ (მომხსენებელი: ლაშა საღინაძე);

5. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მობილური ტელეფონების სატენი აპარატების გაზიარების სერვისის მიწოდების მიზნით, უნივერსიტეტის სარგებლობაში/საკუთრებაში არსებულ ცაკლეულ ლოკაციებზე მათი განთავსებისათვის ფართების იჯარის წესით გადაცემის შესახებ (მომხსენებელი: ლაშა საღინაძე);

6. სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სარგებლობაში არსებული, ქ. თბილისში, ტატა (ტატიანა) თვალჭრელიძის ქ. N11- ში მდებარე უძრავი ქონებიდან (15653 კვ.მ. მიწის ფართი) 975 კვ.მ მიწის ნაკვეთის (ს/კ 01.14.16.008.024) საქართველოს საპატრიარქოსათვის პირდაპირი მიყიდვის ფორმით, სიმბოლურ ფასად 1 (ერთი) ლარად საკუთრებაში გადაცემის შესახებ, ეკლესიის მშენებლობის მიზნით (მომხსენებელი: ლაშა საღინაძე);

7. ქ. თბილისში, უნივერსიტეტის ქ. N11-ში (ახალი მისამართი: უნივერსიტეტის ქ. N48) მდებარე, უნივერსიტეტის საკუთრებაში არსებული 90 767 კვ.მ არასასოფლოსამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ 01.14.06.006.116) სამ ნაწილად დაყოფისა და დაყოფის შედეგად 883 კვ.მ ფართის ადგილმონაცვლეობის (გაცვლის) შესახებ (მომხსენებელი: ლაშა საღინაძე);

8. სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საკუთრებაში არსებული 1125 კვ.მ. მიწის ფართობის (საკადასტრო კოდი: 01.14.06.006.133) და 172 კვ.მ. ფართობის (საკადასტრო კოდი: 01.14.06.006.133), 10 (ათი) წლის ვადით იჯარის უფლებით გაცემის შესახებ (მომხსენებელი: ლაშა საღინაძე).

დღის წესრიგი დამტკიცდა ერთხმად;

1. წარმომადგენლობითი საბჭოს სამდივნოს უფროსმა, გიორგი ოქიტაშვილმა სხდომის მონაწილეებს გააცნო ინფორმაცია წარმომადგენლობითი საბჭოს წევრთა სტატუსის

შესახებ. აღნიშნა, რომ უნივერსიტეტის პერსონალის მართვის დეპარტამენტიდან მოწოდებული ინფორმაციით, აკადემიურ თანამდებობაზე არჩევის ვადა ამოეწურა ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის აკადემიურ პერსონალს - ამირან ბიბილაშვილს. ასევე, სენატის წევრის სტატუსი უწყდებათ სენატის წევრ სტუდენტებს - ალექსანდრე გაბაშვილსა და ლუკა მამალაშვილს, უნივერსიტეტის ადმინისტრაციაში დამხმარე პერსონალის პოზიციებზე დასაქმების გამო, ხოლო სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის წარმომადგენელს, აკადემიურ პერსონალს -ნათია სვანიძეს, სტატუსი უწყდება პირადი განცხადების საფუძველზე. არც ერთ წევრს უფლებამონაცვლე არ ჰყავს.

**საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა:**

**მომხრე: 39**

**წინააღმდეგი: 0**

**მიღებული გადაწყვეტილება:**

შეუწყდეთ სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს წევრის სტატუსი: 1. ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის აკადემიურ პერსონალს - ამირან ბიბილაშვილს; 2. სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის აკადემიურ პერსონალს - ნათია სვანიძეს; 3. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტ წევრს - ლუკა მამალაშვილს და 4. სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტ წევრს - ალექსანდრე გაბაშვილს (დანართი 3).

**2.** თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, შოთა ფოთოლაშვილმა წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომის მონაწილეებს წარუდგინა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის 2025 წლის ანგარიში პრეზენტაციის სახით.

მომხსენებელმა ვრცლად ისაუბრა სამსახურის მიერ 2025 წელს განხორციელებულ პროექტებზე, აქტივობებზე. კერძოდ, ყურადღება გაამახვილა ისეთ საკითხზე, როგორიცაა საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების ხელშეწყობა, ისაუბრა ინსტიტუციური განვითარების შესახებ გატარებულ ღონისძიებებზე, კომუნიკაციაზე ხარისხის უზრუნველყოფის გარე აქტორებთან და ინსტიტუციებთან, სამსახურის სხვა

საქმიანობასა და სამსახურის თვითშეფასებისა და შემდგომი განვითარების პერსპექტივებზე და სხვა.

აღნიშნა, რომ უფრო დეტალური ინფორმაცია წარმომადგენლობითი და აკადემიური საბჭოს წევრებს დაგზავნილი ჰქონდათ გასაცნობად, დადგენილი წესით.

პრეზენტაციის დასრულების შემდგომ სხდომა გაგრძელდა კითხვა-პასუხის რეჟიმში.

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა:

მომხრე: 39

წინააღმდეგი: 0

**მიღებული გადაწყვეტილება:** ცნობად მიღებული იქნეს თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის 2025 წლის ანგარიში (დანართი 4)

**3**. დღის წესრიგის მე-3 საკითხთან დაკავშირებით საკითხის მომხსენებელმა, რექტორის აპარატისა და აკადემიური საბჭოს სამდივნოს უფროსის მ.შ ნათია მეტრეველმა წარმოადგინა უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2025 წლის ანგარიში.

აღნიშნა, რომ 2025 წლის განმავლობაში ჩატარდა აკადემიური საბჭოს 14 სხდომა, 3 წარმომადგენლობითი და აკადემიური საბჭოების ერთობლივი სხდომა. აკადემიური საბჭოს მიერ მიღებულ იქნა 92 დადგენილება, ხოლო წარმომადგენლობით საბჭოს გაეგზავნა 7 წარდგინება.

მომხსენებელმა ისაუბრა 2025 წლის განმავლობაში აკადემიური საბჭოს მიერ მიღებული დადგენილებების შესახებ, რომელიც შეეხებოდა ისეთ საკითხებს, როგორიცაა: შრომის ანაზღაურების ოდენობა და პირობები, პროფესორთა აკადემიურ თანამდებობებზე არჩევა და კონკურსთან დაკავშირებული ღონისძიებები, საკონკურსო და საკონკურსო-სააპელაციო კომისიების შემადგენლობების დამტკიცების, თსუ საპატიო დოქტორის წოდებისა და ფილიპე გოგიჩაიშვილის სახელობის მედლის მინიჭების, ასევე სასწავლო პროცესთან დაკავშირებული საკითხები, ანკეტა-კითხვართან, საგანმანათლებლო პროგრამებთან დაკავშირებული თემები და სხვა.
აღნიშნა, რომ უფრო დეტალური ინფორმაცია წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებს დაგზავნილი ჰქონდათ გასაცნობად, დადგენილი წესით.

**საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა:**

მომხრე: 39

წინააღმდეგი: 0

**მიღებული გადაწყვეტილება:** ცნობად იქნეს მიღებული სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2025 წლის ანგარიში (დანართი 5);

**4.** თსუ ადმინისტრაციის უფროსმა, ლაშა საღინაძემ წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომის მონაწილეებს წარუდგინა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის 2025 წლის ანგარიში, რომელიც მოიცავდა 2025 წელს განხორციელებულ მნიშვნელოვან ღონისძიებებსა და პროექტებს. აღინიშნა, რომ ანგარიში კანონით დადგენილი წესით და დადგენილ ვადაში გადაეგზავნათ როგორც აკადემიური საბჭოს, ასევე წარმომადგენლობითი საბჭოს.

მომხსენებელმა დეტალურად ისაუბრა ისეთ საკითხებზე, როგორიცაა: ფინანსური მართვა, ინფრასტრუქტურის განვითარება, თსუ უსაფრთხოების გაძლიერების მიმართულებით გადადგმული ნაბიჯები, სტუდენტთა ხელშეწყობა, კარიერის მხარდამჭერი სერვისები, საერთო საცხოვრებლის სერვისები, საბავშვო უნივერსიტეტი, სამეცნიერო-კვლევების ხელშეწყობა, საზოგადოებასთან ურთიერთობა, საბიბლიოთეკო საქმიანობა, საგამომცემლო საქმიანობის ხელშეწყობა, საინფორმაციო ტექნოლოგიები, საგარეო ურთიერთობები, სასწავლო პროცესის ეფექტური მხარდაჭერა, ადამიანური რესურსების მართვა. ისაუბრა ასევე ისეთ საკითხებზე, როგორიცაა: უწყვეტი განათლება, კულტურული და სპორტული მიმართულების მხარდაჭერა, სამუზეუმო საქმიანობა, პროფესიული განათლება. თსუ კანცლერმა, ლაშა საღინაძემ დამსწრე საზოგადოებას მოახსენა უახლესი გეგმებისა და პერსპექტივების შესახებ.

პრეზენტაციის დასრულების შემდგომ სხდომა გაგრძელდა კითხვა-პასუხის რეჟიმში. მომხსენებელმა განმარტა, რომ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების დაფინანსების წესთან დაკავშირებით მიმდინარეობს შეხვედრები და დისკუსიები. მოსალოდნელია უახლოეს პერიოდში კონკრეტული გადაწყვეტილებები ამ კუთხით.
წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერმა, მედიცინის ფაკულტეტის წარმომადგენელმა, ვლადიმერ მარგველაშვილმა, კიდევ ერთხელ ისაუბრა მედიცინის ფაკულტეტის უნივერსიტეტის სივრცეში დატოვების მნიშვნელობასა და საჭიროებაზე. ასევე, ხაზი გაუსვა ამ საკითხზე მსჯელობის გაგრძელების აუცილებლობას.

**საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა:**

მომხრე: 39

წინააღმდეგი: 0

**მიღებული გადაწყვეტილება:** დამტკიცდეს სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2025 წლის ანგარიში წარმოდგენილი სახით (დანართი 6).

**5.** აღინიშნა, რომ უნივერსიტეტში შემოსულია შპს „ვიჩარჯის" წერილი, მობილური ტელეფონების სატენი აპარატების გაზიარების სერვისის მიწოდების მიზნით, უნივერსიტეტის სარგებლობაში/საკუთრებაში არსებულ ცალკეულ ლოკაციებზე მათი განთავსებისათვის, 3 წლის ვადით, ფართების იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე.
აღნიშნული საკითხი განხილული იქნა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების დროებით სარგებლობაში გაცემისა და საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების გასხვისების საკითხების განმხილველი მუდმივმოქმედი კომისიის (სხდომის ოქმი 25.03.2026წ. კ/ნ N 6336/10 25.03.2026წ) მიერ და მიღებული იქნა გადაწყვეტილება, რომ აღნიშნული მობილური ტელეფონების სატენი აპარატურის განთავსების მიზნით გამოცხადდეს აუქციონი იჯარის წესით ფართების გაცემის თაობაზე (თითოეულ ლოკაციაზე 0.5 კვ.მ, 3 წლის ვადით). აღნიშნული ფართების სავარაუდო ადგილმდებარეობად განისაზღვრა ის ადგილები, სადაც დღეის მდგომარეობით განლაგებულია და ფუნქციონირებს ვენდინგის აპარატები (თსუ-ს: პირველი სასწავლო კორპუსის ნულოვანი სართული; მე-2 სასწავლო კორპუსის პირველი სართული; მე-3 სასწავლო კორპუსის ფოიე; მე-5 სასწავლო კორპუსის ფოიე; მე-10 სასწავლო კორპუსის ფოიე; მე-11 სასწავლო კორპუსის ფოიე; ცენტრალური ბიბლიოთკის ფოიე).

**საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა:**

**მომხრე: 39**

**წინააღმდეგი: 0**

**მიღებული გადაწყვეტილება:** გაიცეს თანხმობა სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მობილური ტელეფონების სატენი აპარატების გაზიარების სერვისის მიწოდების მიზნით მათ განთავსებაზე, უნივერსიტეტის სარგებლობაში/საკუთრებაში არსებულ ქვემოთჩამოთვლილ ლოკაციებზე ფართების იჯარის წესით, 3 (სამი) წლის ვადით, დადგენილი წესით, გადაცემაზე:
ა) ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. N1 - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, პირველი სასწავლო კორპუსის, ნულოვან სართლზე - 0,5 კვ/მ.;
ბ) ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. N3 - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, მეორე სასწავლო კორპუსის, შესასვლელში 0,5 კვ/მ.;

გ) ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. N11ბ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, მესამე სასწავლო კორპუსის, შესასვლელში - 0,5 კვ/მ.;
დ) ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. N36 - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, მეხუთე სასწავლო კორპუსის, შესასვლელში - 0,5 კვ/მ.;
ე) ქ. თბილისი, უნივერსიტეტის ქუჩა N19 - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, მეათე სასწავლო კორპუსის (მაღლივი), შესასვლელში - 0,5 კვ/მ.;
ვ) ქ. თბილისი, უნივერსიტეტის ქუჩა N50 - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, მეთერთმეტე სასწავლო კორპუსის შესასვლელში - 0,5 კვ/მ.;
ზ) ქ. თბილისი, უნივერსიტეტის ქუჩა N48 - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის შესასვლელში - 0,5 კვ/მ.
(დანართი 7).

**6.** წარმომადგენლობითი საბჭოს წინაშე განსახილველად და შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად წარმოდგენილი იქნა საკითხი - სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სარგებლობაში არსებული, ქ. თბილისში, ტატა (ტატიანა) თვალჭრელიძის ქ. N11- ში მდებარე უძრავი ქონებიდან (15653 კვ.მ. მიწის ფართი) 975 კვ.მ მიწის ნაკვეთის (ს/კ 01.14.16.008.024) საქართველოს საპატრიარქოსათვის პირდაპირი მიყიდვის ფორმით, სიმბოლურ ფასად 1 (ერთი) ლარად საკუთრებაში გადაცემის შესახებ, ეკლესიის მშენებლობის მიზნით.
აღინიშნა, რომ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მდივნმა, დეკანოზ მიქაელ ბოტკოველმა ამ თხოვნით მიმართა სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს. ამ უკანასკნელის მიერ კი წერილი, თანდართული მასალებით, გადმოიგზავნა საქართველოს განათლების, მეცნიერების და ახალგაზრდობის სამინისტროსა და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, განხილვის, კომპეტენციის ფარგლებში მოსაზრებების, ინფორმაციისა და წინადადებების მიწოდების მიზნით.
აღინიშნა, რომ ქონება უნივერსიტეტის სარგებლობაშია.

საკითხზე გაიმართა დისკუსია. თსუ ილია ვეკუას გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტის წარმომადგენლის თეა შავაძის მიერ, უნივერსიტეტის საჭიროებებიდან გამომდინარე, დაფიქსირდა უარყოფითი პოზიცია უნივერსიტეტის ქონების გადაცემასთან დაკავშირებით. მსჯელობის შედეგად ანალოგიური პოზიცია გამოითქვა წარმომადგენლობითი საბჭოს წევრთა უმრავლესობის მხრიდან.

**საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა:**

**მომხრე: 1**

**წინააღმდეგი: 38**

**მიღებული გადაწყვეტილება:** ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამომავლო საჭიროებების გათვალისწინებით, მიზანშეუწონლად იქნეს

მიჩნეული სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სარგებლობაში არსებული, ქ. თბილისში, ტატა (ტატიანა) თვალჭრელიძის ქ. N11- ში მდებარე უძრავი ქონებიდან (15653 კვ.მ. მიწის ფართი) 975 კვ.მ მიწის ნაკვეთის (ს/კ 01.14.16.008.024) სახელმწიფოსათვის გადაცემა. თსუ ადმინისტრაციის მხრიდან უზრუნველყოფილი იქნეს, საჭიროების შემთხვევაში, შემდგომი კონსულტაციები შესაბამის სახელმწიფო სტრუქტურებთან და საქართველოს საპატრიაქტოსთან, თსუ წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების გათვალისწინებით (დანართი 8).

**7.** წარმომადგენლობითი საბჭოს წინაშე განსახილველად და შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად წარმოდგენილი იქნა საკითხი - ქ. თბილისში, უნივერსიტეტის ქ. N11-ში (ახალი მისამართი: უნივერსიტეტის ქ. N48) მდებარე, უნივერსიტეტის საკუთრებაში არსებული 90 767 კვ.მ არასასოფლოსამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ 01.14.06.006.116) სამ ნაწილად დაყოფისა და დაყოფის შედეგად 883 კვ.მ ფართის ადგილმონაცვლეობის (გაცვლის) შესახებ.
აღინიშნა, რომ საბურთალოს საქალაქო სასაფლაოს წითელ ხაზებს გარეთ მოწყობილია საფლავები, რომელიც მდებარეობს უნივერსიტეტის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შ.პ.ს. „ჰერმესი“ ითხოვს ამ მიწის ნაკვეთის (883 კმ.მ) თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრაციას, რათა შემდგომში ეს მიწის ნაკვეთი შეუერთდეს საქალაქო სასაფლაოს წითელ ხაზებს.
როგორც თსუ კანცლერმა აღნიშნა, მიწის ნაკვეთის მონაცვლეობა, სენატის თანხმობის შემთხვევაში, განხორციელდება უნივერსიტეტის საკუთრებაში არსებული ფართის უცვლელად.
საკითხის ირგვლივ გაიმართა დისკუსია. იმის გათვალსიწინებით, რომ შ.პ.ს. „ჰერმესის“ მხრიდან ადრეც ჰქონდა ადგილი თსუ მიწის ნაკვეთის საზღვრების დარღვევას, სენატს მიზანშეწონილად მიაჩნია, პრევენციის მიზნით, კომპანიისთვის გარკვეული ვალდებულებების დაკისრება.

**საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა:**

**მომხრე: 37**

**წინააღმდეგი: 2**

**მიღებული გადაწყვეტილება:** გაიცეს თანხმობა ქ. თბილისში, უნივერსიტეტის ქ. N11-ში (ახალი მისამართი: უნივერსიტეტის ქ. N48) მდებარე, უნივერსიტეტის საკუთრებაში არსებული 90 767 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ 01.14.06.006.116) სამ ნაწილად დაყოფისა და დაყოფის შედეგად 883 კვ.მ ფართის ადგილმონაცვლეობაზე (გაცვლაზე), დადგენილი წესით, იმ პირობით, რომ შ.პ.ს. „ჰერმესის“ მიერ უზრუნველყოფილი იქნება მიწის ნაკვეთის საზღვრების დაცვა და განხორციელდება მიწის საზღვარზე შესაბამისი გამყოფი/დამცავი კონსტრუქციის (ბარიერის) მოწყობა (დანართი 9).

**8.** წარმომადგენლობითი საბჭოს წინაშე განსახილველად და შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად წარმოდგენილი იქნა საკითხი - უნივერსიტეტის საკუთრებაში არსებული 1125 კვ.მ. მიწის ფართობის (საკადასტრო კოდი: 01.14.06.006.133) და 172 კვ.მ. ფართობის (საკადასტრო კოდი: 01.14.06.006.133), 10 (ათი) წლის ვადით იჯარის უფლებით გაცემის თაობაზე.
აღინიშნა, რომ შპს „დოტ77“, რომელსაც იჯარის წესით აღებული აქვს უნივერსიტეტის საკუთრებაში არსებული, უნივერსიტეტის ქ. #50-ში მდებარე უძრავი ქონებიდან (საკადასტრო კოდი: 01.14.06.006.133), შენობის ნულოვან სართულზე მდებარე 455 კვ.მ. ფართი, 10 წლის ვადით, საიჯარო ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების ჯეროვნად შესრულებისათვის ითხოვს შენობის ნულოვან სართულზე მდებარე 172 კვ.მ. ფართის და 1125 კვ.მ. მიწის ფართის იჯარით, 10 წლის ვადით გადაცემას, სადაც მოეწყობა ტირთან დამოუკიდებელი შესასვლელი. წერილში აღნიშნულია, რომ ვიზიტორები ხელს არ შეუშლიან სასწავლო პროცესს და ობიექტი იფუნქციონირებს უსაფრთხოების ყველა სტანდარტის დაცვით. ამასთან, მოხდება ტერიტორიის კეთილმოწყობა უსასყიდლოდ და უპირატესად მოემსახურება უნივერსიტეტის სტუდენტებს და აკადემიურ პერსონალს. ამასთან  უსასყიდლოდ განხორციელდება უნივერსიტეტის მიერ მითითებული ორი ფართის გარემონტება და ეზოს უკანა მხრიდან მოხდება დამოუკიდებელი შესასვლელის მოწყობა.
აღინიშნა, რომ საკითხი განხილული იქნა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების დროებით სარგებლობაში გაცემისა და საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების გასხვისების საკითხების განმხილველი მუდმივმოქმედი კომისიის (სხდომის ოქმი 19.02.2026წ. კ/ნ N 3742/10 24.02.2026წ) მიერ და მიღებული იქნა დადებითი გადაწყვეტილება.

**საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა:**

**მომხრე: 38**

**წინააღმდეგი: 1**

**მიღებული გადაწყვეტილება:** გაიცეს თანხმობა,  სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საკუთრებაში არსებული 1125 კვ.მ. მიწის ფართობის (საკადასტრო კოდი: 01.14.06.006.133) და 172 კვ.მ. ფართობის (საკადასტრო კოდი: 01.14.06.006.133), 10 (ათი) წლის ვადით, დადგენილი წესით, იჯარის უფლებით გაცემის თაობაზე, დადგენილი წესით (დანართი 10).

წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი ვლადიმერ მარგველაშვილი



წარმომადგენლობითი საბჭოს მდივანი გიორგი ოქიტაშვილი



წარმომადგენლობით საბჭოს 2026 წლის 30 მარტის სხდომის ოქმი №2,

დანართი 1

სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

წარმომადგენლობითი საბჭოს წევრები (2026 წლის 30 მარტი, #2 სხდომა)

## ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

**აკადემიური პერსონალი**

1. ნაზირა კაკულია -

2. ნინო ფარესაშვილი -

3. ლელა ბახტაძე -

4. მარინა მაისურაძე -

**სტუდენტები:**

1.საბა გოგიბერიძე -

2. ივა ბახტაძე –

3. ლუკა გიორგობიანი –

4. გიორგი გოროზია –

5. ლუკა რუხაძე –

6. ნიკა სამხარაძე -

## ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი

**აკადემიური პერსონალი:**

1. ლია მაჭავარიანი-
2. მარიამ ახალკაციშვილი-
3. მაკა მურვანიძე-

**სტუდენტები:**

1. მარიამ ვარდოსანიძე-
2. ვასილ ბერიძე-
3. ხატია ყველაშვილი -

4. ლუკა გერგედავა -

## იურიდიული ფაკულტეტი

**აკადემიური პერსონალი:**

1.მაია ივანიძე-

2. ირა აქუბარდია –

3. ნინო გოგნიაშვილი -

**სტუდენტები:**

1. ბარბარა მახარაძე-

2. ანი ქიტიაშვილი –

3. ლუკა ჯანჯღავა -

## სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

**აკადემიური პერსონალი:**

1. ხათუნა მაისაშვილი-

2. ნათია სვანიძე-

3. რევაზ გაჩეჩილაძე -

**სტუდენტები:**

1. კახა კუჭუხიძე-

2. ლუკა ტაბიძე -

## ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი

**აკადემიური პერსონალი:**

ვლადიმერ გამსახურდია-

**სტუდენტები:**

1. ლილი მამუკაშვილი –

2. ნინი ჯავახიშვილი -

## მედიცინის ფაკულტეტი

**აკადემიური პერსონალი:**

1. ვლადიმერ მარგველაშვილი-
2. თინა ქიტუაშვილი-
3. ია კირვალიძე –
4. ლალი შარვაძე –
5. არჩილ ხომასურიძე -

**სტუდენტები:**

1.ასჰრაფ მაკკი ელკჰალიფა მოჰამედ-

2.დემეტრე აბესაძე -

## ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

**აკადემიური პერსონალი:**

1. კახაბერ ლორია-
2. ანასტასია ზაქარიაძე-

3. მანანა რუსიეშვილი-

4. თეა ქარჩავა-

5. ნათია ფიფია -

**სტუდენტები:**

1. გიორგი არქანია-

2. მარიამ ბაღათურია -

3. მარიამ მახარობლიძე –

4. ქეთევან სტურუა –

5. ქეთევან ჭეიშვილი -

**საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკა**

ზურაბ გაიპარაშვილი-

**ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკა**

ნინო პავლიაშვილი-

ალექსანდრე ნათიშვილის მორფოლოგიის ინსტიტუტი

ციური სუმბაძე-

ალექსანდრე ჯანელიძის სახელობის გეოლოგიის ინსტიტუტი

სოფიო ხუციშვილი-

კავკასიის ალ. თვალჭრელიძის სახელობის მინერალური ნედლეულის ინსტიტუტი

ლალი ახალბედაშვილი-

შოთა რუსთაველის ლიტერატურის ინსტიტუტი

ადა ნემსაძე-

ელეფთერ ანდრონიკაშვილის სახელობის ფიზიკის ინსტიტუტი

თეიმურაზ მაჩაიძე-

ვახუშტი ბაგრატიონის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტი

თამილა ჩალაძე-

ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის სახელობის ინსტიტუტი

გიორგი მამარდაშვილი-

**თინათინ წერეთლის სახელობის სახ. და სამართლის ინსტიტუტი**

ედიშერ ფუტკარაძე-

**მ. ნოდიას გეოფიზიკის ინსტიტუტი**

მანანა ნიკოლაიშვილი-

**პეტრე მელიქიშვილის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტი**

**რაფიელ აგლაძის არაორგანული ქიმიის და ელექტროქიმიის ინსტიტუტი**

მარინე ხუციშვილი-

**პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი**

ეთერ კაკულია-

**არნოლდ ჩიქობავას ენათმეცნიერების ინსტიტუტი**

ტვანქა ტვანცელაძე-

## მაღალი ენერგიების ფიზიკის ინსტიტუტი

ნოდარ ლომიძე-

## ი. ვეკუას გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტი

თეა შავაძე-

## ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტი

ალექსი პაჭკორია-

წარმომადგენლობით საბჭოს 2026 წლის 30 მარტის სხდომის ოქმი №2,

დანართი 2

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომაზე დამსწრე აკადემიური საბჭოს წევრთა სია

(2026 წლის 30 მარტი, N2 სხდომა)

1. სამუშია ჯაბა, რექტორი, აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე -
2. ამირხანაშვილი ივანე -
3. ბაქრაძე თეიმურაზ -
4. გაგოშიძე თამარ -
5. გავაშელი ცისმარი -
6. გუჯეჯიანი როზეტა -
7. დვალიძე ირაკლი -
8. ეფრემიძე ლაშა -
9. ვეფხვაძე თამარ -
10. ზოიძე თამარ -
11. თოთლაძე ლია -
12. ლომინაძე გიორგი -
13. მაღრაძე ვახტანგ -
14. მაჭავარიანი მარინე -
15. ნადარაია ელიზბარ -
16. საბაური ლევან -
17. სადრაძე ნინო -
18. ქიტიაშვილი ზაქარია -
19. ქოიავა კახაბერ -
20. ქურდაძე რამაზ -
21. შარაშიძე ნინო -

22. შენგელაია ალექსანდრე -

23. შენგელია თემურ -

24. ცისკარიძე ალექსანდრე -

25. ცხადაძე ედიშერ -

26. ძაგანია მაია -

27. წერეთელი მარი -

28. ხუციშვილი ქეთევან -

წარმომადგენლობითი საბჭოს 2026 წლის 30 მარტის სხდომის ოქმი №2, დანართი 3

N 2492/10 10.02.2026

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი
საბჭოს სამდივნოს უფროსს ბ-ნ გიორგი ოქიტაშვილს

ბატონო გიორგი,

გაცნობებთ, რომ თსუ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრს, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებულ პროფესორს ამირან ბიბილაშვილს 2026 წლის 4 მარტს ეწურება აკადემიურ თანამდებობაზე არჩევის ვადა. გთხოვთ, გაითვალისწინოთ.

გოჩა ჯანელიძე

დეპარტამენტის უფროსი
პერსონალის მართვის დეპარტამენტი

Chancellery Chancellery <chancellery@tsu.ge>

# Fwd: განცხადება სენატის წევრის სტატუსის შეწყვეტაზე

1 წერილი

**Natia Svanidze** <natia.svanidze@tsu.ge>
5 თებერვალი, 2026, 20:14

ვის: Chancellery Chancellery <chancellery@tsu.ge>

ნათია სვანიძე

ასოცირებული პროფესორი

ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის მიმართულება

თსუ-ს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

თსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) წევრი

+995 591 83 82 82

---

**ნათია სვანიძე-განცხადება სენატის წევრის სტატუსის შეწყვეტზე.pdf**
58K

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერს,
ბატონ მამუკა მარგველაშვილს

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) წარმომადგენლობითი საბჭოს სამდივნოს უფროსს,
ბატონ გიორგი ოქიტაშვილს

თსუ სენატის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის წარმომადგენლის,

ასოცირებული პროფესორის, ნათია სვანიძის

(ტელ: 591838282)

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

გთხოვთ, ოჯახური მდგომარეობიდან გამომდინარე, შემიწყვიტოთ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრის სტატუსი.

წინასწარ გიხდით მადლობას.

პატივისცემით,

ნათია სვანიძე ნ. სვანიძე

05.02.2026 წ.

N 6525/10 27.03.2026

სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
წარმომადგენლობითი საბჭოს სამდივნოს უფროსს
ბატონ გიორგი ოქიტაშვილს

ბატონო გიორგი,

გაცნობებთ, რომ ალექსანდრე გაბაშვილი და ლუკა მამალაშვილი დასაქმებულნი არიან სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დამხმარე თანამდებობებზე. კერძოდ, ალექსანდრე გაბაშვილი - კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის სპორტის განყოფილების უფროსის თანამდებობაზე, ხოლო ლუკა მამალაშვილი საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტის ტექნიკური მხარდაჭერის განყოფილებაში წამყვანი სპეციალისტის თანამდებობაზე.

გთხოვთ გაითვალისწინოთ.

პატივისცემით

გოჩა ჯანელიძე

დეპარტამენტის უფროსი
პერსონალის მართვის დეპარტამენტი

წარმომადგენლობითი საბჭოს 2026 წლის 30 მარტის სხდომის ოქმი №2, დანართი 4

N 6467/10
26.03.2026

6467-10-3-202603261653

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს

# წ ა რ დ გ ი ნ ე ბ ა

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №135/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების“ მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „ჟ“ ქვეპუნქტის საფუძველზე წარმოგიდგენთ სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2025 წლის ანგარიშს.

დანართი: 12 გვერდი

ჯაბა სამუშია

რექტორი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ილია ჭავჭავაძის გამზ. 1, 0179 თბილისი, საქართველო
1, Ilia Tchavtchavadze Ave., 0179 Tbilisi, Georgia
http://www.tsu.edu.ge
ტელ: +(995 32) 225 04 84 Tel.
ელ-ფოსტა: academic.council@tsu.ge E-mail.

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო

# 2025 წლის ანგარიში

მომზადებულია „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „ო“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №135/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების“ მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „ჟ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, რომლის მიხედვით, აკადემიური საბჭო წლიურ ანგარიშს წარუდგენს წარმომადგენლობით საბჭოს.

შესავალი

2025 წლის განმავლობაში ჩატარდა აკადემიური საბჭოს 14 სხდომა, 3 წარმომადგენლობითი და აკადემიური საბჭოების ერთობლივი სხდომა. აკადემიური საბჭოს მიერ მიღებულ იქნა 92 დადგენილება, ხოლო წარმომადგენლობით საბჭოს გაეგზავნა 7 წარდგინება.

**2025 წელს:**

**დამტკიცდა:**

- სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს შემადგენლობა (დადგენილება №25/2025, 06.05.2025).
- სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე საგანმანათლებლო ერთეულის - პროფესიული განათლების ცენტრის 2025-2031 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმა (დადგენილება №60/2025, 30.09.2025).
- სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში კლინიკურ მედიცინის დარგში პროფესორ თენგიზ ცერცვაძის სახელობის მედლისა და პრემიის მინიჭების წესი (დადგენილება №81/2025, 26.11.2025).
- სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე ცნობილი მთარგმნელის და პოლიგლოტის, პროფესორ ერეკლე ტატიშვილის სახელობის პრემიის მინიჭების წესი (დადგენილება №82/2025, 26.11.2025).

**დაინიშნა:**

- სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) წევრთა არჩევნები (დადგენილება №28/2025, 06.05.2025).

**შეიქმნა:**

- საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე სამეცნიერო ერთეულის - ჩერქეზული (ადიღეური) კულტურის ცენტრი (დადგენილება №90/2025, 25.12.2025).

*დამტკიცდა შემდეგი ახალი საგანმანათლებლო პროგრამები:*

- სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა - ორგანიზაციის ტრანსფორმაცია და კონსულტირება;

- სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა - სოციალური მეცნიერებები: თანამედროვე საქართველო;

- სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ერთობლივი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა - კომპიუტერული სოციალური მეცნიერებები განვითარებისათვის;

- სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთობლივი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა - ბავშვის უფლებები;

- სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ზალცბურგის პარის ფონ ლოდრონის უნივერსიტეტისა და საქართველოს საზოგადოებრივ ურთიერთობათა ინსტიტუტის ერთობლივი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა - ერთობლივი სამაგისტრო პროგრამა პოლიტიკის მეცნიერება - ინტეგრაცია და მმართველობა.

## *შრომის ანაზღაურების ოდენობა და პირობები*

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდეგში – კანონი) 21–ე მუხლის პირველი პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №135/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების (შემდეგში – წესდება) მე-8 მუხლის „პ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, აკადემიური საბჭო ადგენს აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების წესს, შრომის ანაზღაურების ოდენობასა და პირობებს და დასამტკიცებლად წარუდგენს წარმომადგენლობით საბჭოს.

„სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის შრომის ანაზღაურების (თანამდებობრივი სარგო) ოდენობისა

და პირობების დადგენის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2013 წლის 4 ოქტომბრის №112/2013 დადგენილებაში 2025 წლის განმავლობაში ცვლილება შეტანილ იქნა 2025 წლის 31 მარტის №14/2025 დადგენილებით.

*პროფესორთა აკადემიურ თანამდებობებზე არჩევა და კონკურსთან დაკავშირებული ღონისძიებები*

კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „ს“ ქვეპუნქტის, წესდების მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „ც“ ქვეპუნქტისა და „სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩატარების ერთიანი წესის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2014 წლის 22 დეკემბრის №118/2014 დადგენილების საფუძველზე, აკადემიურმა საბჭომ მიიღო 26 დადგენილება <u>პროფესორთა აკადემიურ თანამდებობებზე არჩევის, გათავისუფლების, ასევე კონკურსთან დაკავშირებული სხვა ღონისძიებების გატარების თაობაზე:</u>

– “სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტზე პროფესორების, ასოცირებული პროფესორებისა და ასისტენტ-პროფესორების აკადემიურ თანამდებობებზე არჩევის შესახებ“ (დადგენილება №1/2025, 3.02.2025);
– “სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე ასისტენტ-პროფესორების აკადემიურ თანამდებობებზე არჩევის შესახებ“ (დადგენილება №2/2025, 3.02.2025);
– “სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე პროფესორისა და ასოცირებული პროფესორების აკადემიურ თანამდებობებზე არჩევის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2019 წლის 22 ივლისის №91/2019 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ (დადგენილება №17/2025, 31.03.2025);
– „სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტზე პროფესორების, ასოცირებული პროფესორებისა და ასისტენტ-პროფესორების აკადემიურ თანამდებობებზე არჩევის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2018 წლის 18 ივნისის №157/2018 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ (დადგენილება №22/2025, 31.03.2025);
– “სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტზე პროფესორის, ასოცირებული პროფესორებისა და ასისტენტ-პროფესორების აკადემიურ თანამდებობებზე არჩევის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2024 წლის 7 ოქტომბრის №115/2024 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ (დადგენილება №24/2025, 06.05.2025);
– „სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტზე ასოცირებული პროფესორებისა და ასისტენტ-პროფესორის აკადემიურ თანამდებობებზე არჩევის შესახებ“ (დადგენილება №31/2025, 03.06.2025);

– „სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტზე ასოცირებული პროფესორებისა და ასისტენტ-პროფესორის აკადემიურ თანამდებობებზე არჩევის შესახებ“ (დადგენილება №44/2025, 12.09.2025);

– „სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე პროფესორებისა და ასოცირებული პროფესორების აკადემიურ თანამდებობებზე არჩევის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2018 წლის 30 ივლისის №185/2018 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ (დადგენილება №47/2025, 12.09.2025);

– “სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე ასისტენტ-პროფესორებისა და ასისტენტების აკადემიურ თანამდებობებზე არჩევის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2024 წლის 29 აპრილის №60/2024 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ (დადგენილება №59/2025, 30.09.2025);

– „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე ასისტენტ-პროფესორების აკადემიურ თანამდებობებზე არჩევის შესახებ“ (დადგენილება №61/2025, 17.10.2025);

– სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე ასოცირებული პროფესორებისა და ასისტენტ-პროფესორების აკადემიურ თანამდებობებზე არჩევის შესახებ“ (დადგენილება №63/2025, 17.10.2025);

– „სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე პროფესორის, ასოცირებული პროფესორებისა და ასისტენტ-პროფესორების აკადემიურ თანამდებობებზე არჩევის შესახებ“ (დადგენილება №64/2025, 17.10.2025);

– „სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე ასოცირებული პროფესორისა და ასისტენტ-პროფესორის აკადემიურ თანამდებობებზე არჩევის შესახებ“ (დადგენილება №65/2025, 17.10.2025);

– „სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე ასოცირებული პროფესორებისა და ასისტენტ-პროფესორების აკადემიურ თანამდებობებზე არჩევის შესახებ“ (დადგენილება №67/2025, 27.10.2025);

– „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე ასოცირებული პროფესორების აკადემიურ თანამდებობებზე არჩევის შესახებ” (დადგენილება №68/2025, 27.10.2025);

– „სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე ასოცირებული პროფესორისა და ასისტენტ-პროფესორების აკადემიურ თანამდებობებზე არჩევის შესახებ“ (დადგენილება №69/2025, 27.10.2025);

– „სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე ასოცირებული პროფესორების აკადემიურ თანამდებობებზე არჩევის შესახებ” (დადგენილება №71/2025, 27.10.2025);

– „სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტზე ასისტენტ-პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე არჩევის შესახებ“ (დადგენილება №72/2025, 27.10.2025);

– „სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტზე ასოცირებული პროფესორებისა და ასისტენტ-პროფესორების აკადემიურ თანამდებობებზე არჩევის შესახებ” (დადგენილება №74/2025, 10.11.2025);

– „სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტზე ასისტენტ-პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე არჩევის შესახებ” (დადგენილება №75/2025, 10.11.2025);

– „სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე ასოცირებული პროფესორების აკადემიურ თანამდებობებზე არჩევის შესახებ” (დადგენილება №76/2025, 10.11.2025);

– „სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე ასოცირებული პროფესორების აკადემიურ თანამდებობებზე არჩევის შესახებ” (დადგენილება №78/2025, 10.11.2025);

– “სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე პროფესორებისა და ასოცირებული პროფესორების აკადემიურ თანამდებობებზე არჩევის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2018 წლის 30 ივლისის №184/2018 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე” (დადგენილება №80/2025, 26.11.2025);

– სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე ასოცირებული პროფესორების აკადემიურ თანამდებობებზე არჩევის შესახებ” (დადგენილება №84/2025, 26.11.2025);

– „სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე არჩევის შესახებ” (დადგენილება №87/2025, 25.12.2025);

– „სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე ასოცირებული პროფესორების აკადემიურ თანამდებობებზე არჩევის შესახებ” (დადგენილება №88/2025, 25.12.2025).

### *საკონკურსო და საკონკურსო-სააპელაციო კომისიების შემადგენლობების დამტკიცება*

კანონის 21–ე მუხლის პირველი პუნქტის „ს“ ქვეპუნქტის, წესდების მე–8 მუხლის პირველი პუნქტის „ც“ ქვეპუნქტისა და „სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩატარების ერთიანი წესის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2014 წლის 22

დეკემბრის №118/2014 დადგენილების საფუძველზე, მიღებულია 17 დადგენილება, რომლებიც ეხება საკონკურსო და საკონკურსო-სააპელაციო კომისიების შემადგენლობების დამტკიცებას:

– “სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტზე ასოცირებული პროფესორებისა და ასისტენტ-პროფესორის აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად შესარჩევი საკონკურსო და საკონკურსო-სააპელაციო კომისიების შემადგენლობების დამტკიცების შესახებ“ (დადგენილება №26/2025, 06.05.2025);
– “სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტზე ასოცირებული პროფესორებისა და ასისტენტ-პროფესორის აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად შესარჩევი საკონკურსო და საკონკურსო-სააპელაციო კომისიების შემადგენლობების დამტკიცების შესახებ” (დადგენილება №32/2025, 03.06.2025);
– “სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე ასოცირებული პროფესორებისა და ასისტენტ-პროფესორების აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად შესარჩევი საკონკურსო და საკონკურსო-სააპელაციო კომისიების შემადგენლობების დამტკიცების შესახებ“ (დადგენილება №48/2025, 12.09.2025);
– “სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე ასოცირებული პროფესორებისა და ასისტენტ-პროფესორების აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად შესარჩევი საკონკურსო და საკონკურსო-სააპელაციო კომისიების შემადგენლობების დამტკიცების შესახებ“ (დადგენილება №49/2025, 12.09.2025);
– „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტზე ასოცირებული პროფესორებისა და ასისტენტ-პროფესორების აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად შესარჩევი საკონკურსო და საკონკურსო-სააპელაციო კომისიების შემადგენლობების დამტკიცების შესახებ“ (დადგენილება №50/2025, 12.09.2025);
– „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე პროფესორის, ასოცირებული პროფესორებისა და ასისტენტ-პროფესორების აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად შესარჩევი საკონკურსო და საკონკურსო-სააპელაციო კომისიების შემადგენლობების დამტკიცების შესახებ“ (დადგენილება №51/2025, 12.09.2025);
– „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე ასოცირებული პროფესორებისა და ასისტენტ-პროფესორების აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად შესარჩევი საკონკურსო და საკონკურსო-სააპელაციო კომისიების შემადგენლობების დამტკიცების შესახებ” (დადგენილება №52/2025, 12.09.2025);

– „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტზე ასისტენტ-პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად შესარჩევი საკონკურსო და საკონკურსო-სააპელაციო კომისიების შემადგენლობების დამტკიცების შესახებ“ (დადგენილება №56/2025, 30.09.2025);

– “სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე ასოცირებული პროფესორებისა და ასისტენტ-პროფესორების აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად შესარჩევი საკონკურსო და საკონკურსო-სააპელაციო კომისიების შემადგენლობების დამტკიცების შესახებ” აკადემიური საბჭოს 2025 წლის 12 სექტემბრის №48/2025 დადგენილებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე“ (დადგენილება №57/2025, 30.09.2025);

– “სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე ასოცირებული პროფესორებისა და ასისტენტ-პროფესორების აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად შესარჩევი საკონკურსო და საკონკურსო-სააპელაციო კომისიების შემადგენლობების დამტკიცების შესახებ” აკადემიური საბჭოს 2025 წლის 12 სექტემბრის №52/2025 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ (დადგენილება №58/2025, 30.09.2025);

– „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე ასოცირებული პროფესორების აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად შესარჩევი საკონკურსო და საკონკურსო-სააპელაციო კომისიების შემადგენლობების დამტკიცების შესახებ“ (დადგენილება №62/2025, 17.10.2025);

– “სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე ასოცირებული პროფესორებისა და ასისტენტ-პროფესორების აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად შესარჩევი საკონკურსო და საკონკურსო-სააპელაციო კომისიების შემადგენლობების დამტკიცების შესახებ” აკადემიური საბჭოს 2025 წლის 12 სექტემბრის №52/2025 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ (დადგენილება №66/2025, 17.10.2025);

– “სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე ასოცირებული პროფესორებისა და ასისტენტ-პროფესორების აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად შესარჩევი საკონკურსო და საკონკურსო-სააპელაციო კომისიების შემადგენლობების დამტკიცების შესახებ” აკადემიური საბჭოს 2025 წლის 12 სექტემბრის №52/2025 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ (დადგენილება №70/2025, 27.10.2025);

– „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე ასოცირებული პროფესორების აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად შესარჩევი საკონკურსო და საკონკურსო-სააპელაციო კომისიების შემადგენლობების დამტკიცების შესახებ“ (დადგენილება №73/2025, 10.11.2025);

– „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე ასოცირებული პროფესორების აკადემიური

თანამდებობების დასაკავებლად შესარჩევი საკონკურსო და საკონკურსო-სააპელაციო კომისიების შემადგენლობების დამტკიცების შესახებ“ (დადგენილება №79/2025, 10.11.2025);

– „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტზე ასოცირებული პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად შესარჩევი საკონკურსო და საკონკურსო-სააპელაციო კომისიების შემადგენლობების დამტკიცების შესახებ” (დადგენილება №85/2025, 25.12.2025);

– „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტზე ასოცირებული პროფესორისა და ასისტენტ-პროფესორების აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად შესარჩევი საკონკურსო და საკონკურსო-სააპელაციო კომისიების შემადგენლობების დამტკიცების შესახებ“ (დადგენილება №86/2025, 25.12.2025).

*საპატიო დოქტორის წოდებისა და ფილიპე გოგიჩაიშვილის სახელობის მედლის მინიჭება*

კანონის 21–ე მუხლის პირველი პუნქტის „ს“ ქვეპუნქტის, 39-ე მუხლისა და წესდების მე–8 მუხლის პირველი პუნქტის „ჩ“ და „ძ“ ქვეპუნქტების საფუძველზე, 2025 წელს აკადემიურმა საბჭომ მიიღო 4 დადგენილება საპატიო დოქტორის წოდებისა და ფილიპე გოგიჩაიშვილის სახელობის მედლის მინიჭების შესახებ.

**თსუ–ს საპატიო დოქტორის წოდება მიენიჭათ:**

- **რალფ მიხაელსს** (დადგენილება №4/2025, 03.02.2025);
- **ედვარდ შრამს** (დადგენილება №5/2025, 03.02.2025);
- **ანეგრეტ პლონტკე-ლიუნინგს** (დადგენილება №35/2025, 21.07.2025).

**ფილიპე გოგიჩაიშვილის სახელობის მედალი მიენიჭა:**

- **ვლადიმერ პაპავას** (დადგენილება №43/2025, 12.09.2025).

**სასწავლო პროცესი**

კანონის 21–ე მუხლის პირველი პუნქტის „ს“ ქვეპუნქტისა და წესდების მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „ქ“ და „წ“ ქვეპუნქტების საფუძველზე, აკადემიურმა საბჭომ მიიღო 8 დადგენილება უნივერსიტეტში სასწავლო პროცესის რეგულირების სხვადასხვა საკითხზე:

- “სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის დებულების დამტკიცების შესახებ“ (დადგენილება №6/2025, 03.02.2025);

- „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის დებულების დამტკიცების შესახებ“ (დადგენილება №7/2025, 03.02.2025);
- „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტურის დებულების დამტკიცების შესახებ“ (დადგენილება №8/2025, 03.02.2025);
- „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის დებულების დამტკიცების შესახებ“ (დადგენილება №16/2025, 31.03.2025);
- „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის დოქტორანტურის დებულების დამტკიცების შესახებ“ (დადგენილება №27/2025, 06.05.2025);
- “დოქტორანტურის მინიმალური სტანდარტის დამტკიცების შესახებ” აკადემიური საბჭოს 2024 წლის 13 დეკემბრის №138/2024 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ (დადგენილება №20/2025, 31.03.2025);
- „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტურის დებულების დამტკიცების შესახებ“ (დადგენილება №36/2025, 21.07.2025);
- “სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების პროცედურის დამტკიცების შესახებ” აკადემიური საბჭოს 2019 წლის 22 ივლისის №100/2019 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ (დადგენილება №38/2025, 21.07.2025).

### *ანკეტა-კითხვარი*

კანონის 21–ე მუხლის პირველი პუნქტის „ი“ და „ი¹“ ქვეპუნქტებისა და წესდების მე–8 მუხლის პირველი პუნქტის „ი“, „კ“ და „წ“ ქვეპუნქტების საფუძველზე, აკადემიურმა საბჭომ 2025 წლის განმავლობაში მიიღო შემდეგი დადგენილებები:

- „სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2025-2026 სასწავლო წლის საერთო სამაგისტრო გამოცდების ანკეტა-კითხვარის დამტკიცების შესახებ“ (დადგენილება №3/2025, 03.02.2025);
- „სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მასწავლებლის მომზადების და სპეციალური მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამების 2025-2026 სასწავლო წლის ანკეტა-კითხვარების დამტკიცების შესახებ“ (დადგენილება №12/2025, 13.02.2025);
- “სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2025-2026 სასწავლო წლის საერთო სამაგისტრო გამოცდების ანკეტა-კითხვარის

დამტკიცების შესახებ” აკადემიური საბჭოს 2025 წლის 3 თებერვლის №3/2025 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ (დადგენილება №21/2025, 31.03.2025);

- “სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2025-2026 სასწავლო წლის საერთო სამაგისტრო გამოცდების ანკეტა-კითხვარის დამტკიცების შესახებ” აკადემიური საბჭოს 2025 წლის 3 თებერვლის №3/2025 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე” (დადგენილება №30/2025, 03.06.2025);
- “სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2025-2026 სასწავლო წლის საერთო სამაგისტრო გამოცდების ანკეტა-კითხვარის დამტკიცების შესახებ” აკადემიური საბჭოს 2025 წლის 3 თებერვლის №3/2025 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე” (დადგენილება №45/2025, 12.09.2025);
- “სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მასწავლებლის მომზადების და სპეციალური მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამების 2025-2026 სასწავლო წლის ანკეტა-კითხვარების დამტკიცების შესახებ” აკადემიური საბჭოს 2025 წლის 13 თებერვლის №12/2025 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე” (დადგენილება №46/2025, 12.09.2025).

*საგანმანათლებლო პროგრამები*

კანონის 21–ე მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტისა და წესდების მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, აკადემიურმა საბჭომ „საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ 2011 წლის 29 ივნისის №57/2011 დადგენილებაში ცვლილებები შეიტანა შემდეგი დადგენილებებით: №10/2025, №11/2025, №13/2025, №23/2025, №33/2025, №37/2025, №40/2025, №41/2025, №42/2025, №53/2025, №54/2025, №55/2025, №83/2025, №91/2025.

*სხვა სახის დადგენილებები*

აკადემიურმა საბჭომ, კანონის 21-ე მუხლითა და წესდების მე-8 მუხლით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, ასევე მიიღო შემდეგი დადგენილებები:

- „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დამატებითი სემესტრის სტუდენტის - გიორგი ყაყიდაშვილის - შიდა მობილობაში მონაწილეობის შესახებ” (დადგენილება №9/2025, 03.02.2025);
- „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის ვახუშტი ბაგრატიონის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტის დებულების დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2016 წლის 14 ნოემბრის №134/2016 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე” (დადგენილება №15/2025, 31.03.2025);

- „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2018 წლის 30 აპრილის №116/2018 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე” (დადგენილება №19/2025, 31.03.2025);
- “სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე სამეცნიერო ერთეულის - აფხაზეთის ინსტიტუტის დებულების დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2018 წლის 19 თებერვლის №63/2018 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე” (დადგენილება №18/2025, 31.03.2025);
- “სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისიის დამტკიცების შესახებ” აკადემიური საბჭოს 2018 წლის 26 თებერვლის №79/2018 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე” (დადგენილება №29/2025, 06.05.2025);
- “სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დამატებითი სემესტრის სტუდენტის - ირინე კოკილაშვილის - შიდა მობილობაში მონაწილეობის შესახებ” (დადგენილება №34/2025, 03.06.2025);
- „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტის - თინათინ ცისკარიძისათვის თსუ-ს დოქტორანტურის მინიმალური სტანდარტის მე-11 მუხლის მოთხოვნასთან მიმართებით გამონაკლისის დაშვების შესახებ” (დადგენილება №39/2025, 21.07.2025);
- “სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის ელეფთერ ანდრონიკაშვილის სახელობის ფიზიკის ინსტიტუტის დებულების დამტკიცების შესახებ” აკადემიური საბჭოს 2017 წლის 10 აპრილის №38/2017 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე” (დადგენილება №77/2025, 10.11.2025);
- „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე სამეცნიერო ერთეულის - ევროპის აკადემიის თბილისის რეგიონული ცენტრის (ჰაბი) შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებ” აკადემიური საბჭოს 2019 წლის 4 მარტის N27/2019 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე” (დადგენილება №89/2025, 25.12.2025);
- „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამაზე “მედიაფსიქოლოგია და კომუნიკაციები (ინგლისურენოვანი)“ - ემა კორიდორისა და გაბრიელ ბასილიო დე ოლივეირასთვის - სწავლის უფლების მინიჭების შესახებ” (დადგენილება №92/2025, 25.12.2025).

N 6446/10 26.03.2026

ივანე ჯავახიშვილი სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორს,
აკადემიური საბჭოს თავმჯდომარეს,
ბატონ ჯაბა სამუშიას,
წარმომადგენლობითი საბჭოს თავმჯდომარეს,
ბატონ ვლადიმერ მარგველაშვილს

ბატონო ჯაბა,

ბატონო ვლადიმერ,

სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური აკადემიური და წარმომადგენლობითი საბჭოების წინაშე შუამდგომლობს და განსახილველად წარმოადგენს სამსახურის 2025 წლის ანგარიშს.

პატივისცემით,

დანართი: 1 ერთეული (46 გვერდი).

შოთა ფოთოლაშვილი

სამსახურის უფროსი
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური

ივანე ჯავახიშვილის
სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

# წლიური ანგარიში 2025

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური

შინაარსი


1. შესავალი ....4
2. საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების ხელშეწყობა ....7
2.1 ხარისხის შიდა უზრუნველყოფა ....8
2.1.1 საგანმანათლებლო პროგრამების კოლეგიური შეფასება ....9
2.1.2 აკადემიური მოსწრებისა და სწავლის შედეგების ანალიზი ....11
2.1.3 გამოკითხვები და მიზნობრივი კვლევები ....12
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის გამოკითხვები და მიზნობრივი კვლევები ....12
2.1.3.1ხელოვნური ინტელექტის (AI) გამოყენების შესაძლებლობების შესახებ ....12
2.1.3.2სტუდენტთა გამოკითხვის სოციალური სტატუსის შესახებ ....18
2.1.3.3. პრობლემაზე დაფუძნებული სწავლის (PBL) დანერგვის პრაქტიკის კვლევა ....20
2.1.4 სტუდენტთა მონაწილეობა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებში ....22
2.1.5 საუნივერსიტეტო რეგულაციებისა და ნორმატიული დოკუმენტების შესწავლისა და განხილვისათვის ....22
2.2 ხარისხის გარე უზრუნველყოფა ....25
2.2.1 გარე განმავითარებელ შეფასებათა ციკლი უნივერსიტეტში ....25
2.2.2 უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამების (რე)აკრედიტაციის პროცესი ....25
3. ინსტიტუციური განვითარების შესახებ ....27
3.1 საუნივერსიტეტო საქმიანობაში ხელოვნური ინტელექტის ინტეგრაციის სტრატეგიის (2025-2028) შემუშავების შესახებ ....27
3.2 უნივერსიტეტის პერსონალის განვითარების მხარდაჭერა ....28
3.3 საერთაშორისო საგრანტო კონკურსებში უნივერსიტეტის მონაწილეობის მხარდაჭერა ....29
3.4 ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ჩართულობა საერთაშორისო პროექტებში ....29
3.4.1 ხარისხის მონაწილეობა HORIZON EUROPE პროექტში „ინოვაციური კულტურის ხელშეწყობა ქართული ხელოვნური ინტელექტის მკვლევრების საზოგადოების ახალი თაობისთვის“ (FORGE-AI) ....29
3.4.2 მონაწილეობა ERASMUS+ პროექტში „ხარისხიანი ციფრული განათლების ხელშეწყობა საქართველოში (PRODIGE)“ ....31
3.4.3 მონაწილეობა ERASMUS+ პროექტში ,,კვლევის პასუხისმგებლობიანად წარმართვა – კვლევის კეთილსინდისიერება და ეთიკა ქართულ უნივერსიტეტებში” (ETHICS) ....32
3.5 აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვა ....33
3.6 უნივერსიტეტი საერთაშორისო რანჟირების სისტემაში ....33
3.7 სიახლეები პროფესიული განათლების ცენტრში ....39
3.8 თანამშრომლობა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურებთან ....40
3.9 უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ვებგვერდი ....41
4. თანამშრომლობა ხარისხის უზრუნველყოფის გარე აქტორებთან და ინსტიტუციებთან ....43
4.1 თანამშრომლობა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან, სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრთან და სსიპ-განათლების მართვის საინფორმაციო სისტემასთანს ....44
5. სამსახურის სხვა საქმიანობა ....44
5.1 გარე და შიდა კორესპონდენციის მიმოქცევის შესწავლა და მომზადება ....45
6. სამსახურის თვითშეფასება და შემდგომი განვითარების პერსპექტივები ....45
7. დანართები ....47

## შესავალი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში უნივერსიტეტი) ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური (შემდგომში სამსახური) წარმოადგენს უნივერსიტეტის მართვის ერთ-ერთ ორგანოს. მისი საქმიანობის მიზანი უნივერსიტეტის სერვისების ხარისხის მუდმივი განვითარება და ინსტიტუციაში ხარისხის კულკტურის განუხრელი განვითარებაა. სამსახური მოქმედებს "უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 25-ე და 31-ე მუხლების, უნივერსიტეტის წესდებისა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულების შესაბამისად. თავის საქმიანობაში ის ხელმძღვანელობს ხარისხის უზრუნველყოფის ევროპული ქსელის მიერ შემუშავებული დოკუმენტის "ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტები და სახელმძღვანელო პრინციპები ევროპის უმაღლესი განათლების სივრცეში" და ეროვნული ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სტანდარტების მიხედვით.

სამსახურის საქმიანობის ძირითადი სფეროებია:

ა) უნივერსიტეტში სწავლა-სწავლებისა და კვლევის ხარისხის ამაღლების და აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვის შემდგომი ხელშეწყობა;

ბ) ავტორიზაციისა და კლასტერული აკრედიტაციის პროცესებისთვის თვითშეფასების პროცესის ორგანიზება. პროგრამების გარე შეფასებისთვის მომზადება, ეროვნული და საერთაშორისო აკრედიტაციის მიღების მიზნით;

გ) სწავლის, სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდების დანერგვის ხელშეწყობა;

დ) საერთაშორისო თანამშრომლობისა და საერთოევროპულ საგანმანათლებლო სივრცეში უნივერსიტეტის ინტეგრაციის ხელშეწყობა ხარისხის უზრუნველყოფის პროცესების გაუმჯობესების, საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკის გაზიარებისა და საგანმანათლებლო სივრცეში სიახლეების დანერგვის მიზნით;

ე) უნივერსიტეტში ხარისხის კულტურის გაძლიერება საუნივერსიტეტო შიდა აქტორების, განსაკუთრებით კი სტუდენტების მეტი ჩართულობითა და ცნობიერების ამაღლების გზით მათი თანამონაწილეობით ხარისხის უზრუნველყოფის პროცესებში;

ვ) ინსტიტუციური განვითარების პროცესებში ჩართულობა: ინსტიტუციურ პროცესებზე დაკვირვება, განვითარების ცალკეული ეტაპების შეფასება კომპეტენციის ფარგლებში, ინსტიტუციის ძლიერი და სუსტი მხარეების განსაზღვრა, შესაბამისი აქტივობების დაგეგმვა;

ზ) მონაწილეობა საზოგადოებრივი მსახურებისათვის ინსტიტუციური გარემოს გაუმჯობესებაში - ინსტიტუცია და ფართო საზოგადოება - მესამე მისია.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური აქტიურად თანამშრომლობს უნივერსიტეტის სხვადასხვა სტრუქტურულ ერთეულებთან ინსტიტუციის შემდგომი განვითარების მიზნით უნივერსიტეტის მრავალპროფილური საექსპერტო გამოცილდების საფუძველზე. განსაკუთრებით ნიშანდობლივია მისი თანამშრომლობა ფაკულტეტების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურებთან, რომლებიც წარმოადგენენ უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის ერთიანი სისტემის ნაწილს, თუმც მათი საქმიანობა გარკვეულწილად ეფუძნება ფაკულტეტის დარგებისა და სფეროების სპეციფიკას, რაც ხშირად დარგის განსხვავებულობიდან გამომდინარე დამოუკიდებელი გადაწყვეტილებების საფუძველია. ამასთან ნიშნადობლივია, რომ საერთო საუნივერსიტეტო ინსტიტუციური ჩარჩო იქმნება ფაკულტეტებისა და კვლევითი ინსტიტუტების თანამშრომლობით, რაც ხელს უწყობს სწავლა-სწავლების პროცესის გამრავალფეროვნებას, ინტერდისციპლინარიზმს კვლევის პროცესში და ინსტიტუციის ხილვადობას ადგილობრივ, რეგიონალურ და საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში.

წინამდებარე ანგარიშში წარმოდგენილია სწავლა-სწავლებისა და კვლევის, საუნივერსიტეტო სერვისებისა და მართვის ხარისხის განვითარების მდგომარეობა სანგარიშო პერიოდისათვის 2024 წლის დეკემბრიდან 2025 წლის დეკემბრის ჩათვლით, შედარებულია სამსახურის სამოქმედო გეგმასთან და შემუშავებულია სამსახურის მომავალი წლის განვითარების გეგმის კონტურები და პერსპექტივები ინსტიტუციის წინაშე არსებული გამოწვევების ფონზე.

ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის შემდგომი განვითარება განიხილება როგორც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინსტიტუციური ამოცანა, რომელიც იგეგმება სხვადასხვა ადმინისტრაციული ერთეულების აქტიური ჩართულობით. ინსტიტუციური პროცესები ფოკუსირებულია სამსახურის

მიერ განსაზღვრული ოთხი უმნიშვნელოვანესი მიმართულებით, როგორიცაა სწავლა/სწავლება, კვლევა, ადმინისტრირება/მომსახურება/ტრასფერი და მართვა.
საანგარიშო პერიოდში განისაზღვრა არაერთი მნიშვნელოვანი გამოწვევა, რომელიც უნივერსიტეტმა ინსტიტუციურად განიხილა. მათ შორის უნდა დასახელდეს:

- ინსტიტუციის თანამშრომლობა გარე აქტორებთან ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში მიმდინარე ძირეული ცვლილებებისა და შესაბამისი გამოწვევების ფონზე;
- ინსტიტუციის შიდა შეფასება არსებული საკანონმდებლო ცვლილებებიდან გამომდინარე ახალი ამოცანებისა და შესაბამისი მიზნების განსაზღვრისათვის;
- მზადება უნივერსიტეტის სამოქმედო გეგმის შეფასების პროცესისათვის;
- საუნივერსიტეტო შიდა რეგულაციების რედაქტირება კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებების მოთხოვნების შესაბამისად;
- ცვლილებები გარე შეფასების პროცესებში და ხარისხის შიდა რეგულაციების განახლება;
- მონაწილეობა ახალ საგრანტო კონკურსებში როგორც კვლევით, ისე სწავლების, მომსახურებისა და მართვის მიმართლებით;
- ახალი ერთობლივი და ორმაგი ხარისხის მქონე საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება ინტერნაციონალიზაციის გაფართოების მიზნით;
- საერთაშორისო გარე შეფასებები - ინსტიტუციის ინტერნაციონალიზაციის პროცესის ახლებური ხედვა;
- ინსტიტუციური განვითარების ფარგლებში მიზნობრივი კვლევების მართვა და შედეგების ანალიზი.

დაწესებულებამ მნიშვნელოვანი პერიოდი დაუთმო ავტორიზაციის და სტანდარტებთან შედარების პროცესს, უნივერსიტეტის ყველა აქტორის ერთიანი თვითშეფასების უზრუნველსაყოფად ხარისხთან მიმართებით შემდგომი ინსიტუტციური განვითარებისთვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მისაღებად.
სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2025 წლის დეკემბრისთვის ფუნქციონირებს 215 **საგანმანათლებლო პროგრამა** რომელთაგან 66 ბაკალავრიატის, 94 მაგისტრატურის, 4 ერთსაფეხურიანი (დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის), 2 ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო, 45 დოქტორანტურის, 3 მასწავლებლის (მასწავლებლის და სპეციალური მასწავლებლის მომზადება) და ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამებია, ასევე 18 პროფესიული პროგრამა. სწავლების ენა არის ქართული, თუმცა უნივერსიტეტი ქართველ და უცხოელ სტუდენტებს ასევე სთავაზობს ინგლისურენოვან და ბილინგვურ პროგრამებს ინგლისურ, გერმანულ, ფრანგულ და რუსულ ენებზე. თსუ ანიჭებს ბაკალავრისა და მაგისტრის ორმაგ აკადემიურ ხარისხებს ევროპის წამყვან უნივერსიტეტებთან თანამშრომლობით.
2025 წლის დეკემბრის მონაცემებით უნივერსიტეტში სწავლობს 25983 სტუდენტი, მათ შორის 881 უცხოელი სტუდენტი (მათ შორის: ბაკალავრიატი 144, მაგისტრატურა - 22, ერთსაფეხურიანი - 703, დოქტორანტურა - 11 და პროფესიული 1 სტუდენტი), ხოლო სასწავლო პროცესში ჩართულია 750 აკადემიური და 1553 მოწვეული პერსონალი, მათ შორის 30 უცხოელი. უნივერსიტეტი ქართველ და უცხოელ სტუდენტებს ასევე სთავაზობს ინგლისურენოვან და ბილინგვურ საგანმანათლებლო პროგრამებს ინგლისურ, გერმანულ, ფრანგულ და რუსულ ენებზე (სულ 31 საგანმანათლებლო პროგრამა: 13 ბაკალავრიატის, 12 მაგისტრატურის, 4 დოქტორანტურის და 2 ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა). თსუ-ში მოქმედ საგანმანათლებლო პროგრამებიდან 12 აკრედიტებულია საერთაშორისო სააგენტოების (FIBAA, ABET, ACS, ავსტრიის აკრედიტაციის სააგენტო) მიერ.
სამსახურის 2025

წლის სამოქმედო გეგმით განსაზღვრული კლასტერული და ინდივიდუალური (რე)აკრედიტაციის პროცესის შედეგად უნივერსიტეტში (რე)აკრედიტებულია 17 საგანმანათლებლო პროგრამა (მათ შორის: 3 ბაკალავრიატის (მათ შორის 1 – 180 კრედიტიანი), 4 მაგისტრატურის. უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგს შეემატა 3 ახალი საგანმანათლებლო პროგრამა (1 ბაკალავრიატის, 1 მაგისტრატურის (ავსტრიის სააგენტოს აკრედიტაცია) 1 დოქტორანტურის).

2025 წელს საუნივერსიტეტო სივრცეში განხორციელდა არაერთი გეგმიური და არაგეგმიური მონიტორინგი, რომლის ფარგლებში საგანმანათლებლო პროგრამებმა ერთი მხრივ წარადგინეს ანგარიშები აკრედიტაციის ექსპერტთა და უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების თაობაზე, ხოლო, მეორე მხრივ, განხორციელდა როგორც შესაბამისობა საკვალიფიკაციო ჩარჩოსთან, ისე აკრედიტაციის ექსპერტთა მიერ შეფასდა ყველა ის სიახლე და განმავითარებელი აქტივობა, რომელიც აღირიცხა კონკრეტული საგანმანათლებლო პროგრამების სამწლიან ანგარიშებში (საკვალიფიკაციო ჩარჩოს თავსებადობაზე წარდგენილი იყო 1 საგანმანათლებლო პროგრამა), განმავითარებელი (სამწლიანი) ანგარიში - 16 საგანმანათლებლო პროგრამისათვის (2 ბაკალავრიატის, 4 ერთსაფეხურიანი, 5 მაგისტრატურის, 5 დოქტორანტურის), აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების ანგარიშების შესრულების მიზნით მომზადებული ანგარიშები - 11 საგანმანათლებლო პროგრამაზე, მათ შორის 2 ბაკალავრიატის (მათ შორის 1 180კრედიტიანი), 3 მაგისტრატურის, 2 დოქტორანტურის) ცალკეულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ასევე გაგრძელდება 2026 წელს (სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა და ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებთა ფაკულტეტებზე), დეტალები წარმოდგენილი იქნება წინამდებარე ანგარიშში.

პერიოდულად საგანმანათლებლო პროგრამებმა განიცადეს კონკრეტული ცვლილებები (უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს (7 სხდომაზე) წინაშე წარდგენილი იყო 7 ფაკულტეტის 188 საგანმანათლებლო პროგრამის 53-მდე სხვადასხვა ტიპის ცვლილება; (რე)აკრედიტაციის მიზნით დამტკიცდა 5 კლასტერი (16 პროგრამა) და 9 ინდივიდუალური პროგრამა; დამტკიცდა 2 რედაქტირებული საუნივერსიტეტო შიდა რეგულაცია), რაც გამოწვეული იყო ცალკეულ დარგებში განხორციელებული ინოვაციებით, მთელი რიგი საკანონმდებლო ცვლილებებით, შიდა და გარე შეფასების საფუძველზე ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაციების საგანმანათლებლო პროგრამაში დანერგვით, პროგრამით დაინტერესებულ პირთა მიერ შემოთავაზებული სიახლეების განხილვითა და საგანმანათლებლო პროგრამაში მათი ასახვით. 2025 წელს დაწესებულებამ პრაქტიკულად დაასრულა რეაკრედიტაციის პროცესი ყველა მოქმედ საგანმანათლებლო პროგრამაზე.

2025 წლის საანგარიშო პერიოდში სრული დატვირთვით ამუშავდა საგანმანათლებლო პროცესის ხარისხის კონტროლისა და შეფასების ცენტრი, რომელიც სრულიად ახალი სტრუქტურული ერთეულია და მიზნად ისახავს აკადემიური პროცესზე დაკვირვებას, მონაცემთა შეგროვებასა და ანალიზს, შესაბამისად ანალიზის საფუძველზე რეკომენდაციების გაცემას. ცენტრის დაკვირვების ობიექტივში მოხვდა აკრედიტაციის ექსპერტთა დასკვნები, საგანმანათლებლო პროგრამებში ინიცირებული ცვლილებები; სასწავლო პროცესებთან დაკავშირებული საკითხები, კერძოდ, საგამოცდო შეფასების შედეგების ანალიზი; საგამოცდო პროცედურების გამართულობა; აპელაციის სტატისტიკა და შედეგების ანალიზი. ანალიზის შედეგები, წარედგინა ფაკულტეტი ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურებს მონაცემების, ანალიზის შედეგებისა და რეკომენდაციების პროგრამული კომიტეტების ფარგლებში განხილვისა და რეაგირების მიზნით.

საანგარიშო პერიოდში არაერთი გარე შეფასებისა და ხარისხის სამსახურის მიერ დაგეგმილი შიდა აქტივობების პროცესში დიდი იყო საკუთრივ საუნივერსიტეტო საზოგადოების წვლილი, დაფიქსირდა საკუთრივ აკადემიური პერსონალის აქტიური ჩართულობა როგორც საგანმანათლებლო პროგრამების ფორმირებისა და რედაქტირების პროცესში, ისე უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის მომზადების მიზნით სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ფორმირებულ საბჭოებში მათი აქტიური მონაწილეობით (2025 წელს განახლდა 5 საბჭო და ჩამოყალიბდა - 3 ახალი საბჭო).

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური მუდმივად მხარს უჭერს სამსახურის პარსონალის პროფესიულ განვითარებას როგორც ადგილობრივი, ისე საერთაშორისო ტრენინგების, შეხვედრების, ვებინარებისა, თუ კონფერენციების ფარგლებში. 2025 წელს ამ მიმართულებით გაზიარდა და განხორციელდა **პროფესიული განვითარების ხელშემწყობი ღონისძიებები** ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური (როგორც ცენტრალური, ისე საფაკულტეტო) სპეციალისტების მონაწილეობით, კერძოდ, 30მდე ადმინისტრაციული მობილობა Erasmus+ის პროგრამის ფარგლებში სხვადასხვა თემატიკით, სადაც განხილულ იქნა უმაღლესი განათლების ახალი გამოწვევები.

საანგარიშო პერიოდში საუნივერსიტეტო საზოგადოებისათვის მნიშვნელოვან გამოწვევად შეიძლება ჩაითვალოს  ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში უმაღლესი განათლების სისტემაში მიმდინარე საკანონმდებლო ცვლილებები, რომლის თანახმად დღის წესრიგში დადგა უმაღლესი განათლების პირველი და მეორე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტმოცულობის გადახედვა, ფორმალურ-შინაარსობრივი მოცემულობების შესწავლა და მათი რევიდირება დარგობრივი სპეციფიკისა და მოთხოვნების გათვალისწინებით.
საანგარიშო პერიოდში, გარდა დაგეგმილი საქმიანობისა, როგორიცაა *უნივერსიტეტში სწავლა-სწავლებისა და კვლევის ხარისხის ამაღლების ხელშეწყობა, გარე შეფასების*, ინსტიტუციაში დაგეგმა და განახორციელა არაერთი შიდასაქმიანობის მხარდამჭერი ღონისძიება, კერძოდ, თანამშრომლობა ხარისხის შიდა და გარე აქტორებთან საკანონდებლო ინიციატივების შესწავლის, განხილვის, რეკომედებისა და მხარდაჭერის მიზნით, რაც დეტალურად იქნება მიმოხილული წინამდებარე ანგარიშში.

## 1. საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების ხელშეწყობა

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში არსებულ 7 ფაკულტეტზე 2025 წელს ირიცხება აქტიური სტატუსის მქონე 25983 სტუდენტი, რომელთაგან 19981 ბაკალავრიატის სტუდენტია, 2029 -მაგისტრანტი, 1934 -ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტი, 795 -დოქტორანტი, 101 მასწავლებლის, 562 ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო და 581 ქართულ ენაში მომზადების პროგრამის სტუდენტი. თსუ-ში სწავლობს 881 უცხოელი სტუდენტი. სტუდენტთა რაოდენობით (6491) ყველაზე დიდი ფაკულტეტია ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი, რომელსაც მოსდევს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა (5140), იურიდიული (4335) და ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა (3368) ფაკულტეტები (სხვა ფაკულტეტები: სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა (2448), მედიცინა (2125), ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა (2076)). გასულ საანგარიშო წელთან შედარებით სტუდენტთა კონტიგენტის უმნიშვნელო მატება განპირობებული იყო ერთი მხრივ კონკრეტულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სტუდენტთა გამოცხადებული რაოდენობის მატებით და ახალი საგანმანათლებლო პროგრამების ამოქმედებით. თუმცა სტუდენტთა რაოდენობის ზრდის თვალშისაცემი რიცხვი გასულ საანგარიშო წელთან მიმართებაში არ ფიქსირდება (სულ: 412), რაც განპირობებულია მეტწილად სტატუსშეჩერებულ და მობილობის ფარგლებში გასულ და შემოსულ სტუდენტთა ცვლადი რაოდენობით. სტუდენტთა რაოდენობის ზრდა ინდივიდუალურად დაფიქსირდა იურიდიულ (<358), ეკონომიკისა და ბიზნესის (<255), ფსიქოლოგიისა და განათლების (<189) და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტებზე (<24). გასულ სააგანრიშო წელთან შედარებით სტუდენტთა რაოდენობის კლება დაფიქსირედა: მედიცინის (>223), ზუსტ და საბუნებისმეტყველო (>119) სოციალურ და პოლიტიკურ (>67) და ფაკულტეტებზე, რაც განპირობებული იყო:

- საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩასარიცხ სტუდენტთა კონტიგენტის რაოდენობის მატებით;
- ყოველსემესტრული გარე და შიდა მობილობით;
- შრომის ბაზარზე ცალკეული სფეროებში დარგის სპეციალისტთა მზარდი მოთხოვნით;
- ახალი საგანმანათლებლო პროგრამების შეთავაზებით.

რაც შეეხება სტუდენტთა რიცხოვნობის შემცირებას ზემოხსენებულ სამ ფაკულტეტზე, ამის მიზეზად შესაძლოა დამატებით დასახელდეთ:

- სტუდენტთა ნაკლები ინტერესი ცალკეული საგანმანათლებლო პროგრამებისადმი, რაც შესაძლოა გახდეს საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმების მიზეზიც;
- სწავლა-სწავლებისა და კვლევის, ისევე როგორც საერთაშორისო სტანდარტებისა და მოთხოვნების მაღალი თამასა, რაც ართულებს სასწავლო პროცესს;
- საერთო ეროვნულ გამოცდაზე კომპეტენციის მაღალი ზღვრები და განსხვავებული პრიორიტეტები.




დიაგრამა 1 *სტუდენტთა რაოდენობრივი მაჩვენებელი 2024 და 2025 წელს.*

უნივერსიტეტში ხუთ ფაკულტეტზე: ზუსტ და საბუნებისმეტყველო, ფსიქოლოგიისა და განათლების, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა და ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტებზე ფუნქციონირებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსებული პრიორიტეტული საგანმანათლებლო პროგრამები, რომელზე 2025 წელს დაფიქსირდა სულ 1375 სტუდენტი (დაფინანსებული ადგილების ათვისება პრობლემურია ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა დაკულტეტზე, თუმც ამ შემტხვევაში მაღალია საკუთრივ სტუენტების საგამოცდო რეიტინგი).

გლობალური გამოწვევებიდან და სოციალური ვითარებიდან გამომდინარე სტუდენტთა სტატუსი შეჩერებული ჰქონდა უნივერსიტეტის სტუდენტთა 33,2%-ს (8620), რაც გასული საანგარიშო წლის მონაცემებთან (42%) შედარებით 8,8%-ითაა შემცირებული. 2025 წელს უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამები ემსახურებოდა 881 უცხოელ სტუდენტს (მათ შორის ყველაზე მაღალი დატვირთვა მოდიოდა (703) მედიცინის უცხოურენოვან საგანმანათლებლო პროგრამებზე), რაც შემცირებულია 2024 წლის მაჩვენებელთან მიმართებით 164-ით. თვალში საცემია ასევე სტუდენტთა დენადობის მაჩვენებელი (1555 სტუდენტი, რაც საერთო რაოდენობის დაახლოებით 6%-ია, რაც გულს საანგარიშო წელთან მიმართებით 4% კლებას აჩვენებს.).

საუნივერსიტეტო 7 ფაკულტეტზე 2023 წლის დასასრულს მუშაობდა 215 საგნმანათლებლო პროგრამა უმაღლესი განათლების სამივე საფეხურზე, ხოლო 31 უცხოენოვანი და ბილინგვური საგანმანათლებლო პროგრამა. ფაკულტეტების შესაბამისად სრული სტატისტიკა წარმოდგენილია უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის შესაბამის ვებგვერდზე.

## 2.1 ხარისხის შიდა უზრუნველყოფა

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური განსაზღვრავს ხარისხის შიდა უზრუნველყოფის საკითხებს, გეგმავს შესაბამის აქტივობებს და შეიმუშავებს მათი განხორციელების მიზნით კონკრეტულ სტრატეგიებს, რომელშიც აქტიურად მონაწილეობს საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების მხარდამჭერი კომიტეტები, საფაკულტეტო ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურები და უნივერსიტეტის ცალკეული ადმინისტრაციული ერთეულები, რომელთა მხარდაჭერა საგანმანათლებლო პროგრამების ინსტიტუციურ განვითარებაში არსებითად მნიშვნელოვან როლს თამაშობს. უნივერსიტეტის ახალი სტრატეგიული განვითარების გეგმის თანახმად სამსახურის სამოქმედო გეგმა აქცენტს აკეთებს შემდეგ პრიორიტეტულ საკითხებზე: *საგანმანათლებლო, სამეცნიერო-კვლევითი და ინოვაციური საქმიანობა, მართვის ეფექტიანობა და ინსტიტუციური*

*განვითარება, ისევე როგორც მესამე მისია*, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სამსახურმა 2025 წლის სამუშაო გეგმაში განისაზღვრა შემდგომი ამოცანები:

- ✓ საგანმანათლებლო პროგრამების კოლეგიური შეფასება;
- ✓ აკადემიური მოსწრებისა და სწავლის შედეგების ანალიზი;
- ✓ გამოკითხვები და მიზნობრივი კვლევები:
    - • ხელოვნური ინტელექტის (AI) გამოყენების შესაძლებლობების შესახებ;
    - • სტუდენტთა გამოკითხვის სოციალური სტატუსის შესახებ;
    - • პრობლემაზე დაფუძნებული სწავლის (PBL)დანერგვის პრაქტიკის კვლევა
- ✓ სტუდენტთა ჩართულობა პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებში;
- ✓ საუნივერსიტეტო რეგულაციებისა და ნორმატიული დოკუმენტების შესწავლისა და განხილვისათვის;

### 2.1.1 საგანმანათლებლო პროგრამების კოლეგიური შეფასება

საგანმანათლებლო პროგრამების კოლეგიური შეფასება უმეტესად ეხება აკადემიური ხარისხის უზრუნველყოფის პროცესს, სადაც დარგის სპეციალისტები ან განათლების ექსპერტები ინსტიტუციის ფარგლებში აფასებენ კონკრეტულ საგანმანათლებლო პროგრამას, რაც მიზნად ისახავს საგანმანათლებლო პროგრამის:

- შესაბამისობის დადგენას აკრედიტაციის საერთაშორისო სტანდარტებს, ისევე როგორც თანამედროვე აკადემიურ და დარგობრივ კომპეტენციებს;
- სასწავლო გეგმის, სასწავლო კურსების შინაარსის, სწავლების მეთოდების გაუმჯობესებას;
- განვითარებისათვის მნიშვნელოვან რეკომენდაციების გაცემას;
- მიზნებისა და შედეგების იმგვარად ფორმირებას, რაც მკაფიოდ და გამჭვირვალედ წარმოაჩენს საგანმანათლებლო პროგრამის მნიშვნელობას დასაქმების როგბორც შიდა ისე საერთაშორისო ბაზარზე;
- ინტერნაციონალიზაციასა და საერთაშორისო აღიარებას.

კოლეგიური შეფასება, შესაბამისად, არის ხარისხის კონტროლის ეფექტური ინსტრუმენტი, რომელიც ხელს უწყობს არა მხოლოდ პროგრამის შემოწმებას, არამედ მათი განვითარების სტრატეგიული მიმართულებების განსაზღვრას.

პროგრამების კოლეგიური შეფასების მექანიზმი ერთ-ერთ მნიშვნელოვანი მექანიზმია, რომლის მეშვეობით შესაძლებელია ინსტიტუციის ფარგლებში გაზიარებულ იქნას ახალი გამოცდილება, მომზადდეს დღევანდელი საგანმანათლებლო სივრცისთვის მნიშვნელოვან გამოწვევად აღიარებული ინტერდისციპლინური საგანმანათლებლო პროგრამები და დაიგეგმოს დარგთაშორისი თანამედროვე კვლევები.

2025 წელს კოლეგიური შეფასება ასევე აქტუალური იყო საგანმანათლებლო პროგრამების (რე)აკრედიტაციის პროცესში. კოლეგიურ შეფასებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება კლასტერული აკრედიტაციის პროცესში, სადაც პროგრამის განმახორციელებლი შემაფსხებელთან თანამშრომლობით ხედავს სემანტიკურად ურთიერთდაკავშირებული საგანმანათლებლო პროგრამების, ისევე როგორც მონათესავე დარგების აკადემიური პროცესების თანამკვეთ ამოსავალ წერტილებსა და განვითარების პერსპექტივებს. შეფასების ფარგლებში მარტივად დგინდება სხვადასხვა საგანმანათლებლო საფეხურზე წარმოდგენილი ერთი და იმავე დარგების საგანმანათლებლო პროგრამების განვითარები ხარისხი, ისევე როგორც დგინდება შინაარსობრივი და ფორმალური გადაფარვები, რომლის დამუშავება და კორექტირება ხელს უწყობს საგანმანათლებლო პროგრამებში მეტი დარგობრივი კომპეტენციის მიღებას და კურსდამთავრებულის პროფესიულ განვითარებას.

საანგარიშო პერიოდში შეფასებები დაიგეგმა უწინარეს ყოვლისა ახალი საგანმანათლებლო, მითუმეტეს, თუ მათი კონცეფცია ემყარებოდა ინტერდისციპლინარიზმს და მოითხოვდა სხვადასხვა დარგების აქტიურ ჩართულობას პროგრამის ძირითადი ჩარჩოს მართებული ჩამოყალიბებისათვის.

დაწესებულებას საერთაშორისო დონორებისა და შესაბამისი პროექტების ფარგლებში შესაძლებლობა მიეცა ახალი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის პროცესში შეფასების მიზნით მიემართა საერთაშორისო ექსპერტებისათვის. ამ კოცეფციით შემუშავდა 4 ახალი საგანამანათლებლო პროგრამა (საბერძნეთის, ავსტრიის, ფრანგული, შვედეთის უნივერსიტეტების დარგის ექსპერტების ჩართულობით):

- სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ათენის ეროვნული და კაპოდისტრიული უნივერსიტეტის (NKUA) (National and Kapodistrian University of Athens, Greece) დოქტორანტურის ერთობლივი ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამა - ***განათლებისა და მეცნიერების მმართველობა და ადმინისტრირება*** (საგანმანათლებლო პროგრამა მომზადდა ინოვაცია, ინკლუზიურობა და ხარისხი – საქართველო I2Q (IBRD) პროექტის (P168481) უმაღლესი განათლების სფეროში დაფინანსების შესაძლებლობების გაუმჯობესებისა და ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობის კომპონენტის ფარგლებში.);
- ევროკომისიის პროექტის (CBHE) Keya Action 2 ფარგლებში ***შესაძლებლობათა განვითარება უმაღლეს განათლებაში თანამშრომლობა/კონსორციუმის*** (13 ევროპული, რეგიონალური და ქართლი უნივერსიტეტი) შეთანხმება კურიკულუმის განვითარება მაგისტრატურის ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამა ***პოლიტიკის მეცნიერებაში*** „ინტეგრაცია და მმართველობა“ პროექტის N101128831), საერთაშორისო აკრედიტაცია - ავსტრიის სააკრედიტაციო სააგენტო;
- მაგისტრატურის ერთობლივი (თსუ, ზსუ და თესაუ) საგანმანათლებლო პროგრამა ***ბავშვის უფლებები*** (UNICEF-ის მხარდაჭერით);
- მაგისტრატურის ერთობლივი (თსუ, იბსუ) საგანმანათლებლო პროგრამა ***კომპიუტერული სოციალური მეცნიერებები განვითარებისათვის*** (კონკურენტული ინოვაციის ფონდის (CIF)-ის მხარდაჭერით);

შიდა და გარე კოლეგიურ შეფასებას დაექვემდებარა:

– *აკრედიტაციის მიზნით*: 6 საგანმანათლებლო პროგრამაზე (მათ შორის: 2 ბაკალავრიატის - (მათ შორის 1 180 კრედიტიანი), 2 მაგისტრატურის, 2 დოქტორანტურის);
– *რეაკრედიტაციის მიზნით*: 15 საგანმანათლებლო პროგრამაზე: 5 კლასტერისა (მათ შორის: 2 - ბაკალავრიატის; 5 - მაგისტრატურის, 4 - დოქტორანტურის) და 4 ინდივიდუალური განაცხადის ფარგლებში (მათ შორის: 2 - ბაკალავრიატის; 1 - მაგისტრატურის, 1 - დოქტორანტურის);
– *კვალიფიკაციის ჩარჩოსთან თავსებადობის მიზნით*: 1 საგანმანათლებლო პროგრამაზე (1 - მაგისტრატურის).

შიდა კოლეგიური შეფასების პროცესში გამოვლენილი რეკომენდაციებიდან ყველაზე ტიპობრივად იქნა მიჩნეული:

- შეფასების შინაარსისა და ფორმების კორექტურა;
- საგანმანათლებლო პროგრამის რუკების კორექცია და სწავლის შედეგებისა და მიზნების თავსებადობა;
- სწავლის შედეგების კვლევის დოკუმენტის სრულყოფილი შედგენა;
- სანიშნულე კვლევის დოკუმენტის მომზადება;
- პროგრამის ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის ჩამოყალიბება;
- თვითშეფასების ანგარიშის დოკუმენტის კორექტირება.

კოლეგიური შეფასებისას გარდა ექსპერტული დასკვნების წარდგენისა ყურადღება ექცევა აკრედიტაციის პროცესის სიმულაციური პროცედურის გააზრებულ და დეტალურ აღდგენას, ამასთან თანამშრომლობის პროცესი უზრუნველჰოფს: *შრომის ბაზრის დეტალური კვლევა და შეფასება; საუნივერსიტეტოს ფაკულტეტების გამოცდილებისა და ცალკეული დარგის სპეციფიკის გაზიარებას; უცხოური გამოცდილების სიღრმისეულ შესწავლას და საუკეთესო პრაქტიკების გადმოტანას ცალკეულ საგანმანათლებლო პროგრამებში; საგანმანათლებლო პროგრამით დაინტერესებული პირების მაქსიმალურ ჩართულობას შეფასების პროცესში; პროგრამის მხარდამჭერი კომიტეტების*

*უფლებების გაფართოებას და მათი მუდმივ აქტიურ მონაწილეობას საგანმანათლებლო პროგრამის განვითარებაში.*
საანგარიშო პერიოდში კოლეგიურად შეფასდა 25 საგანმანათლებლო პროგრამა. შეფასებაში მონაწილეობა მიიღო 152 პირმა (მათ შორის, დარგის ექსპერტებმა, დამსაქმებლებმა, კურსდამთავრებულებმა და სტუდენტებმა). განხილვები გაიმართა როგორც პირისპირ, ასევე ელექტრონული პლატფორმის zoom მეშვეობით.

## 2.1.2 აკადემიური მოსწრებისა და სწავლის შედეგების ანალიზი

აკადემიური მოსწრებისა და სწავლის შედეგების ანალიზი წარმოადგენს ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის ერთ-ერთ მნიშვნელოვან კომპონენტს, რომელიც მიზნად ისახავს საგანმანათლებლო პროგრამების ეფექტურობის შეფასებას სტუდენტთა აკადემიური მიღწევების საფუძველზე. აღნიშნული პროცესი უზრუნველყოფს როგორც სწავლების ხარისხის მონიტორინგს, ისე პროგრამების შემდგომი განვითარებისათვის საჭირო მტკიცებულებებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მიღებას.
ანალიზი ხორციელდება საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით და ეფუძნება მრავალფეროვან მონაცემთა წყაროებს, მათ შორის: სტუდენტთა აკადემიურ შეფასებებს, შუალედური და საბოლოო გამოცდების შედეგებს, კურსის ფარგლებში შესრულებულ დავალებებს, პრაქტიკულ და კვლევით აქტივობებს, აგრეთვე სწავლის შედეგების მიღწევის ინდიკატორებს. აღნიშნული მონაცემების სისტემატური დამუშავება და შედარებითი ანალიზი შესაძლებელს ხდის ტენდენციების გამოვლენას როგორც კონკრეტული კურსების, ისე მთლიანად პროგრამის დონეზე.
ანალიზის ფარგლებში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სწავლის შედეგების მიღწევის ხარისხს, რაც გულისხმობს სტუდენტთა მიერ განსაზღვრული ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების ათვისების დონეს. შედეგად იდენტიფიცირდება პროგრამების ძლიერი მხარეები, ასევე ის სფეროები, რომლებიც საჭიროებს გაუმჯობესებას — იქნება ეს სწავლების მეთოდები, შეფასების სისტემა თუ სასწავლო გეგმის სტრუქტურა.
აკადემიური მოსწრებისა და სწავლის შედეგების ანალიზი წარმოებს საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით, სტუდენტთა შედეგებისა და მიღწევების სისტემატური შესწავლის საფუძველზე. თითოეული პროგრამის ინდივიდუალური ანალიზი უზრუნველყოფს ხარისხის გამჭვირვალობას და პროგრამის განვითარებისთვის სტრატეგიული მიმართულებების განსაზღვრას.
აკადემიური მოსწრების ანალიზის პროცესი ყალიბდება რამდენიმე მნიშვნელოვანი სეგმენტის ურთიერთშეჯერების საფუძველზე: *პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა*; *კურიკულუმის რუკა*; *სწავლის შედეგების შეფასების რუკა*; სასწავლო პროცესების განვითარების დეპარტამენტთან თანამშრომლობით მონაცემების ანალიზს ამზადებს პროგრამის მხარდამჭერი კომიტეტი, რომელიც ადგენს რამდენად თავსებადია სწავლის შედეგები პროგრამით განსაზღვრულ მიზნებთან. მონაცემთა პირველად ანალიზს იძლევა სასწავლო პროცესის მარეგულირებელ სისტემა.
პროგრამებმა განახორციელა სწავლის შედეგების ანალიზი როგორც ინდივიდუალურად, ისე კლასტერში წარდგენილი ყველა საგანმანათლებლო პროგრამისთვის. აქვე უნდა განიმარტოს, რომ გამომდინარე იქიდან, რომ მოცემულ ეტაპზე ბევრი საგანმანათლებლო პროგრამა იყო ახალი, პროგრაამის კომიტეტმა ძირითადში წარადგინო სწავლის შედეგების ანალიზის კონკრეტული მეთოდოლოგია.
მოცემულ ეტაპზე მიმდინარეობს ახალი კანონმდებლობის მოთხოვნებით კონკრეტული საგანმანათლებლო პროგრამების რედაქტირება, რაც უშუალოდ მოითხოვს სწავლის შედეგების შეფასების ცალკეული ინსტრუმენტების რევიზიასა და მონაცემების ცვლილებას. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური მოცემულ ეტაპზე გეგმავს კვლევის მეთოდოლოგიის გადახედვას, ტრენინგებს მოცემულ სეგმენტში და პროგრამის სწავლის შედეგების მეთოდოლოგიის განახლებას.

### 2.1.3 გამოკითხვები და მიზნობრივი კვლევები

## ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის გამოკითხვები და მიზნობრივი კვლევები

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება უზრუნველყოფს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ გამოკითხვებისა და მიზნობრივი კვლევების სისტემურ დაგეგმვას, განხორციელებასა და შედეგების გამოყენებას ინსტიტუციური განვითარების მიზნით. შესაბამისად, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური რეგულარულად ახორციელებს სხვადასხვა ტიპის გამოკითხვებს, რომლებიც მოიცავს სტუდენტებს, აკადემიურ და ადმინისტრაციულ პერსონალს, კურსდამთავრებულებსა და დამსაქმებლებს. გამოკითხვების მიზანია სწავლებისა და შეფასების ხარისხის, სასწავლო გარემოს, სტუდენტთა მხარდაჭერის სერვისებისა და ინსტიტუციური პროცესების ეფექტურობის შეფასება.

დაწესებულება უზრუნველყოფს მიზნობრივი კვლევების განხორციელებას კონკრეტული საჭიროებებისა და გამოწვევების იდენტიფიცირების მიზნით. აღნიშნული კვლევები შეიძლება მოიცავდეს როგორც რაოდენობრივ, ისე ხარისხობრივ მეთოდებს, მათ შორის ფოკუს-ჯგუფებს, სიღრმისეულ ინტერვიუებსა და თემატურ ანალიზს.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური უზრუნველყოფს შეგროვებული მონაცემების სისტემატურ ანალიზს, შედეგების დოკუმენტირებასა და შესაბამისი ანგარიშების მომზადებას. ანალიზის შედეგები გამოიყენება მტკიცებულებებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მისაღებად და ინტეგრირდება საგანმანათლებლო პროგრამების, სწავლებისა და შეფასების მეთოდების, აგრეთვე ადმინისტრაციული და მხარდაჭერის სერვისების გაუმჯობესების პროცესში, რასაც მნიშვნელოვანი ადგილი უკავია დაწესებულების ინსტიტუციური განვითარების პროცესში.

საერთო თემატური და მიზნობრივი კვლევების გარდა, ცალკეული კვლევები იგეგმება შიდა და გარე ხარისხის შეფასების მიზნით, მზადდება უშუალოდ პროგრამული კომიტეტისა და საფაკულტეტოს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების მიერ მკვლევართა ჯგუფის ჩართულობით.

დაწესებულება უზრუნველყოფს გამოკითხვებისა და კვლევების შედეგებზე დაფუძნებული რეკომენდაციების განხორციელების მონიტორინგს და პერიოდულ შეფასებას, რაც უზრუნველყოფს ხარისხის უწყვეტ გაუმჯობესებასა და ინსტიტუციური განვითარების მდგრადობას.

ინსტიტუციის ახალი სტრატეგიული გეგმის მიერ განსაზღვრულ განვითარების გამოწვევებიდან გამომდინარე ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა დაგეგმა ცალკეული მიზნობრივი კვლევები, კერძოდ,

- ✓ ხელოვნური ინტელექტის (AI) გამოყენების შესაძლებლობების შესახებ;
- ✓ სტუდენტთა გამოკითხვა სოციალური სტატუსის შესახებ;
- ✓ პრობლემაზე დაფუძნებული სწავლის (PBL) დანერგვის პრაქტიკის კვლევა.

#### 2.1.3.1 ხელოვნური ინტელექტის (AI) გამოყენების შესაძლებლობების შესახებ

ხელოვნური ინტელექტი (AI) წარმოადგენს თანამედროვე ტექნოლოგიების ერთ-ერთ ყველაზე დინამიკურად განვითარებად და ტრანსფორმაციულ მიმართულებას, რომელსაც აქვს მნიშვნელოვანი გავლენა უმაღლესი განათლების, კვლევისა და ადმინისტრაციული პროცესების განვითარებაზე. AI-ს გამოყენების შესაძლებლობების სისტემური კვლევა უზრუნველყოფს იმ ინოვაციური მიდგომების იდენტიფიკაციას, რომლებიც აუმჯობესებს სწავლების ეფექტურობას, სტუდენტთა ცოდნისა და კომპეტენციების განვითარებას, აგრეთვე ხარისხის უზრუნველყოფის პროცესების ოპტიმიზაციას.

აღნიშნული კვლევები მიზნად ისახავს:

- **ინსტიტუციური და საგანმანათლებლო პროცესების ანალიზს** AI ტექნოლოგიების ინტეგრაციის პერსპექტივის მიხედვით;
- **გამოწვევებისა და შესაძლებლობების იდენტიფიკაციას**, რაც საშუალებას აძლევს განსაზღვროს საუკეთესო პრაქტიკა სწავლების, შეფასებისა და ადმინისტრაციული პროცესების ოპტიმიზაციისთვის;

- **მტკიცებულებებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მხარდაჭერას**, რომლებიც მიმართულია სწავლების მეთოდების, სტუდენტთა მხარდაჭერის სერვისებისა და ინსტიტუციური პროცესების გაუმჯობესებისკენ.

კვლევის ფარგლებში გამოიყენება როგორც **საგანმანათლებლო მონაცემთა ანალიზი**, ასევე **საერთაშორისო გამოცდილების შედარებითი შესწავლა**, რაც უზრუნველყოფს AI ტექნოლოგიების ადაპტაციის ეფექტურ სტრატეგიას ადგილობრივ და გლობალურ კონტექსტში. კვლევა ეფუძნება მრავალმხრივ მეთოდოლოგიურ მიდგომას, მათ შორის: **სულთა რაოდენობრივი ანალიზი**, **სიღრმისეული ინტერვიუები**, **ფოკუს-ჯგუფები**, აგრეთვე **სისტემური ლიტერატურული მიმოხილვები და პრაქტიკული დათვალიერებები**.

მიზნობრივი შედეგები უზრუნველყოფს არა მხოლოდ AI-ს პრაქტიკული დანერგვის შესაძლებლობების შეფასებას, არამედ ხელს უწყობს ხარისხის უწყვეტ გაუმჯობესებას, ინოვაციური სწავლების მეთოდების დანერგვას და სტუდენტთა აკადემიური გამოცდილების გაძლიერებას. აღნიშნული კვლევები ასევე ქმნიან საფუძველს სტრატეგიული რეკომენდაციების შემუშავებისთვის, რომლებიც აუცილებელია ინსტიტუციური განვითარების, რესურსების ეფექტური გამოყენებისა და გრძელვადიანი ინოვაციების განხორციელებისთვის.

ხსენებული მიმართულებით კვლევების ჩატარების აუცილებლობა განპირობებულია იმით, რომ ხელოვნური ინტელექტი უკვე იქცა უნივერსიტეტის ფუნქციონირების ყველა ძირითად მიმართულებაზე მოქმედ ფაქტორად, იქნება ეს ადმინისტრაციული პროცესები თუ სწავლა-სწავლებისა და სამეცნიერო კვლევებით აქტივობები. შესაბამისად, ხარისხის უზრუნველყოფის სისტემისთვის კრიტიკულად მნიშვნელოვანია:

- არსებული პრაქტიკის იდენტიფიცირება;
- რისკების (აკადემიური კეთილსინდისიერება, შეფასების სანდოობა, ხელოვნური ინტელექტის ეთიკური გამოყენება) ანალიზი;
- შესაძლებლობების (სერვისების ოპტიმიზაცია, მონაცემებზე დაფუძნებული მართვა) შეფასება;
- ინსტიტუციური რეგულაციებისა და მექანიზმების ადაპტაცია.

სამსახურის მიერ ჩატარებული კვლევები პირდაპირ შეესაბამება უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმის ორგანიზაციული ეფექტიანობისა და ინსტიტუციური განვითარების მიმართულებას, კერძოდ, მე-3 სტრატეგიულ მიზანს- ციფრული ტრანსფორმაციის საშუალებით ხარისხის, დაგეგმვისა და მართვის პროცესების გაუმჯობესება და ინსტიტუციური ეფექტიანობის ამაღლება. ამ მიზნის ფარგლებში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება:

- სტრატეგია 3.3 - უნივერსიტეტში მართვის პროცესების ციფრული ტრანსფორმაცია;
- სტრატეგია 3.4 - ხარისხის მართვის სისტემის გაუმჯობესება;

ამ უკანასკნელთან უშუალოდ არის დაკავშირებული აქტივობა 4.9, რომელიც ითვალისწინებს აკადემიური კეთილსინდისიერების მარეგულირებელი დოკუმენტებისა და მექანიზმების დახვეწას თანამედროვე გამოწვევების, მათ შორის ხელოვნური ინტელექტის გამოყენების კონტექსტში.

საანგარიშო პერიოდში, სამსახურმა განხორციელა ოთხი ურთიერთდამაკავშირებელი კვლევა, რომელიც მოიცავდა უნივერსიტეტის ეკოსისტემის ყველა ძირითად მხარეს:

1. ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის კვლევა - ხელოვნური ინტელექტი სამუშაო პროცესებსა და სერვისებში
2. აკადემიური და მოწვეული პერსონალის კვლევა - ხელოვნური ინტელექტის გამოყენება სასწავლო და კვლევით საქმიანობაში
3. სტუდნეტების კვლევა - ხელოვნური ინტელექტის გამოყენება და პასუხისმგებლობა საუნივერსიტეტო გარემოში
4. დამსაქმებელთა კვლევა - ხელოვნური ინტელექტის გამოყენების უნარები და კურსდამთავრებულთა მზაობა

კვლევების შედეგები ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს საშუალებას აძლევს:

- ✓ დააფუძნოს ხარისხის მართვის გადაწყვეტილებები რეალურ მონაცემებზე;
- ✓ განავითაროს AI-ს გამოყენების ინსტიტუციური ჩარჩო (პოლიტიკები, გზამკვლევები, რეგულაციები);

- ✓ უზრუნველყოს შეფასების პროცესების სანდოობის შენარჩუნება ახალ ტექნოლოგიურ გარემოში;
- ✓ გააძლიეროს აკადემიური კეთილსინდისიერების მექანიზმები;
- ✓ დაგეგმოს პერსონალისა და სტუდენტების მიზნობრივი ტრენინგები;
- ✓ დააკავშიროს სასწავლო შედეგები შრომის ბაზრის მოთხოვნებთან (AI კომპეტენციები);
- ✓ გააუმჯობესოს სერვისების ეფექტიანობა და სტუდენტების საჭიროებებზე ორიენტირებულობა.

## ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის კვლევა - ხელოვნური ინტელექტი სამუშაო პროცესებსა და სერვისებში

ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის კვლევის მიზანია ხელოვნური ინტელექტის (AI) ეფექტიანი, ეთიკური და პასუხისმგებლიანი დანერგვისა და გამოყენების საუნივერსიტეტო სტრატეგიის შემუშავების მიზნით, დაადგინოს და შეისწავლოს ხელოვნურ ინტელექტთან დაკავშირებით პერსონალის შეხედულებები, მოსაზრებები, პრაქტიკული გამოცდილება და გამოწვევები ადმინისტრირების პროცესში. კვლევის ფარგლებში, სამიზნე ჯგუფების გამოკითხვა მიმდინარეობდა 2025 წლის 10 ივლისიდან 21 ივლისის ჩათვლით. კვლევის ჩატარებისა და მონაცემთა დამუშავების პროცედურა ცენტრალიზებული იყო, განახორციელა უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა.

კვლევაში მონაწილეობა მიიღო 126-მა რესპონდენტმა, საიდანაც 22 მაღალი რგოლის მენეჯერია, 44 - შუა რგოლის, ხოლო 60 - დამხმარე პერსონალია (მთავარი სპეციალისტი, უფროსი სპეციალისტი/სპეციალისტი/ლაბორატორიის თანამშრომელი).

კვლევის ფარგლებში კვლევის ჯგუფისთვის მნიშვნელოვანი იყო ხელოვნური ინტელექტის გამოყენების სიხშირე, ისევე როგორც ხელოვნური ინტელექტის გავრცელებული და პოპულარული პლატფორმები, დასახელდა რისკები და ასევე მხარდაჭერის ძირითადი შესაძლებლობები.

პრაქტიკულად ადმინისტრაციული პერსონალური სხვადასხვა სიხშირით სამუშაო პროცესში მაინც იყენებს ხელოვნური ინტელექტის შესაძლებლობას სამუშაო პროცესში, რაც წარმოდგენილია ქვედა დიაგრამაზე:

**დიაგრამა N2. ხელოვნური ინტელექტის გამოყენების სიხშირე**




## აკადემიური და მოწვეული პერსონალის კვლევა - ხელოვნური ინტელექტის გამოყენება სასწავლო და კვლევით საქმიანობაში

აკადემიური და მოწვეული პერსონალის კვლევის მიზანია ხელოვნური ინტელექტის (AI) ეფექტიანი, ეთიკური და პასუხისმგებლიანი დანერგვისა და გამოყენების საუნივერსიტეტო სტრატეგიის შემუშავების მიზნით, დაადგინოს და შეისწავლოს ხელოვნური ინტელექტის სასწავლო და კვლევით საქმიანობაში გამოყენებასთან დაკავშირებით აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეხედულებები, მოსაზრებები, პრაქტიკული გამოცდილება და გამოწვევები.

კვლევის შესახებ ინფორმაცია აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს ელექტრონული ფოსტის მეშვეობით მიუვიდა. ისინი ნებაყოფლობით ავსებდნენ კითხვარს. გამოკითხვის პროცესში

უზრუნველყოფილი იყო რესპონდენტთა ანონიმურობა. გამოკითხვა მიმდინარეობდა 2025 წლის 10 ივლისიდან 22 ივლისის ჩათვლით. კვლევაში მონაწილეობა მიიღო 129 რესპონდენტმა თსუ-ის შვიდივე ფაკულტეტიდან. გამოკითხულ რესპონდენტთა რაოდენობით ლიდერობს ზუსტ და საბუნებისმეტყველომეცნიერებათა ფაკულტეტი (27% - 35 რესპონდენტი), მას მოსდევს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი (26% - 34 რესპონდენტი) და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი (15% - 19 რესპონდენტი).

გამოიკვეთა, რომ თსუ-ის აკადემიური და მოწვეული პერსონალის უმრავლესობა (63.6%) იყენებს ხელოვნურ ინტელექტს, ხოლო გამოკითხულთა 36.4%-ის თქმით, ხელოვნური ინტელექტი არასოდეს გამოუყენებია (იხ. დიაგრამა N3).

**დიაგრამა N3. AI-ია ტექნოლოგიებსა და პლატფორმების გამოყენების მაჩვენებელი სასწავლო და კვლევით პროცესში**




აკადემიური და მოწვეული პერსონალის შემთხვევაში გარდა გამოყენების სიხშირისა, დაზუსტდა ხელოვნური ინტელექტის გამოყენების მიზნობრიობა, ისევე როგორც დასახელდა შესაბამისი პლატფორმები (რომლის ჩამონათვალი კიდევ უფრო ფართო და მრავალფეროვანი აღმოჩნდა), გამოკითხულ იქნა ასევე ხელოვნური ინტელექტის გამოუყენების არეალი, სწავლა-სწავლებისა და კვლევის სხვადასხვა სეგმენტში (გამოკითხვით დასტურდება, რომ ყველაზე აქტიურად მისი გამოყენება ხდება ლიტერატურის მოზებისა და ორგანიზები, ისევე როგორც მონაცემთა დამუშავებისა და ანალიზის, ისევე როგორც პროცესში შეფასების კითხვების შექმნის პროცესში.). კვლევის ჯგუფმა ასევე დაადგინა სამიზნე ჯგუფის პერსპექტივიდან კვლევის ხელოვნური ინტელექტის გამოყენების პოზიტიური მხარე, ისე რისკ-ფატორები (ვრცლად იხ. დანართი 1).

**დიაგრამა N4. ხელოვნური ინტელექტის სწავლება-კვლევის მიმართულებით გამოყენების სიხშირე**

*შენიშვნა: დიაგრამაზე წარმოდგენილია პერსონალის რაოდენობა.*

უნდა აღინიშნოს, რომ გამოკითხული აკადემიური და მოწვეული პერსონალის დიდი რაოდენობა ვერ ხედავს AI-ის გამოყენების პოტენციალს ისეთი სასწავლო მიმართულებებით როგორიცაა: სტუდენტის შეფასება, უკუკავშირის მიწოდება, სილაბუსის/კურსის დიზაინის



## სტუდენტების კვლევა - ხელოვნური ინტელექტის გამოყენება და პასუხისმგებლობა საუნივერსიტეტო გარემოში

წინამდებარე კვლევის მიზანია ხელოვნური ინტელექტის (AI) ეფექტიანი, ეთიკური და პასუხისმგებლიანი დანერგვისა და გამოყენების საუნივერსიტეტო სტრატეგიის შემუშავების მიზნით, დაადგინოს და შეისწავლოს ხელოვნური ინტელექტის სასწავლო და კვლევით საქმიანობაში გამოყენებასთან დაკავშირებით თბილისის სახელმწიფო უნივერსტეტის უმაღლესი განათლების სხვადასხვა საფეხურის სტუდენტთა შეხედულებები, მოსაზრებები, პრაქტიკული გამოცდილება და გამოწვევები. გამოკითხვა მიმდინარეობდა 2025 წლის 10 ივლისიდან 31 ივლისის ჩათვლით. კვლევაში მონაწილეობა მიიღო თსუ-ის შვიდივე ფაკულტეტიდან 305-მა აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტმა.

კვლევის ფარგლებში სტუდენტებს ვკითხეთ იყენებდნენ თუ არა ხელოვნური ინტელექტის ტექნოლოგიებსა და პლატფორმებს სასწავლო და კვლევით ამოცანებისა თუ დავალებების შესასრულებლად. გამოიკვეთა, რომ თსუ-ის სტუდენტების დიდი უმრავლესობა (91.8%) იყენებს ხელოვნურ ინტელექტს სხვადასხვა სიხშირით. კერძოდ, 9.2% იყენებს ყოველთვის/ პერმანენტულად, 29.5% იყენებს ხშირ შემთხვევებში, 32.1% - ზოგჯერ, ხოლო 21% - იშვიათად. გამოკითხულ სტუდენტთა უმნიშვნელო რაოდენობის - 8.2%-ის თქმით (25 სტუდენტი), ხელოვნური ინტელექტი არასოდეს გამოუყენებიათ.

სტუდენტების ჯგუფის გამოკითხვის შემთხვევაში დასახელებული პლატფორმები, არ არის ისეთი მრავალფეროვანი, როგორც აკადემიურ ისე მოწვეული პერსონალის გამოკითხვებში. თუმცა სტუდენტები აქტიურად მსჯელობენ ხელოვნური ინტელექტის გამოყენების ძირითად სარგებელზე, სადაც პოზიტიურ ფაქტორად სახელდება ერთი მხრივ დროის მენეჯმენტის დაორგანიზება (63%), ხოლო სხვა შემთხვევაში ახალი იდეებისა (48%) და სამეცნიერო ლიტერატურის მოძიება და ანალიზი (38%). ასევე მნიშვნელოვანია, რომ სტუდენტები ამ მიმართულებით მსჯელობენ რესურსებისა და გადამზადების საჭიროებებზე, რომელთა შორის სახელოდება: ტრენინგები (61%) და კურიკულუმში ხელოვნური ინტელექტის გამოყენების საბაზისო კურსის (46%):

**დიაგრამა N5. რესურსებისა და გადამზადების საჭიროება**




## დამსაქმებელთა კვლევა - ხელოვნური ინტელექტის გამოყენების უნარები და კურსდამთავრებულთა მზაობა

დამსაქმებელთა კვლევის მიზანია საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების, სწავლა-სწავლებისა და კვლევითი პროცესების ხარისხის გაუმჯობესებისა და თანამედროვე შრომის ბაზრის საჭიროებებზე

ეფექტური რეაგირების მიზნით, დაადგინოს და შეისწავლოს დამსაქმებელთა მოსაზრებები, შეხედულებები და გამოცდილება ხელოვნური ინტელექტის გამოყენებასთან დაკავშირებით. შესაბამისად, კვლევა მიზნად ისახავს, ერთი მხირვ, დაადგინოს რამდენად შეესაბამება კურსდამთავრებულთა კომპეტენციები დამსაქმებელთა საჭიროებებს და რა მიმართულებით უნდა მოხდეს სასწავლო პროგრამების განვითარება, ხოლო მეორე მხრივ, ხელოვნურ ინტელექტთან დაკავშირებული იმ ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების გამოვლენას, რომელებიც მოთხოვნადია კურსდამთავრებულებისთვის თანამედროვე სამუშაო გარემოში. გამოკითხვა მიმდინარეობდა 2025 წლის 10 ივლისიდან 22 ივლისის ჩათვლით.

კვლევაში მონაწილეობა მიიღო შრომის ბაზრის სხვადასხვა სექტორიდან 22 დამსაქმებელმა. მიუხედავად იმისა, რომ მოცემული რაოდენობა არ არის სტატისტიკურად მასშტაბური და გარკვეულწილად წარმოადგენს კვლევის შეზღუდვას, პასუხები მაინც წარმოაჩენს არსებულ ტენდენციებს. რესპონდენტებს ვთხოვეთ დაესახელებინათ მათი სამუშაო პოზიცია. ირკვევა, რომ გამოკითხულთა დიდი ნაწილი, 64% მაღალი რგოლის მენეჯერია, რაც მიუთითებს იმაზე, რომ კვლევაში მონაწილეთა დიდი ნაწილი არის ტოპ მენეჯერული გადაწყვეტილებების მიმღები პირი და ორგანიზაციის ძირითადი პოლიტიკის წარმმართველი.

კვლევაში მონაწილე დამსაქმებლებს ვთხოვეთ დაესახელებინათ სამუშაო სფერო და სექტორი, სადაც მათი ორგანიზაცია/კომპანია ოპერირებს. შედეგების თანახმად, მონაწილეობა მიიღო 12-ზე მეტი სექტორის წარმომადგენლმა, მათ შორის: მრეწველობის; კომერციის/საბითუმო და საცალო ვაჭრობის; აგრიკულტურის, საკვები და ბუნებრივი რესურსების; განათლების, კვლევის, ტრენინგის; ტრანსპორტის, დისტრიბუციისა და ლოგისტიკის; ხელისუფლებისა და საჯარო ადმინისტრირების; ბიზნესის მენეჯმენტისა და ადმინისტრირების; მასპინძლობისა და ტურიზმის, ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების; მარკეტინგის/პიარის, გაყიდვებისა და მომსახურების; მედია/გამომცემლობის; მომსახურებისა და სხვა სფეროების.

კვლევის შედეგები ცხადყოფს, რომ დამსაქმებელთა ნაწილს უკვე აქვს ორგანიზაციის საქმიანობაში AI-ის გამოყენებისა და ინტეგრაციის გამოცდილება, თუმცა, ფართო მასშტაბით დანერგვა არ შეინიშნება. ეს გარკვეულწილად მიუთითებს, რომ დასაქმების ბაზარზე არსებულ ქართულ ორგანიზაციებს/კომპანიებს ჯერ კიდევ აკლიათ ტექნოლოგიური მზაობა, ფინანსური რესურსები ან დასაქმებული კადრების კომპეტენცია. საერთო ჯამში, AI-ის სხვადასხვა დონეზე დანერგვის პრაქტიკაზე გამოკითხულთა 81.8% მიუთითებს, საიდანაც 13.6%-ის შემთხვევაში ორგანიზაციის საქმიანობის პროცესებში AI ფართოდაა ინტეგრირებული. დამსაქმებელთა 18.2%-ის თქმით კი ხელოვნური ინტელექტი მათ ორგანიზაციებში საერთოდ არ გამოიყენება.

გამომდინარე იქიდან, რომ დამსაქმებლები არის ის დაინტერესებული ჯგუფი, რომელიც დაწესებულების საბოლოო პროდუქტის (კურსამთავრებულების) კომპეტენციებით მნიშვნელოვნად არიან დაინტერესებული, არსებითად კვლევის ჯგუფისთვის საინტერესო იყო ის რეკომენდაციები, რომელთა დანერგვაც ხელს შეუწყობდა საგანმანათლებლო პროგრამების კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობას დასაქმების ბაზარზე. რეკომენდაციებს შორის დასახელდა:

- შექმნას ტრენინგები და სერტიფიკატო კურსები;
- ჩართოს AI თემები სილაბუსებში;
- დაინტერესებულ სტუდენტებს შესთავაზოს არჩევითი კურსი AI-ის მიმართულებით;
- პოპულარიზაცია გაუწიოს AI-ის ეთიკურ გამოყენებას;
- უზრუნველყოს გადამზადების შესაძლებლობა სტუდენტებისთვის.

კვლევის შედეგების ანალიზი ცხადყოფს, რომ აღნიშნული კვლევები[1] წარმოადგენს ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის პროაქტიული ადაპტაციის ინსტრუმენტს ციფრული ტრანსფორმაციის პირობებში და ქმნის საფუძველს ინსტიტუციური პოლიტიკის, რეგულაციების, მართვის მექანიზმების, სასწავლო და კვლევითი პროცესების თანამედროვე რეალობასთან შესაბამისობაში მოყვანისთვის.

### 2.1.3.2 სტუდენტთა გამოკითხვის სოციალური სტატუსის შესახებ

[1] ვრცლად კვლევის შედეგების შესახებ იხ. დანართი 1

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური არსებითად მიიჩნევს სტუდენტთა პრობლემების შესწავლას. 2024 წელს გამოიკვეთა და გამოკვლეულ იქნა სტატუსშეჩერებულ სტუდენტთა პრობლემატიკა, რომლის გამჭოლ საკითხად იქცა არაერთი სოციალური ფაქტორი, რომლის კვლევა განახორციელა სამსახურმა საანგარიშო პერიოდში.

კვლევის ჯგუფმა დაგეგმა გამოკითხვები, რაც წარმოადგენს ხარისხის უზრუნველყოფისა და სტუდენტზე ორიენტირებული პოლიტიკის მნიშვნელოვან კომპონენტს. აღნიშნული პროცესი მიზნად ისახავს სტუდენტთა სოციალურ-ეკონომიკური და დემოგრაფიული მახასიათებლების იდენტიფიცირებას და შესაბამისი მხარდაჭერის მექანიზმების დაგეგმვას, კერძოდ, უნივერსიტეტის სტუდენტთა სოციალური, ეკონომიკური და კულტურული მრავალფეროვნების გათვალისწინებით იმ ჯგუფების იდენტიფიცირება, რომლებიც მიეკუთვნებიან სხვადასხვა მოწყვლად კატეგორიას (პირველი თაობის სტუდენტები, ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლები, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, დევნილები, ლტოლვილები, ობლები, მრავალშვილიანი ოჯახების წევრები, სოციალურად დაუცველი პირები და სხვ.). მიღებული მონაცემები გამოყენებულ იქნა **Times Higher Education** მდგრადობის გავლენის რეიტინგებში მონაწილეობისთვის, რათა წარმოაჩინოს უნივერსიტეტის როლი სოციალური განვითარების, თანასწორობისა და განათლებაზე წვდომის ხელშეწყობის მიმართულებით.

გამოკითხვა მიმდინარეობდა 2025 წლის 10 ოქტომბრიდან 3 ნოემბრის ჩათვლით. კვლევის ჩატარებისა და მონაცემთა დამუშავების პროცედურა ცენტრალიზებული იყო, განახორციელა უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა.

კვლევის ძირითადი აღმოჩენები მიუთითებს სამ კრიტიკულ ტენდენციაზე: 1) უნივერსიტეტი ფუნქციონირებს როგორც მნიშვნელოვანი სოციალური ლიფტი[2]- სტუდენტთა თითქმის ნახევარი (46%) წარმოადგენს თავისი ოჯახის პირველ თაობას, რომელსაც აქვს უმაღლესი განათლება; 2) უნივერსტეტში სოციალურად მოწყვლადი ჯგუფები ფართოდ არიან წარმოდგენილი (52.5%), რაც მიუთითებს თსუ-ში განათლების ინკლუზიურობაზე. 3) გამოიკვეთა გენდერული დისბალანსი (76% ქალი და 24% კაცი).

კვლევაში მონაწილეობა მიიღო თსუ-ის შვიდივე ფაკულტეტიდან 400-მა აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტმა. გამოკითხულ რესპონდენტთა რაოდენობით ლიდერობს იურიდიული ფაკულტეტი (27.5%- 110 რესპონდენტი). მას მოსდევს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი (22.8% - 91 რესპონდენტი) და ეკონომიკისა და ბიზნესის (18.3% - 73 რესპონდენტი). შედარებით დაბალი გამოხმაურების მაჩვენებელი აქვს სხვა ფაკულტეტებს.

კვლევის ფარგლებში, სტუდენტებისგან მიღებულ იქნა ინფორმაცია, იყვნენ თუ არა ოჯახიდან პირველი, ვინც გახდა უნივერსიტეტის სტუდენტი. გამოკითხულთა თითქმის ნახევარმა (45.8%) ხსენებულ შეკითხვას დადებითად უპასუხა, რაც ზოგადად მიუთითებს იმაზე, რომ სოციალური მობილობის შემთხვევები საქართველოში, როგორც განვითარებად ქვეყანაში, უმაღლესი განათლების ხელშეწყობით მაღალია. აღსანიშნავია, რომ რესპონდენტთა 52.8%-ის თქმით, ოჯახის სხვა წევრებიც ფლობენ უმაღლესი განათლების დიპლომს, ხოლო 1.5%-ს ხსენებულ შეკითხვაზე არ აქვს ინფორმაცია (იხ. დიაგრამა N1).

[2] "სოციალური ლიფტი" (social mobility/social elevator) არის სოციოლოგიური ტერმინი, რომელიც აღწერს მექანიზმებს ან ინსტიტუტებს, რომლებიც ეხმარება ადამიანებს გადასვლაში ერთი სოციალური ფენიდან მეორეში (ჩვეულებრივ ქვემოდან ზემოთ).

**დიაგრამა N6. პირველი თაობა უნივერსიტეტში**




კვლევა დაინტერესდა სტუდენტთა სოციალური სტატუსით. შედეგების ანალიზმა აჩვენა, რომ 313 სტუდენტი წარმოადგენდა იმ კატეგორიას, ვინც მიეკუთვნება სულ მცირე ერთ სოციალურ ჯგუფს. გამოკითხულ სტუდენტთა ყველაზე დიდი რაოდენობა მოდის სოციალურად დაუცველთა ჯგუფზე, რესპონდენტთა 25.8%-ს (103 სტუდენტი) მინიჭებული აქვს შესაბამისი სტატუსი და სარგებლობს გარკვეული ტიპის შეღავათებით სახელმწიფოდან. 72 სტუდენტი (18%) იდენტიფიცირებს თავს როგორც დევნილი - ეს არის კვლევის მეორე ყველაზე დიდი სოციალური ჯგუფი. მესამე, ყველაზე დიდი ჯგუფს წარმოადგენენ სტუდენტები მრავალშვილიანი ოჯახებიდან. 60 სტუდენტი (15%) მოდის მრავალშვილიანი ოჯახებიდან. საქართველოს კონტექსტში "მრავალშვილიანი" ჩვეულებრივ ნიშნავს ოჯახს 4 ან მეტი შვილით. და ბოლოს, მე-4 ყვეალაზე დიდი კატეგორია, რაც საქართველოსთვის როგორც მრავალეთნიკური ქვეყნისთვის დამახასიათებელია არის ეროვნული უმცირესობების ჯგუფი. კერძოდ, 41 სტუდენტი (10.3%) მიეკუთვნება ეროვნულ უმცირესობებს. საქართველოს კონტექსტში ეს შეიძლება მოიცავდეს: აზერბაიჯანელებს (უდიდესი უმცირესობა, დაახლოებით 6% მოსახლეობისა); სომხებს (დაახლოებით 5% მოსახლეობისა); ოსებს, რუსებს, ბერძნებს, ქურთებს და სხვა ეთნიკურ ჯგუფებს.

**დიაგრამა N7. სტუდენტთა სოციალური სტატუსი**



სტუდენტთა სოციალური სტატუსის სისტემური კვლევა ხელს უწყობს სტუდენტთა კეთილდღეობისა და აკადემიური წარმატების ზრდას. მოცემული შედეგების საფუძველზე დაწესებულება შემდგომ ეტაპზე შეიმუშავებს კონკრეტულ ღონისძიებებს, რაც ინსტიტუციური ხარისხის კულტურის განვითარებისა და სოციალური პასუხისმგებლობის ამაღლების საფუძველია.

პრობლემაზე დაფუძნებული სწავლის (PBL) დანერგვის პრაქტიკის კვლევა.

### 2.1.3.3. პრობლემაზე დაფუძნებული სწავლის (PBL) დანერგვის პრაქტიკის კვლევა

პრობლემაზე დაფუძნებული სწავლა (Problem-Based Learning – PBL) წარმოადგენს თანამედროვე პედაგოგიკური მიდგომის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მოდელს, რომელიც ორიენტირებულია სტუდენტზე, აქტიურ სწავლებასა და პრაქტიკულ ცოდნაზე. აღნიშნული მეთოდი ხელს უწყობს კრიტიკული აზროვნების, პრობლემის გადაჭრის უნარებისა და დამოუკიდებელი სწავლის კომპეტენციების განვითარებას, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სწრაფად ცვალებად პროფესიულ გარემოში.

PBL-ის დანერგვის პრაქტიკის კვლევა მიზნად ისახავს აღნიშნული მეთოდის გამოყენების მასშტაბის, ეფექტურობისა და გავლენის სისტემურ შეფასებას საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში. კვლევა ფოკუსირებულია სწავლების პროცესში პრობლემაზე დაფუძნებული მიდგომების ინტეგრაციის ხარისხის განსაზღვრაზე, სტუდენტთა ჩართულობისა და აკადემიური მიღწევების ანალიზზე, აგრეთვე აკადემიური პერსონალის მიერ აღნიშნული მეთოდის გამოყენების პრაქტიკების შესწავლაზე.

გამომდინარე იქიდან, რომ საუნივერსიტეტო არაერთ საგანმანათლებლო პროგრამას სწავლის მეთოდებში უფიქსირდება პრობლემაზე დაფუძნებული სწავლის მეთოდი, შესაბამისად, წინამდებარე მეთოდი მითიტებულია არაერთ უმაღლესი განათლების დარგობრივ მახასიათებელში, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა დღის წესრიგში დააყენა წინამდებარე სწავლის მეთოდის დანერგვის პრაქტიკის კვლევა.

წინამდებარე კვლევის ფარგლებში გამოყენებულია პოპულაციაზე დაფუძნებული (Population-based/Census-based) მიდგომა, რომელიც მოიცავს გამოკითხვის დაფარვის ფართო ზონას და გულისხმობს პოპულაციის ყველა წევრის მოწვევას კვლევაში მონაწილეობის მისაღებად. მოცემულ შემთხვევაში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამივე საფეხურის უმაღლესი საგანმანათლებლო, ინტეგრირებული, ერთსაფეხურიანი და მოსამზადებელი პროგრამების განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს Google Surveys-ის მეშვეობით გაეგზავნათ ონლაინ კითხვარი. რესპონდენტებს დაეგზავნათ სტრუქტურირებული კითხვარი, რომელიც შედგებოდა 10 დახურული, მრავალარჩევნიანი შეკითხვისგან და სოციო-დემოგრაფიული ნაწილისგან (სულ 7 შეკითხვა).

გამოკითხვის შესახებ ინფორმაცია აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს ელექტრონული ფოსტის მეშვეობით მიეწოდა. ისინი ნებაყოფლობით ავსებდნენ კითხვარს. გამოკითხვის პროცესში უზრუნველყოფილი იყო რესპონდენტთა ანონიმურობა. გამოკითხვა მიმდინარეობდა 2025 წლის 15 მაისიდან 7 ივნისის ჩათვლით. კვლევის ჩატარებისა და მონაცემთა დამუშავების პროცედურა ცენტრალიზებული იყო, განახორციელა უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა.

კვლევაში მონაწილეობა მიიღო 96-მა რესპონდენტმა, რაც თსუ-ს აკადემიური და მოწვეული პერსონალის 4%-ს შეადგენს. რესპონდენტების 49%-ს მოწვეული ლექტორები და მასწავლებლები (4.2%) შეადგენენ, ხოლო თსუ-ს აკადემიური პერსონალიდან გამოკითხვაში მონაწილე პროფესორების წილი 14.6%-ია, ასოცირებული პროფესორის - 27.1%, ასისტენტ-პროფესორის - 7.3%, ასისტენტის 2.1%.

კვლევამ აჩვენა, რომ გამოკითხულთა უმრავლესობას უნივერსიტეტში სწავლების 10 წელზე მეტი გამოცდილება უფიქსირდება, ხოლო პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების/აქტიური სწავლების მეთოდებს იყენებს გამოკითხულთა ჯამში 70,8%, რომელთაგან 39,6% იყენებს 10 წელზე მეტი დროის განმავლობაში. PBL სწავლების მეთოდის გამოყენების გამოცდილება არ გააჩნია გამოკითხულთაგან 28 რესპონდენტს. რაც შეეხება ჯგუფებში სტუდენტების რაოდენობას, რესპონდენტთა 40.6%-ის შემთხვევაში სტუდენტების რაოდენობა ჯგუფში აჭარბებს 30-ს.

სწავლებაში ჩართული თსუ-ს პერსონალის გამოკითხვამ აჩვენა, რომ მიუხედავად პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების მეთოდის გამოყენების ხანგრძლივი გამოცდილებისა, პერსონალი მიესალმება გადამზადების შესაძლებლობებს ხსენებული მიმართულებით.
კვლევა დაეთმო PBL მეთოდის გამოყენებასთან დაკავშირებული ასპექტების სიღრმისეულ კვლევას, რა მიზნითაც რესპონდენტებს მიეწოდათ კითხვათა ჯგუფები სამი ძირითადი მიმართულებით:

- სტუდენტზე ორიენტირებული და ძიებაზე/კვლევაზე დაფუძნებული სწავლის დანერგვის პრაქტიკა;
- მასწავლებელთა თვალსაზრისი სტუდენტზე ორიენტირებული და პრობლემაზე ორიენტირებული სწავლების შესახებ;
- სტუდენტზე ორიენტირებული და პრობლემაზე ორიენტირებული სწავლების ხელის შემშლელი ფაქტორები, უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის თვალსაზრისი.

კვლევის შედეგების ანალიზმა ცალსახად აჩვენა სასწავლო პროცესში სწავლების ზემოხსენებული მეთოდის აქტუალობა, რომელიც ანვითარებს კრიტიკულ აზროვნებას, ეს უკანასკნელი კი ხელს უწყობს სტუდენტზე ორიენტირებული სასწავლო პროცესისა და კვლევაზე დაფუძნებული სწავლების პრაქტიკას[3].

2.1.3.4 მიზნობრივი კვლევა

რექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2025 წლის 8 აპრილის N69/01-01 ბრძანებით სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2024-2025 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის დასკვნითი გამოცდების შედეგების განხილვისა და შეფასების მიზნით შეიქმნა კომისია.

ხსენებულმა კომისიამ შეისწავლა მითითებული სემესტრის დასკვნითი გამოცდების შედეგების მაჩვენებლები და გამოავლინა, რომ საკმაოდ მაღალი იყო, როგორც ზოგადად აპელაციის მაჩვენებელი, ასევე აპელაციის შედეგად შეფასების ცვლილების შემთხვევები (როგორც მომატების, ასევე შემცირების) ხსენებული ანალიზის ფარგლებში, გაანალიზებულ იქნა მხოლოდ ის ნაშრომები, რომელთა შეფასებაც აპელაციის შედეგად შეიცვალა საერთო შეფასების 20%-ით ან მეტით. შეფასების შედეგების ცვლილებების დიდი ნაწილი დაკავშირებული იყო ტექნიკურ ხარვეზებთან (შეცდომა დაჯამებაში, საკითხის შეფასების გამორჩენა და ა.შ.), თუმცა, არაერთ ნაშრომს საბოლოო შეფასება შეცვლილი ჰქონდა (საერთო შეფასების 20%-ით და მეტით) ყოველგვარი დასაბუთების ან/და მინიშნების/შესწორების გარეშე, რაც ცხადია იწვევს ერთგვარ გაურკვევლობას და ეჭქვეშ აყენებს სამართლიანობისა და გამჭვირვალობის პრინციპებს.

აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს რეკომენდაციის სახით ეცნობა ხსენებულის თაობაზე, თუმცა პროცესში გამოვლენილი საჭიროებების გათვალისწინებით, მომავალში საგამოცდო პროცესის გაუმჯობესების მიზნით, ვფიქრობთ, რომ უპირველესად, აპელაციის ეტაპზე სრულად უნდა იყოს უზრუნველყოფილი სტუდენტის ანონიმურობა და ნაშრომის ხელშეუხებლობა, რის პარალელურადაც გაიზრდება სტუდენტთა ცნობიერება შემფასებელთან თვითიდენტიფიკაციის რისკებზე. პროცესის მეტი გამჭვირვალობისთვის, სტუდენტი ვალდებული უნდა იყოს დაასაბუთოს და მიუთითოს მხოლოდ კონკრეტული გასაჩივრებული კომპონენტი, რომელსაც შეამოწმებს უშუალოდ კურსის წამყვანი პედაგოგი. მნიშვნელოვანია ისიც, რომ საბოლოო შეფასების 15%-ზე მეტით ცვლილებისას პედაგოგისგან მოითხოვებოდეს დეტალური წერილობითი განმარტება და სხვ.

[3] კვლევის დეტალების შესახებ იხ. დანართი 2

### 2.1.4 სტუდენტთა მონაწილეობა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებში

ხარისხის უზრუნველყოფის მოქმედი როგორც ავტორიზაციის ისე აკრედიტაციის სტანდარტები გულისხმობს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულების თითოეული რგოლის აქტიურ ჩართულობას ინსტიტუციური განვითარების პროცესში, მათ შორის სტუდენტები ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფიგურაა ზემოხსენებული პროცესების, რომელიც გულისხმობს:

- სტუდენტთა მონაწილეობას ხარისხის უზრუნველყოფის კვლევის პროცესებში (როგორც გამოკითხვებში, ისე ფაკულტეტებისა და უნივერსიტეტის დონეზე მოქმედ კოლეგიურ ორგანოებში (მათ შორის პროგრამის მხარდამჭერი კომიტეტის მუშაობაში და საგანმანათლებლო პროგრამების თვითშეფასების სამუშაო ჯგუფებში);
- ხარისხის შიდა და გარე შეფასების პროცესებში (მათ შორის საგანმანათლებლო პროგრამების კოოლეგიალური შეფასების, ავტორიზაციის, აკრედიტაციის პროცესებში) სტუდენტთა აქტიურ ჩართულობას;
- სტუდენტთა პრაქტიკას ხარისხის უზრუნველყოფის როგორც ცენტრალურ, ისე საფაკულტეტო სამსახურში (მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის ***განათლების მეცნიერების*** პრაქტიკის ფარგლებში);
- სტაჟირებას ხარისხის უზრუნველყოფის როგორც ცენტრალურ, ისე საფაკულტეტო სამსახურში;
- გარე შეფასების სტუდენტ ექსპერტთა კონკურსში მონაწილეობას;
- უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციისა და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებები ავტორიზაციის საბჭოებში გამოცხადებულ კონკრუსებში სტუდენტის ქვოტით მონაწილეობას.

სტუდენტთა აქტივობა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებში ხელს უწყობს საგანმანათლებლო პროცესის უწყვეტ გაუმჯობესებას, ინსტიტუციური მართვის დემოკრატიული პრინციპების განმტკიცებასა და სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს განვითარებას.

2025 წლის საანგარიშო პერიოდშიც აქტიურ თანამშრომლობას ეწეოდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური სტუდენტებთან:

- საუნივერსიტეტოს კვლევებსა და გამოკითხვებში გამოხმაურება ჰქონდა ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის საფეხურის სტუდენტთა 21%-ს;
- საგანმანათლებლო პროგრამების (რე)აკრედიტაციის, დაგეგმვისა და შემუშავების მხარდამჭერი კომიტეტების მუშაობაში (უნივერსიტეტში არსებულ 215 საგანმანათლებლო პროგრამის მუშაობაში ჩართულია 57 პროგრამული კომიტეტი, სადაც (რე)აკრეიდიტაციის, გეგმიური და არაგეგმიური მონიტორინგის პროცესში ჩართული იყო 71 სტუდენტი;
- საგანმანათლებლო პროგრამების შიდა შეფასების პროცესებში. სახელდობრ, 2024 წელს შიდა შეფასების პროცესში მონაწილეობა მიიღო 35 სტუდენტმა, როგორც პროგრამის მხარდამჭერი კომიტეტის წევრმა, ხოლო 170-მდე სტუდენტმა, როგორც შეფასებაში მონაწილემ.
- 2024 წელს სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ***განათლების მეცნიერებები*** 2 მაგისტრანტი სასწავლო პრაქტიკას გადიოდა უნივერსიტეტის უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში, რომელსაც დავალებები ეძლეოდა თემატურად და ინდივიდუალურად.

ყველა ზემოთ ჩამოთვლილი აქტივობის შეჯერების საფუძველზე უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ახალ საანგარიშო პერიოდში გეგმავს: ***სტუდენტთა მონაწილეობის გაფართოებას ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებში ჩართულობაში.***

### 2.1.5 საუნივერსიტეტო რეგულაციებისა და ნორმატიული დოკუმენტების შესწავლისა და განხილვისათვის

საუნივერსიტეტო რეგულაციებისა და ნორმატიული დოკუმენტების სისტემური შესწავლა და განხილვა, შემდგომში მისი გაზიარება ხარისხის უზრუნველყოფის რგოლებში მნიშვნელოვანი

პროცესია, რომელიც უზრუნველყოფს ინსტიტუციის მიერ მოქმედი სამართლებრივი ნორმებისა და შინაგან რეგულაციების შესაბამისობას, აძლიერებს მართვის გამჭვირვალობას და ხელს უწყობს სამართლებრივი რისკების პრევენციას.
რეგულაციებისა და ნორმატიული დოკუმენტების ანალიზი მიზნად ისახავს უნივერსიტეტის სამეცნიერო, ადმინისტრაციული და საგანმანათლებლო აქტივობების სამართლებრივად მყარ საფუძველზე წარმართვას. პროცესში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ფაკულტეტებისა და სამეცნიერო-აკადემიური ერთეულების საქმიანობის შესაბამისობას უნივერსიტეტის სტრატეგიასთან, შიდა წესდებებსა და ეროვნული კანონმდებლობის მოთხოვნებთან.
ამ თვალსაზრისით უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური აქტიურად თანამშრომლობს გარე აქტორებთან, ჩართულია არაერთ საკანონმდებლო სიახლის განხილვაში და შემდგომში ახდენს საკანონმდებლო სიახლეების ასახვას შიდა საუნივერსიტეტო რეგულაციებში. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, უნივერსიტეტის დარგობრივი და განათლების ექსპერტები აქტიურად არიან ჩართულები ასევე საპილოტე პროექტების განხილვაში, აზიარებენ სიახლეებს საუნივერსიტეტო სივრცეში.
*აღნიშნული ანალიზი საშუალებას იძლევა:*

- *გამოვლინდეს სამართლებრივი რისკები და შეუსაბამობები;*
- *უზრუნველყოს სამართლებრივი რეგულაციების ინტერპრეტაცია და ერთიანი პრაქტიკის განვითარება;*
- *მხარდაჭერილი იქნეს ხარისხის უზრუნველყოფის, ავტორიზაციის, აკრედიტაციისა და შიდა მონიტორინგის პროცესები;*
- *გაძლიერდეს თანამშრომლობა ადმინისტრაციულ ორგანოებსა და აკადემიურ პერსონალს შორის.*

საანგარიშო პერიოდში სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ დაიგეგმა და განხორციელდა მთელი რიგი ტრენინგები, სამუშაო შეხვედრები და სემინარები, რომელზეც განხილული იყო ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში დაანონსებული ცალკეული სიახლე და ინოვაცია, მათ შორის უნდა დასახელდეს:

- *ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის მონიტორინგის შედეგების განხილვა* **(იანვარი, 2025);**
- *ცვლილებები ფაკულტეტების დოქტორანტურის დებულებებში* (**2025**);
- *ცვლილებები აკადემიური საბჭოს N100 დადგენილებაში საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების ინსტრუქცია და დამტკიცების პროცედურა_§5* დამატების შესახებ (საბაკალავრო პროგრამებში დამატებითი პროგრამის ფორმირება_**ივლისი, 2025**)*;*
- *მონაწილეობა უმაღლესი განათლების დარგობრივი მახაისათებლები შემუშავების საბჭოს მუშაობაში* (5 განახლებული დარგობრივი მახასიათებლის საბჭო, 3 ახალ საბჭო **2025**);
- *ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს და სწავლის სფეროების კლასიფიკატორ* ში ახალი სფეროს დამატების ინიცირების შესახებ (ბავშვის უფლებები_**ნოემბერ-დეკემბერი, 2025**);
- *ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის მონიტორინგის ანგარიშის განხილვა* (**02.12.2024**);
- *ერთობლივი და ორმაგი საგანმანათლებლო პროგრამების ინსტიტუტთაშორისი შეთანხმების განახლება და შემუშავება 5 საგანმანათლებლო პროგრამაზე.*

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა შეისწავლა და კომენტარები დაურთო, ისევე როგორც უნივერსიტეტის აკადემიურმა პერსონალმა დარგობრივი ექსპერტის სტატუსით მონაწილეობა მიიღო განხილვებში:

- ✓ სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ინიცირებულ ცვლილებებს ავტორიზაციისა და აკრედიტაციის დებულებებში, რომელიც შეეხებოდა წინამდებარე პროცესებში ცალკეული პროცედურების ცვლილებებს;
- ✓ სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ინიცირებულ ცვლილებებს უმაღლესი განათლების პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს პროცედურებში.

2025 წლის საანგარიშო პერიოდში განახლდა და თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური უფროსის ბრძანებით დამტკიცდა *სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების ჩამოყალიბებისა და შეფასების გზამკვლევის* განახლებული რედაქცია, სადაც დაემატა ახალი ჩანაწერი ბიზნეს ადმინისტრირების ერთწლიანი მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგების შემუშავების შესახებ.

## 2.2 ხარისხის გარე უზრუნველყოფა

ხარისხის გარე უზრუნველყოფის პროცესი ეფუძნება დამოუკიდებელი გარე შეფასების მექანიზმებს და მიზნად ისახავს საგანმანათლებლო პროგრამებისა და ინსტიტუციური მართვის ეფექტურობის ობიექტურ შეფასებას. გარე ხარისხის უზრუნველყოფა მოიცავს აკრედიტაციის, ავტორიზაციისა და პერიოდული შეფასების პროცესებს, რომლებიც ხორციელდება უფლებამოსილი ეროვნულ ან საერთაშორისო სააგენტოების მიერ. აღნიშნული პროცესები ეფუძნება წინასწარ განსაზღვრულ კრიტერიუმებსა და სტანდარტებს, რომლებიც მოიცავს სწავლებისა და კვლევის ხარისხს, მართვის ეფექტურობას, რესურსების საკმარისობასა და სტუდენტთა მხარდაჭერის სისტემებს.

ხარისხის გარე უზრუნველყოფის სრულყოფილ და ეფექტურ მართვას მეტწილად განაპირობებს ხარისხის შიდა უზრუნველყოფის სრულყოფილი მექანიზმის შექმნა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში და ხელს უწყობს გამჭვირვალობის გაზრდას, ანგარიშვალდებულების გაძლიერებას და საერთაშორისო აღიარების მიღწევას. იგი ასევე უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისობას შრომის ბაზრის მოთხოვნებთან და სტუდენტთა საჭიროებებთან. ის არის უწყვეტი პროცესი, რომელიც უზრუნველყოფს ინსტიტუციური საქმიანობის ობიექტურ შეფასებას, ხარისხის კულტურის განმტკიცებას და უნივერსიტეტის მდგრად განვითარებას.

ხარისხის გარე უზრუნველყოფის პროცესი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ორი მიმართულებით ვითარდება:

- გარე განმავითარებელ შეფასებათა ციკლი უნივერსიტეტში;
- მზადება საგანმანათლებლო პროგრამების (რე)აკრედიტაციის პროცესისათვის.

### 2.2.1 გარე განმავითარებელ შეფასებათა ციკლი უნივერსიტეტში

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს საანგარიშო პერიოდში სამუშაო გეგმის მიხდვით დაგეგმილი ჰქონდა გეგმიური კლასტერული და ინდივიდუალური აკრედიტაციის, გეგმიური და არაგეგმიური მონიტორინგის პროცესები. ამ მიზნით შემუშავდა ახალი საგანმანათლებლო პროგრამები, რომელიც დაექვემდებარა როგორც ადგილობრივი აკრედიტაციის, ისე საერთაშორისო სააგენტოს მიერ შემუშავებულ დებულებესა და რეგულაციებს.

საანგარიშო პერიოდში დაიგეგმა კონკრეტული საგანმანათლებლო პროგრამების როგორც ინდივიდუალური, ისე კლასტერული რეაკრედიტაციები და რამდენიმე გეგმიური და არაგეგმიური მონიტორინგის პროცესი.

უკანასკნელ საანგარიშო პერიოდში დაწესებულება ინტენსიურად არის ჩართული გარე შუალედური შეფასების პროცესებში, სადაც პროგრამებში მიმდინარე განვითარების პროცესები წარმოდგენილია მეტწილად კლასტერულად, რათა საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებლებმა ჰოლისტურად აღიქვან დარგის გამოწვევები და მიმდინარეს სიახლეები განიხილონ და დანერგონ როგორც სწავლა-სწავლების, ისე კვლევის პროცესებში.

### 2.2.2 უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამების (რე)აკრედიტაციის პროცესი

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური გასულ საანგარიშო პერიოდში აქტიურად უჭერდა მხარს ახალი ერთობლივი და ორმაგი, ინტერდისციპლინურ კვლევებზე დაფუძნებული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებას. თუმცა არ შეფერხებულა უკვე არსებული და აქტიური საგანმანათლებლო პროგრამების რეაკრედიტაციის პროცესი, როგორც ინდივიდუალურ, ისე კლასტერულ ფორმატში, დაიგეგმა და განხორციელდა რამდენიმე პროგრამის (რე)აკრედიტაციის პროცესი საერთაშორისო სააკრედიტაციო სააგენტოების ჩართულობით (ABET, FIBAA და ავსტრიის აკრედიტაციის საერთაშორისო სააგენტო). ამასთან უნდა ხაზგასმით აღინიშნოს, რომ დაწესებულებას უკანასკენლი სამი წელია აქვს კარგი პრაქტიკა საგანმანათლებლო პროგრამების და განსაკუთრებით ერთობლივის, საერთაშორისო დონორების ჩართულობით აკრედიტების. სააკრედიტაციო პროცესში ჩართულია საგანმანათლებლო პროგრამით დაინტერესებული ყველა პირი, საფაკულტეტო ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურები, უნივერსიტეტის სხვადასხვა სტრუქტურულ ერთეულებში დასაქმებული პროგრამული აკრედიტაციის ექსპერტები, საგანმანათლებლო პროგრამების

განმახორციელებელი პირები, სტუდენტები და სხვა დაინტერესებული პირები. საგანმანათლებლო პროგრამების განხილვა უნივერსიტეტში საჯაროა და შესაბამისი რეკომენდაციები წარედგინება პროგრამის მხარდამჭერ კომიტეტებს, რომელთა აქტიური ჩართულობით პროგრამაში ხორციელდება ცალკეული განმავითარებელი ცვლილებები.
პერიოდულად საგანმანათლებლო პროგრამებმა განიცადეს კონკრეტული ცვლილებები (უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს (7 სხდომაზე) წინაშე წარდგენილი იყო 7 ფაკულტეტის 188 საგანმანათლებლო პროგრამის 53-მდე სხვადასხვა ტიპის ცვლილება; (რე)აკრედიტაციის მიზნით დამტკიცდა 5 კლასტერი (16 პროგრამა) და 9 ინდივიდუალური პროგრამა; დამტკიცდა 2 რედაქტირებული საუნივერსიტეტო შიდა რეგულაცია),
2025 წლის ცვლილებების მაჩვენებელი ფაკულტეტების მიხედვით შემდეგია: უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს (7 სხდომაზე) წინაშე წარდგენილი იყო 7 ფაკულტეტის 188 საგანმანათლებლო პროგრამის 53მდე სხვადასხვა ტიპის ცვლილება; (რე)აკრედიტაციის მიზნით დამტკიცდა 5 კლასტერი (16 პროგრამა) და 9 ინდივიდუალური პროგრამა; დამტკიცდა 2 რედაქტირებული საუნივერსიტეტო შიდა რეგულაცია). ცვლილებების დეტალური ანალიზის თანახმად სტატისტიკა აჩვენებს, რომ მინიმალურია ცვლილებები მედიცინისა და იურიდიული ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამებში, ისევე როგორც გასულ საანარიში პერიოდში ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი საგანმანათლებლო პროგრამებში, გამომდინარე იქიდან, რომ ზემოხსენებულ ფაკულტეტზე საგანმანათლებლო პროგრამების 90% დაექვემდებარა რეაკრედიტაციის პროცესს, ფაკულტეტს არ წარუდგენია რაიმე ახალი საგანმანათლებლო პროგრამა აკრედიტაციის მიზნით.
პერიოდულად საგანმანათლებლო პროგრამებმა განიცადეს კონკრეტული ცვლილებები, რომელთაც საფუძვლად დაედოთ:

- ✓ ცვლილებები კანონმდებლობაში ან საუნივერსიტეტო რეგულაციებში;
- ✓ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოსა და აკრედიტაციის ექსპერტთა (გარე შემფასებელთა) რეკომენდაციები;
- ✓ შიდა და გარე კოლეგიური შეფასების შედეგად შემუშავებული რეკომენდაციები;
- ✓ დარგში განხორციელებული ცვლილებები სწავლებისა და კვლევის მიმართულებით, რომელიც ინიცირებული იყო პროგრამის განმახორციელებელი პირების მხრიდან და ემყარებოდა მათ ადგილობრივ, თუ საერთაშორისო გამოცდილებას;
- ✓ სტუდენტთა გამოკითხვების შედეგების ანალიზი;
- ✓ სწავლის შედეგების ანალიზი;
- ✓ შრომისა და განათლების ბაზრის მოთხოვნები;
- ✓ დამსაქმებელთა გამოკითხვის შედეგების ანალიზი;
- ✓ საგანმანათლებლო პროგრამის ინტერნაციონალიზაციის არეალის გაფართოება.

საუნივერსიტეტო საგანმანათლებლო პროგრამების ბაზას დაემატა 5 ახალი საგანმანათლებლო პროგრამა (მათ შორის: 2 ბაკალავრიატის (მათ შორის 1 180კრედიტიანი, 2 მაგისტრატურის, 1 დოქტორანტურის); რეარედიტებულია: 16 საგანმანათლებლო პროგრამა, მათ შორის: 4 ბაკალავრიატის, 4 მაგისტრატურის, 3 დოქტორანტურის საფეხურის, 2 ინტეგრირებული და 3 60კრედიტიანი მასწავლებლის პროგრამა): ჩარჩოსთან თავსებადობის ფარგლებში არაგეგმიური მონიტორინგს დაექვემდებარა 1 საგანმანათლებლო პროგრამა (1 მაგისტრატურა), ხოლო გეგმიური მონიტორინგი გაიარა სამწლიანი შუალედური ანგარიშების წარდგენით 7 საგანმანათლებლო პროგრამამ (2 ბაკალავრიატის, 3 მაგისტრატურის, 2 დოქტორანტურის); რაც შეეხება 2022-24 წელს აკრედიტებულ პროგრამებს, მათგან 22 ერთეული წარდგენილი იყო ანგარიშებით აკრედიტაციის საბჭოს წინაშე (2 ბაკალავრიატის (მათ შორის 1 180კრედიტიანი), 12 მაგისტრატურის, 4 ერთსაფეხურიანი, 4 დოქტორანტურა).
(რე)აკრედიტებული პროგრამები წარდგენილი იყო როგორც კლასტერში (4 კლასტერი, შესაბამისად, 17 საგანმანათლებლო პროგრამა). მოცემულ ეტაპზე აკრედიტაციის პროცესშია 1 ბაკალავრიატის და 2 მაგისტრაუტირს საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა, ისევე როგორც 6 საგანმანათლებლო პროგრამა (2 კლასტერი), წარდგენი საერთაშორისო სააგენტოს FIBAA-ს აკრედიტაციაზე.
საანგარიშო პერიოდში მზადდებოდა ახალი თემატური კლასტერი, რომლის განხილვა დაგეგმილია 2026 წელს (სამართლის საგანმანათლებლო პროგრამები). ამასთან, საქართველოს საგანმანათლებლო

სივრცეში მიმდინარე საკანონმდებლო ცვლილებებს 2026 წელს დაექვემდებარება პრაქტიკულად საუნივერსიტეტო საგანმანათლებლო პროგრამების 80%, რომლის მოსამზადებელი საფეხურეების დაგეგმა ინსტიტუციაში უკვე მიმდინარეობს.

## 2. ინსტიტუციური განვითარების შესახებ

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური არსებულ საერთაშორისო სტანდარტებზე, ევროპულ მეთოდებსა და სისტემურ გამოცდილებაზე დაყრდნობით, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, კოორდინაციას უწევს უნივერსიტეტში მიმდინარე აკადემიურ პროცესებს, ყურადღებას ამახვილებს მნიშვნელოვან თემებზე, აგროვებს სხვადასხვა სახის ინფორმაციას, აანალიზებს მათ. ამ პროცესში მნიშვნელოვან როლს თამაშობს რეგულარული ინსტიტუციური შეფასება, რაც შესაძლოა მიზნობრივად შეივსოს კონკრეტული აქტუალური თემებისა და პრობლემატიკის ზოგადი კვლევების შედეგებით.

საანგარიშო პერიოდში სამსახურის მიერ ინსტიტუციური განვითარების ფარგლებში განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭა ისეთ საკითხებს, როგორიცაა:

- საუნივერსიტეტო საქმიანობაში ხელოვნური ინტელექტის ინტეგრაციის სტრატეგიის (2025-2028) შემუშავების შესახებ
- პერსონალის განვითარების მხარდაჭერა;
- საერთაშორისო საგრანტო კონკურსებში უნივერსიტეტის მონაწილეობის მხარდაჭერა;
- უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ჩართულობა საერთაშორისო პროექტებში;
- აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვა;
- უნივერსიტეტი საერთაშორისო რანჟირების სისტემაში;
- სიახლეები პროფესიული განათლების ცენტრში;
- თანამშრომლობა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურებთან;
- უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ვებგვერდი;

### 3.1 საუნივერსიტეტო საქმიანობაში ხელოვნური ინტელექტის ინტეგრაციის სტრატეგიის (2025-2028) შემუშავების შესახებ

უნივერსიტეტის როლი სწრაფად ცვალებად ტექნოლოგიურ სამყაროში სულ უფრო მეტად დამოკიდებულია მის შესაძლებლობაზე ეფექტიანად გამოიყენოს ხელოვნური ინტელექტის შესაძლებლობები სწავლების, კვლევის და ადმინისტრირების სფეროებში. ხელოვნური ინტელექტის ინტეგრაციის სტრატეგიული გეგმა მიზნად ისახავს ხელი შეუწყოს განათლების ხარისხის გაუმჯობესებას, კვლევითი შესაძლებლობების გაძლიერებას, ადმინისტრაციული პროცესების ოპტიმიზაციას, ეთიკური და პასუხისმგებლიანი გამოყენების სტანდარტების დამკვიდრებას და პერსონალისა და სტუდენტების ციფრული უნარების განვითარებას. სტრატეგიის განხორციელების პროგრესს მეთვალყურეობას გაუწევს სპეციალური მონიტორინგის ჯგუფი.

ხელოვნური ინტელექტის საუნივერსიტეტო სტრატეგიის შემუშავება დაიწყო თსუ-ის რექტორის ხელმძღვანელობით, უნივერსიტეტის აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების აქტიური ჩართულობით. დოკუმენტის შექმნის პროცესში გამოყენებულ იქნა საერთაშორისო გამოცდილება და საუკეთესო პრაქტიკები, რომლებიც დამკვიდრებულია წამყვან ევროპულ უნივერსიტეტებში, სადაც ხელოვნური ინტელექტი უკვე იქცა საგანმანათლებლო პროცესის, კვლევისა და მმართველობის სისტემური ტრანსფორმაციის საფუძვლად.

რექტორის ბრძანებით (ბრძანების N: 101/01-01, თარიღი: 20/05/2025) საანგარიშო წელს შეიქმნა საუნივერსიტეტო სამუშაო ჯგუფი სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ხელოვნური ინტელექტის საუნივერსიტეტო სტრატეგიის შემუშავების მიზნით (ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურიდან ჯგუფის ჯგუფის მუშაობაში ჩართული იყვნენ შოთა ფოთოლაშვილი, სამსახურის უფროსი, და თინათინ დავითაშვილი, უფროსი სპეციალისტი).

2025 წლის ივლისში სამუშაო ჯგუფის ინიციატივით ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა უნივერსიტეტში ჩაატარა კვლევები სტუდენტთა, აკადემიური და მოწვეული პერსონალის, ადმინისტრაციული პერსონალისა და დამსაქმებელთა ჯგუფებს შორის. რესპონდენტთა ყველა ჯგუფში გამოიკვეთა AI წიგნიერების გაზრდის მიზნით ტრენინგების ჩატარებისა და ცოდნის გაღრმავების საჭიროება.

2025 წლის 15 სექტემბერს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ხელოვნური ინტელექტის სტატეგიის განხილვის მიზნით, თსუ რექტორის, აკადემიკოს ჯაბა სამუშიას, საქართველოს განათლების, მეცნიერების და ახალგაზრდობის მინისტრის მოადგილის ზვიად გაბისონიას, ფაკულტეტების დეკანების და ადმინისტრაციის წარმომადგენლების შემაჯამებელი სამუშაო შეხვედრა გაიმართა.

რექტორმა ჯაბა სამუშიამ შეხვედრაზე ისაუბრა თსუ-ის ხელოვნური ინტელექტის სტრატეგიის მნიშვნელობაზე, რომელიც უნივერსიტეტის განვითარებასა და თანამედროვე საგანმანათლებლო პროცესების ტრანსფორმაციას უკავშირდება. მან ხაზი გაუსვა, რომ სტრატეგია ხელს შეუწყობს სწავლების ხარისხის ამაღლებას და უნივერსიტეტში ინოვაციური, უსაფრთხო და ეთიკური გარემოს შექმნას, როგორც სტუდენტებისთვის, ისე აკადემიური პერსონალისთვის. ამასთან, ჯაბა სამუშიამ აღნიშნა, რომ თსუ-ის მიზანია ევროპულ გამოცდილებასთან მაქსიმალური დაახლოება და ახალი სტანდარტების დანერგვა, რაც უნივერსიტეტს საშუალებას მისცემს კვლავ ლიდერი იყოს არა მხოლოდ საქართველოში, არამედ რეგიონშიც.





თსუ პირველი უმაღლესი სასწავლებელია საქართველოში, რომელიც ხელოვნური ინტელექტის სტრატეგიაზე მუშაობს. უნივერსიტეტი ამ მიმართულებით ევროპული რეგულაციების გამოცდილებას ეყრდნობა, განსაკუთრებით ევროკავშირის მიერ 2024 წელს მიღებულ ხელოვნური ინტელექტის აქტს, რომელიც პერსონალური მონაცემების დაცვის მკაცრ სტანდარტებს, რისკების კლასიფიცირებას და განათლების სექტორისთვის საჭირო პასუხისმგებლობების განსაზღვრას მოიცავს.

## 3.2 უნივერსიტეტის პერსონალის განვითარების მხარდაჭერა

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ორგანიზებით აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალისთვის, პროფესიული განვითარების ფარგლებში, ხელოვნური ინტელექტის ტექნოლოგიის გამოყენებისა და შესაძლებლობების შესახებ საინფორმაციო შეხვედრები დაიწყო.

2025 წლის მაისში გაიმართა პირველი მასშტაბური შეხვედრა თსუ პროფესორებსა და პერსონალთან. შეხვედრის მონაწილეებს თსუ რექტორმა, აკადემიკოსმა ჯაბა სამუშიამ მიმართა. ტრენინგები მიზნად ისახავდა უნივერსიტეტის თანამშრომლების ცნობიერების ამაღლებას ხელოვნური ინტელექტის ტექნოლოგიის პრაქტიკული გამოყენებისა და ეთიკური ასპექტების შესახებ. შეხვედრების ფარგლებში თანამშრომლები გაეცნენ ხელოვნური ინტელექტის (AI) თანამედროვე ინსტრუმენტებს, ასევე, პრაქტიკული გამოყენების შესაძლებლობებს სასწავლო, კვლევით და ადმინისტრაციულ საქმიანობაში.

  

შეხვედრას უძღვებოდნენ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი შოთა ფოთოლაშვილი და მთავარი სპეციალისტი თინათინ დავითაშვილი. შესაბამისი საცნობარო მასალები განთავსდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ვებგვერდზე

## 3.3 საერთაშორისო საგრანტო კონკურსებში უნივერსიტეტის მონაწილეობის მხარდაჭერა

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ინიციატივით, უნივერსიტეტის შესაბამის ადმინისტრაციულ სტრუქტურებთან თანამშრომლობით, შემუშავდა და დამტკიცდა სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სახელით "ერაზმუს+" (Key Action 2; Key Action 3; Jean Monnet) ფარგლებში საერთაშორისო საგრანტო განაცხადის წარდგენის წესი (ბრძანება: 24.12.2019, 22/04). აღნიშნული წესის მიზანია უნივერსიტეტის სახელითა და მისი ჩართულობით განხორციელებული პროექტების მაღალი ხარისხის, სანდოობის, ეფექტიანობის, უნივერსიტეტის პრიორიტეტებისა და საჭიროებებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა; უნივერსიტეტისთვის საგრანტო განაცხადების სისტემატიზებაში, კონტროლსა და არაპროდუქტიული ხარჯების თავიდან აცილებაში დახმარება. წესის მიხედვით განსაზღვრულია მოთხოვნები, რასაც უნდა აკმაყოფილებდეს საერთაშორისო საგრანტო განაცხადი იმისთვის, რომ წარდგენილ იქნას უნივერსიტეტის სახელით ან უნივერსიტეტი ჩაერთოს პროექტში როგორც ერთ-ერთი მონაწილე.

თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ინიცირებით აღნიშნულ ბრძანებაში შევიდა რიგი ცვლილებები. კერძოდ, შეივსო ერაზმუს+-ის პროგრამების ჩამონათვალი და დაემატა პროფესიული განათლების მიმართულებაც. ბოლო ცვლილება განხორციელდა ბრძანებით 7/01-01, 17/01/2024.

2025 წელს მიმდინარე კონკურსზე წარდგენილ იქნა ერაზმუს+-ის 13 აპლიკაციის განაცხადი, კომისიამ შეკრებები გამართა 2025 წლის იანვარ-თებერვალში. კომისიის მუშაობაში მონაწილეობდნენ სამსახურის უფროსი შ. ფოთოლაშვილი (კომისიის წევრი) და მთავარი სპეციალისტი თ. დავითაშვილი (კომისიის მდივანი).

## 3.4 ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ჩართულობა საერთაშორისო პროექტებში

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ჩართულია HORIZON Europe და Erasmus+-ის რამდენიმე პროექტის განხორციელებაში:

- HORIZON EUROPE პროექტი „ინოვაციური კულტურის ხელშეწყობა ქართული ხელოვნური ინტელექტის მკვლევრების საზოგადოების ახალი თაობისთვის“ (FORGE-AI);
- ERASMUS+ პროექტი ,,კვლევის პასუხისმგებლობიანად წარმართვა – კვლევის კეთილსინდისიერება და ეთიკა ქართულ უნივერსიტეტებში” (ETHICS);
- ERASMUS+ პროექტი „ხარისხიანი ციფრული განათლების ხელშეწყობა საქართველოში (PRODIGE).

### 3.4.1 ხარისხის მონაწილეობა HORIZON EUROPE პროექტში „ინოვაციური კულტურის ხელშეწყობა ქართული ხელოვნური ინტელექტის მკვლევრების საზოგადოების ახალი თაობისთვის“ (FORGE-AI)

FORGE-AI დაფინანსებულია ევროკავშირის HORIZON-WIDERA-2024-TALENTS-03 პროგრამის ფარგლებში. მისი მიზანია საქართველოში ხელოვნური ინტელექტის კვლევისა და ინოვაციების

განვითარება. პროექტი აერთიანებს ევროკავშირის, საქართველოსა და სომხეთის 13 წამყვან უნივერსიტეტს, კვლევით ცენტრსა და ინდუსტრიულ პარტნიორს. პროექტის განხორციელებას კოორდინაციას უწევს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ნიკო მუსხელიშვილის სახელობის გამოთვლითი მათემატიკის ინსტიტუტი. თსუ-დან პროექტს კოორდინირებას უწევს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერების ფაკულტეტთან ერთად.

პროექტის მთავარი ამოცანაა ახალგაზრდა ქართველ მკვლევრებს მისცეს ცოდნისა და გამოცდილების გაღრმავების შესაძლებლობა. ამისათვის იგეგმება თანამედროვე ტრენინგები და გრძელვადიანი საერთაშორისო მივლინებები ევროპულ უნივერსიტეტებსა და კვლევით ცენტრებში. 25 ქართველი მკვლევარი გაივლის პრაქტიკას საზღვარგარეთ და იმუშავებს მრავალსექტორულ გუნდებში.

პროექტი ასევე შექმნის ღია წვდომის ონლაინ პლატფორმას, სადაც ხელმისაწვდომი იქნება მაღალი ხარისხის კვლევითი რესურსები ხელოვნური ინტელექტის მიმართულებით. მასალებით სარგებლობას შეძლებენ სტუდენტები, მკვლევრები და სხვა პროფესიონალები. პლატფორმა ხელს შეუწყობს ცოდნის გაზიარებას და კვლევის ხელშეწყობას.

გარდა ამისა, FORGE-AI ხელს შეუწყობს პოლიტიკის შემქმნელების, ბიზნესისა და აკადემიური წრის თანამშრომლობას, რათა განავითარონ საქართველოს ეროვნული AI სტრატეგიები, დააახლოვონ ისინი საუკეთესო ევროპულ პრაქტიკებთან, გააუმჯობესონ დაფინანსების მექანიზმები და უზრუნველყონ ინოვაციების მდგრადი განვითარება.

FORGE-AI მიზნად ისახავს, რომ საქართველო ჩამოყალიბდეს, როგორც აქტიური და კონკურენტუნარიანი წევრი გლობალურ ხელოვნური ინტელექტის კვლევით საზოგადოებაში.

**FORGE-AI: პირველი ტრენინგი ხელოვნური ინტელექტის მკვლევართათვის**

FORGE-AI პროექტის პირველი სასწავლო სამუშაო შეხვედრა 11–12 ნოემბერს თბილიში, ნიკო მუსხელიშვილის სახელობის გამოთვლითი მათემატიკის ინსტიტუტში გაიმართა. ორი დღის განმავლობაში ახალგაზრდა მკვლევრები ერთად შეიკრიბნენ, რათა შეესწავლათ, როგორ შეიძლება ხელოვნური ინტელექტის ინოვაციური იდეები რეალურ, პრაქტიკულ პროდუქტებად იქცეს. თსუ-დან ტრენინგში მონაწილეობის მისაღებად შეირჩა 11 ახალგაზრდა მკვლევარი /დოქტორანტი /მაგისტრანტი კომპიუტერული მეცნიერების, ფიზიკის, გერმანული ფილოლოგიის მიმართულებებიდან.

I დღე: იდეებიდან მომხმარებელზე ორიენტირებულ გადაწყვეტებამდე

პირველი დღის მთავარი თემა იყო ადრეული ეტაპის AI იდეების გარდაქმნა პრაქტიკულ და მომხმარებელზე ორიენტირებულ პროდუქტად. შესავალი სესიის შემდეგ მონაწილეები სტარტაპის საფუძვლებს გაეცნენ და იმაზე იმუშავეს, თუ როგორ შეიძლება კვლევის შედეგები რეალური პროდუქტების საფუძველი გახდეს. Creative Cluster-ისა და DFKI-ს ექსპერტების დახმარებით გუნდებმა განსაზღვრეს სამიზნე მომხმარებლები, ჩამოაყალიბეს ღირებულების შეთავაზებები და შეაფასეს შესაძლო ზეგავლენა. სესიების მეორე ნახევარი დაეთმო მომხმარებელზე ორიენტირებული დიზაინისა და მიწოდების ტექნიკებს. მონაწილეები სწავლობდნენ, როგორ წარმოედგინათ საკუთარი ხედვა მკაფიო, თანმიმდევრული და დამაჯერებელი ფორმით. მიღებული ცოდნა გუნდებმა პრაქტიკაში გამოიყენეს ერთობლივი ნარატივების შექმნის დავალებებში.

II დღე: სტრატეგიული ჩარჩოები და რეალური დანერგვა

მეორე დღე სტრატეგიულ და პრაქტიკულ საკითხებს მიეძღვნა. დღის პირველ ნახევარში მონაწილეები გაეცნენ ინტელექტუალური საკუთრების საფუძვლებსა და AI-ის პასუხისმგებლობით გამოყენებით პრინციპებს, რის შედეგადაც მიიღეს დამატებითი ცოდნა ეთიკის, სამართლებრივი დაცვისა და მდგრადი განვითარების მიმართულებით. შემდგომი სესიები AI ბიზნეს მოდელებს დაეთმო, რაც მონაწილეებს დაეხმარა გაეგოთ, როგორ შეიძლება შეიქმნას ინოვაციური გადაწყვეტილებები. დღის მეორე ნახევარში გაიმართა გაფართოებული სემინარი Business Model Canvas-ის საფუძველზე, სადაც გუნდებმა თავიანთი საწყისი იდეები კიდევ უფრო დახვეწეს და განავითარეს. სამუშაო შეხვედრა დასრულდა ღია Q&A-ით, პროექტების საერთო განხილვებითა და წარმატებული დასაწყისის შეჯამებით.

ეს ტრენინგი მნიშვნელოვანი ნაბიჯია FORGE-AI-ს მისიის განხორციელებაში - მომავალი თაობის მკვლევართა აღჭურვაში არა მხოლოდ ტექნიკური კომპეტენციებით, არამედ მეწარმეობრივი აზროვნებითა და სტრატეგიული ხედვით, რაც აუცილებელია სწრაფად ცვალებად ევროპულ AI

ეკოსისტემაში რეალური გავლენის შესაქმნელად. მომავალი ერთობლივი ინიციატივების წინ, თბილისში გამოვლენილმა შემართებამ შთამბეჭდავი საფუძველი შექმნა FORGE-AI-ის შემდგომი ეტაპების განხორციელებისთვის.

### 3.4.2 მონაწილეობა ERASMUS+ პროექტში „ხარისხიანი ციფრული განათლების ხელშეწყობა საქართველოში (PRODIGE)“

პროექტის „ხარისხიანი ციფრული განათლების ხელშეწყობა საქართველოში“ (PRODIGE) მთავარი მიზანია ციფრული უმაღლესი განათლების ხელშეწყობა საქართველოში შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების შესაძლებლობების გაძლიერების გზით. პროექტის სამ ძირითად კომპონენტს წარმოადგენს:

- განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მხარდაჭერა ციფრული უმაღლესი განათლების პოლიტიკისა და ციფრული განათლების აღიარების რეფორმირების პროცესში;
- ციფრული უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების შემუშავება;
- უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების შესაძლებლობების გაძლიერება ციფრული სწავლების მიმართულებით.

პროექტის ფარგლებში პროექტში ჩართული ქართული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები შეიმუშავებენ ინდივიდუალურ სტრატეგიულ გეგმას ხარისხიანი ციფრული განათლების უზრუნველსაყოფად, რომელიც სრულად იქნება შესაბამისობაში ევროპის საუკეთესო სტანდარტებთან. პროექტის ფარგლებში დაგეგმილია, როგორც სწავლა/სწავლების კომპონენტის დიჯიტალიზაცია ტრენინგების, ვორქშოფების, სასწავლო ტურების, მეთოდოლოგიების, შესაბამისი სასწავლო მოდულებისა და სასწავლო მასალების შემუშავების საშუალებით, ასევე მარეგულირებელი ჩარჩოს, საკანონმდებლო და ხარისხის უზრუნველყოფის პაკეტის განახლება, რასაც უზრუნველყოფს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი. პროექტი ხელს შეუწყობს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და მარეგულირებელი ორგანოების გაძლიერებას ევროპის საუკეთესო გამოცდილებაზე დაყრდნობით.

პროექტში ჩართულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი, 10 უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, ასოცირებული პარტნიორები - საქართველოს სტუდენტური ასოციაცია, განათლების განვითარებისა და დასაქმების ცენტრი (EDEC), გარდა ამისა, პარტნიორი საგანმანათლებლო დაწესებულებები ბელგიიდან, ესტონეთიდან, ესპანეთიდან და ხორვატიიდან, ასევე პროექტის მხარდამჭერია ესტონეთის ხარისხისა და საერთაშორისო აკრედიტაციის სააგენტო და უნივერსიტეტების ქსელი. პროექტის კოორდინატორია EFMD.

PRODIGE ციფრული განათლების სრულყოფისკენ: ერთობლივი სემინარი ბათუმში, 2025 წლის 16-18 ივნისი

2025 წლის 16–18 ივნისს, საქართველოს სხვადასხვა ქალაქიდან ჩამოსული განათლების სფეროს წარმომადგენლები ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიაში შეიკრიბნენ PRODIGE პროექტის ფარგლებში გამართულ სემინარზე, რომელსაც TalTech-ისა და გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის ექსპერტები ხელმძღვანელობდნენ. სამდღიანმა ტრენინგმა მონაწილეებს შესაძლებლობა მისცა გაეღრმავებინათ ცოდნა ციფრული პედაგოგიკის მიმართულებით - მოესმინათ ექსპერტთა ლექციები, ქართული უნივერსიტეტების მიერ მომზადებული პრეზენტაციები და მონაწილეობა მიეღოთ პრაქტიკულ სესიებში ინკლუზიური და ინოვაციური სწავლების შესახებ. ამ ღონისძიებით კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა ქართული უმაღლესი განათლების სექტორში მაღალი ხარისხის ციფრული სწავლების განვითარებისა და ხელმისაწვდომობის გაზრდის მიმართულებით. თსუ-დან სემინარის მუშაობაში მონაწილეობას იღებდნენ თ. დავითაშვილი და მ. გოგნელაშვილი.

PRODIGE ტრენინგების სერია კავკასიის უნივერსიტეტში, 2025 წლის 4-6 თებერვალი

4-6 თებერვალს, Erasmus + ინსტიტუციური განვითარების პროგრამის ფარგლებში დაფინანსებული პროექტის ხარისხიანი ციფრული განათლების ხელშეწყობა საქართველოში (PRODIGE) გაიმართა ტრენინგების სერია პროექტის კონსორციუმის წევრი უნივერსიტეტების წარმომადგენლები-სთვის. ტრენინგებს უძღვებოდნენ ტალინის ტექნოლოგიური უნივერსიტეტის წარმომადგენლები.

ტრენინგზე მონაწილეებმა განიხილეს ციფრული განათლების ძირითადი ასპექტები, მათ შორის:

- ციფრული განათლების მოქნილობა, ხელმისაწვდომობა და მასშტაბურობა
- ხელოვნური ინტელექტი, AR/VR და ადაპტიური სწავლების მიდგომები
- საერთაშორისო წარმატებული პრაქტიკები და მათი ადაპტირება ქართულ კონტექსტში
- რეგულაციები, ხარისხის უზრუნველყოფა და სტრატეგიული განვითარების ხედვა.

ეს იყო პირველი გაცნობითი ხასიათის შეხვედრა პროექტის ფარგლებში, რომლებსაც მოჰყვება დამატებითი აქტივობები, მათ შორის ტრენინგები, სამუშაო გამოცდილების გაზიარება, პოლიტიკების შემუშავება და სხვა ღონისძიებები, რაც ხელს შეუწყობს ციფრული განათლების განვითარებას საქართველოში. თსუ-დან ტრენინგების სერიაში მონაწილეობას იღებდნენ რ. სანაძე და თ.დავითაშვილი.

### 3.4.3 მონაწილეობა ERASMUS+ პროექტში ,,კვლევის პასუხისმგებლობიანად წარმართვა – კვლევის კეთილსინდისიერება და ეთიკა ქართულ უნივერსიტეტებში” (ETHICS)

პროექტის ,,კვლევის პასუხისმგებლობიანად წარმართვა – კვლევის კეთილსინდისიერება და ეთიკა ქართულ უნივერსიტეტებში” (ETHICS) მიზანია, მაღალკვალიფიციურ კვლევებსა და მოწინავე აკადემიურ მიდგომებზე ორიენტირებული პრაქტიკის დანერგვით სისტემურად გააუმჯობესოს უნივერსიტეტებისა და კვლევითი ორგანიზაციების მიერ განხორციელებული კვლევითი საქმიანობა. პროექტის კონკრეტულ ამოცანებში შედის კვლევის ეთიკის, კვლევის სანდოობისა და კვლევის კეთილსინდისიერების მექანიზმების დანერგვა, ასევე მკვლევრების საქმიანობაში, მაღალი დონის სასწავლო პროგრამებსა და სადოქტორო პროგრამების საავკრედიტაციო სტანდარტებში კვლევის პასუხისმგებლობიანად წარმართვის კონცეფციის გაძლიერება, რაც მიზნად ისახავს არაორიგინალური აკადემიური ნაშრომების პრევენციას და ავთენტური კვლევითი პრაქტიკის ხელშეწყობას ქართულ უნივერსიტეტებში.
2025 წლის გაზაფხულზე ERASMUS + პროექტის ,,კვლევის პასუხისმგებლობიანად წარმართვა – კვლევის კეთილსინდისიერება და ეთიკა ქართულ უნივერსიტეტებში” (ETHICS) ფარგლებში თსუ-ში ჩატარდა ტრენინგების მეორე სერია თსუ-ის შვიდივე ფაკულტეტის წარმომადგენლე-ბისთვის, ქართულად თარგმნილი და ადაპტირებული მასალებით.
კვლევის ეთიკის საერთაშორისო პროექტის კონსორციუმის ტრენინგები სამეცნიერო კომუნიკაციის სტრატეგიის განვითარების შესახებ
2025 წლის 15-16 იანვარს, კავკასიის უნივერსიტეტში, ევროკომისიის მიერ დაფინანსებული პროექტის „კვლევის კეთილსინდისიერება და ეთიკა ქართულ უნივერსიტეტებში“ ფარგლებში, გაიმართა ორდღიანი სამუშაო შეხვედრა, რომელიც სამეცნიერო კომუნიკაციის სტრატეგიის განვითარების საკითხებს დაეთმო.
შეხვედრის მიზანი იყო სამეცნიერო კომუნიკაციის ერთიანი სტრატეგიის ჩამოყალიბება, სამოქმედო გეგმის შემუშავება და ევროპელი პარტნიორების საუკეთესო გამოცდილების გაზიარება. ღონისძიებაში მონაწილეობდნენ პროექტის ქართული და უცხოელი პარტნიორი ორგანიზაციების წარმომადგენლები, მათ შორის მკვლევრები, მენეჯერები, კვლევის კეთილსინდისიერების საკითხებზე პასუხისმგებელი პირები, დოქტორანტები, ახალგაზრდა მეცნიერები და პროექტის გარე შემფასებელი.




ETHICS - ეროვნური სამუშაო შეხვედრა თელავში
2025 წლის 23-24 ივნისს თელავში ევროკომისიის მიერ დაფინანსებული პროექტის „კვლევის პასუხისმგებლიანად წარმართვა – კვლევის კეთილსინდისიერება და ეთიკა ქართულ უნივერსიტეტებში (ETHICS)“ ეროვნური სამუშაო შეხვედრა ჩატარდა. შეხვედრაში პროექტის

პარტნიორი 10 ქართული უნივერსიტეტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრისა და შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ. შეხვედრაზე პროექტის პროგრესის, საუნივერსიტეტო კვლევის კეთილსინდისიერების და ეთიკის პოლიტიკის დოკუმენტების, კვლევის კეთილსინდისიერებისა და ეთიკის საბჭო(ებ)ს ჩამოყალიბებისა და სერვისების შექმნა-გაუმჯობესების საკითხები განიხილეს.





## 3.5 აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვა

თსუ-ს ელექტრონული სწავლების პორტალზე დანერგილია მსგავსების/პლაგიატის აღმოჩენისა და პრევენციის მექანიზმი პროგრამა Turnitin, რომელიც პირველად ჩაშენდა Moodle-ის სისტემაში 2018 წელს. 2023 წლის ბოლოსთვის Moodle-ის ელექტრონულ სასწავლო პლატფორმაზე უკვე ატვირთული და განთავსებული იყო 7106-ზე მეტი სასწავლო კურსი, რომლებშიც გააქტიურებული იყო Turnitin-ის ლიცენზები. Turnitin-ის გამოყენება ხდება ელექტრონულ პორტალზე e-learning.tsu.ge, როგორც სხვადასხვა სასწავლო კურსის დავალების/საგამოცდო ნაშრომების, ისე საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო ნაშრომების მსგავსებაზე შესამოწმებლად. 2025 წლის ნოემბრის თვეში კვლავ განახლდა Turnitin-ის ლიცენზია ერთი წლით და მოხდა ახალი ხელშეკრულების გაფორმება.

## 3.6 უნივერსიტეტი საერთაშორისო რანჟირების სისტემაში

მსოფლიო უნივერსიტეტების რანჟირებებში თსუ-ს მონაწილეობა და მათში პოზიციების გაუმჯობესება უნივერსიტეტის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიზანია. წარმოდგენილ ანგარიშში თავმოყრილია ინფორმაცია ორი ყველაზე ავტორიტეტული მსოფლიო უნივერსიტეტის რანჟირების მეთოდოლოგიის, თსუ-ს პოზიციებისა და იმ საქმიანობების შესახებ, რომლებმაც ხელი შეუწყვეს თსუ-ს განათლების ხარისხის, გამჭვირვალობის, გლობალური გავლენისა და საერთაშორისო ცნობადობის გაუმჯობესებას.

**1.1. თაიმსის (Times Higher Education) გლობალური მდგრადობის განვითარების კონგრესში მონაწილეობა.** 2025 წლის 16-19 ივნისს თსუ-მ მონაწილეობა მიიღო ავტორიტეტული ორგანიზაციის - თაიმსის გლობალური მდგრადობის განვითარების კონგრესში (Global Sustainable Development Congress), რომელიც ჩატარდა სტამბულში (თურქეთი). კონგრესის მიზანი იყო გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების მისაღწევად მსოფლიოს უმაღლესი სასწავლებლების გავლენების შეფასება. კონგრესზე ექსკლუზიურად იყო წარმოდგენილი თაიმსის 2025 წლის მდგრადობის გავლენის რეიტინგის შედეგები. ამასთანავე, კონგრესის მიმდინარეობისას გაიმართა რეიტინგში საუკეთესო შედეგების მქონე უნივერსიტეტების საზეიმო დაჯილდოება, უნივერსიტეტების გამოფენა, მდგრადი განვითარების მხრივ არსებული გამოწვევების შესახებ დისკუსია, მასტერკლასი, კონფერენცია და სხვ. აღნიშნულ ღონისძიებებში მონაწილეობდნენ მსოფლიოს წამყვანი მოაზროვნეები, განათლების პოლიტიკის შემქმნელები, ინოვატორები და სხვადასხვა სექტორის ცნობილი წარმომადგენლები.

**1.2 თაიმსის მსოფლიო უნივერსიტეტების დარგებისა და საგნების რანჟირებაში მონაწილეობა.** 2025 წლის ივნისში თსუ-მ შეავსო თაიმსის დარგებისა და საგნების რანჟირების კითხვარი. შესაბამისად, თსუ-ში ისწავლება 31-დან 23 საგანი, რომელიც გაერთიანებულია თაიმსის მიერ დაჯგუფებულ 11-ივე

მიმართულებაში. მიუხედავად ამისა, საგნობრივ რანჟირებაში თსუ ყველაზე სრულად წარმოდგენილია იურიდიულ და ბიზნესისა და ეკონომიკის მიმართულებებში. თუმცა, შეზღუდულად ისწავლება საგნები დღეს გლობალურად ყველაზე მოთხოვნად მიმართულებებზე, როგორებიცაა: მედიცინა და ჯანმრთელობა, სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებები და ინჟინერია.

**1.3. პრეზენტაცია „თსუ თაიმსის რანჟირებებში“.** 2025 წლის 3 ივლისს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა გააკეთა პრეზენტაცია „თსუ თაიმსის რანჟირებებში“. პრეზენტაციაზე მიმოხილულ იქნა შემდეგი საკითხები: თაიმსის მდგრადობის გავლენის რეიტინგების მეთოდოლოგია; თაიმსის მსოფლიო უნივერსიტეტების რანჟირების მეთოდოლოგია და თსუ-ს ქულები; თაიმსის დარგებისა და საგნების, ინტერდისციპლინური მეცნიერების და რეპუტაციული რანჟირებები; და სხვ. პრეზენტაციაზე წარიმართა დისკუსია თსუ-ს პოზიციების გასაუმჯობესებლად გადასადგმელი ნაბიჯების შესახებ.

**1.4. თაიმსის ევრაზიის უნივერსიტეტების სამიტში მონაწილეობა.** თსუ-ს წარმომადგენელი სპიკერის რანგში მიწვეულ იქნა თაიმსის ევრაზიის უნივერსიტეტების სამიტზე „ტრანსნაციონალური კვლევა: ცოდნიდან გლობალურ გავლენამდე“. სამიტი ჩატარდა 2025 წლის 24-25 სექტემბერს ბაქოში (აზერბაიჯანი). თსუ-ს წარმომადგენელმა, რომელიც სამიტის ერთადერთი სპიკერი იყო საქართველოდან, მონაწილეობა მიიღო პანელში სათაურით „ევრაზიის სიძლიერე გლობალური გამოწვევების დაძლევაში“ და ისაუბრა გლობალური და რეგიონთაშორისი აკადემიური თანამშრომლობის გაძლიერების სტრატეგიებზე, ასევე, გაუზიარა აუდიტორიას ინფორმაცია ამ მხრივ თსუ-ს წარმატებული გლობალური პროექტებისა და გამოცდილებების შესახებ. სამიტი გარდა პანელური დისკუსიებისა მოიცავდა სხვადასხვა სახის ღონისძიებას, კერძოდ, მასტერკლასებს, დისკუსიებსა და სამუშაო შეხვედრებს, რომლებშიც მონაწილეობდნენ განათლების პოლიტიკის შემქმნელები, განათლების ექსპერტები და სხვადასხვა სექტორის ცნობილი წარმომადგენლები.

**1.5 თსუ გახდა თაიმსის მდგრადობის გავლენის რეიტინგებში მონაწილე უნივერსიტეტების ქსელის წევრი.**

Times Higher Education
Sustainability
Impact Network

2025 წელს თაიმსმა მდგრადობის გავლენის რეიტინგებში მონაწილე მსოფლიო უნივერსიტეტების გაერთიანების მიზნით დააარსა ქსელი, რომლიც მიზანია რეიტინგებში მონაწილე უნივერსიტეტების მონაცემების მთლიანობის შენარჩუნების, თანამშრომლობის წახალისების, საუკეთესო პრაქტიკებისა და ხედვების შესახებ მასტერკლასების რეგულარული ორგანიზების ხელშეწყობა. ქსელის წევრებისთვის დაწესებულია ყოველწლიური საწევრო, რომელიც მოიცავს უნივერსიტეტის მდგრადობის გავლენის რეიტინგებში მონაწილეობასაც.




**1.6. თსუ-მ პირველად მიიღო მონაწილეობა თაიმსის მდგრადობის გავლენის 2026 წლის რეიტინგში.** რეიტინგი აჩვენებს უნივერსიტეტების როლს გლობალურად გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების შესრულებაში. თაიმსის მდგრადობის რეიტინგში მისი დაარსებიდან - 2020 წლიდან (859 უნივერსიტეტი) 2025 წლის ჩათვლით მონაწილე უნივერსიტეტების რაოდენობა მკვეთრად გაიზარდა (2526 უნივერსიტეტი). საქართველოდან 2025 წლის მდგრადობის რეიტინგში მონაწილეობდა 6 უნივერსიტეტი, რომელთაგან მხოლოდ ერთი უნივერსიტეტი (ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტი) იკავებდა წამყვან პოზიციას 800-1000 კატეგორიაში, ხოლო დანარჩენი ხუთი (კავკასიის უნივერსიტეტი, ევროპის უნივერსიტეტი, ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტი, სამედიცინო უნივერსიტეტი, ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი) უნივერსიტეტი 1500+ კატეგორიაში მოხვდა.

მდგრადობის რეიტინგში მონაწილე უნივერსიტეტები ფასდებიან 4 ძირითადი კატეგორიით: **სწავლება, კვლევა, ხელმძღვანელობა/ზრუნვა (რესურსები და საშუალებები)** და **მიღწევა.** თითოეული კატეგორიის შესაფასებლად არსებობს მინიმუმ 3 კატეგორიის მეტრიკა. 2026 წლის თაიმსის მდგრადობის გავლენის რეიტინგში მონაწილეობის მიზნით თსუ-მ შეავსო გაეროს ოთხი მდგრადი განვითარების მიზნისთვის განკუთვნილი კითხვარი. აღნიშნული რეიტინგის კითხვარი იმით განსხვავდება სხვა რანჟირებების კითხვარებისგან, რომ მასში ნაკლებადაა მოთხოვნილი

სტატისტიკური მონაცემები, სამაგიეროდ, კითხვარში წარმოდგენილ თითოეულ პასუხს უნივერსიტეტი თან ურთავს კომენტარს, რომელიც მოკლედ აღწერს წარმოდგენილ დოკუმენტაციას და მტკიცებულებას, როგორიცაა: დადგენილება, ანგარიში, საჯაროდ უნივერსიტეტის ვებგვერდზე ან სხვა სოციალურ ვებგვერდებზე ასახული ინფორმაცია და ა.შ.
აღნიშნული რეიტინგისთვის თსუ-მ შეავსო გაეროს *მე-17 მიზნის - გლობალური თანამშრომლობა* კითხვარი, რომელიც რეიტინგში მონაწილე ყველა უნივერსიტეტისთვის აუცილებელი შესავსები მიზანია. კითხვარისთვის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ პირველად დაიწერა გაეროს მდგრადი განვითარების კუთხით თსუ-ს საქმიანობის ანგარიში, რომელიც დაიდო უნივერსიტეტის ვებგვერდზე https://tsu.ge/assets/media/files/65/Quality_Assurance/Shida_Usrunvelyofa/Ranjireba/THE-2024/Eng_3.SDG%20REPORT_2023-2024.pdf და როგორც მტკიცებულება აიტვირთა თაიმსის პორტალზე. მე-17 მიზნის კითხვარის შესავსებად მოგროვებულ იქნა ინფორმაცია და დოკუმენტაცია ისეთი საკითხების შესახებ, როგორებიცაა: თსუ-ს თანამშრომლობა და ჩართულობა საერთაშორისო და ეროვნულ სამთავრობო და არასამთავრობო ინსტიტუციებთან, გაეროს მდგრადი განვითარების კუთხით თსუ-ს საგანმანათლებლო საქმიანობა და განხორციელებული ღონისძიებები და ა.შ.
*მიზანი 4 - ხარისხიანი განათლების* კითხვარი, რომელიც შეავსო თსუ-მ, გარდა სტატისტიკური (სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა და პირველი თაობის სტუდენტების) მონაცემებისა, მოიცავდა ისეთ საკითხებს, როგორებიცაა, რამდენად არის ხელმისაწვდომი თსუ-ს ინფრასტრუქტურა და საგანმანათლებლო რესურსები უნივერსიტეტს გარეთ ფართო საზოგადოებისათვის: საჯარო სკოლის მოსწავლეებისთვის, შშმ და სსმ პირებისთვის, ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების წარმომადგენლებისთვის, დევნილებისა და მიგრანტებისთვის. თაიმსის კითხვარში მოთხოვნილი საკითხების სიღრმისეულად შესწავლისა და უნივერსიტეტის სტუდენტთა სოციალურად, ეკონომიკურად და კულტურულად მრავალფეროვანი ჯგუფების იდენტიფიცირების მიზნით ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ჩატარებულ იქნა სტუდენტთა გამოკითხვა სოციალური სტატუსის შესახებ. მიღებული მონაცემები და ანგარიში გამოყენებულ იქნა თაიმსის მდგრადობის გავლენის რეიტინგის გაეროს მე-4 მიზნის კითხვარის მტკიცებულებად. აღნიშნული კვლევის ანგარიში დაიდო თსუ-ს ვებგვერდზეც https://tsu.ge/assets/media/files/65/Quality_Assurance/Shida_Usrunvelyofa/Ranjireba/THE-2024/Geo_5.Student%20survey%20on%20social%20status.pdf. კვლევის ანგარიშმა კიდევ ერთხელ წარმოაჩინა უნივერსიტეტის მნიშვნელოვანი როლი ახალგაზრდებისთვის სოციალური განვითარების, თანასწორობისა და განათლებაზე წვდომის ხელშეწყობის კუთხით.
თსუ-ს მიერ შევსებული *მე-11 მიზნის - მდგრადი ქალაქებისა და დასახლებების* კითხვარი მოიცავდა შეკითხვებს ისეთი საკითხების შესახებ, როგორებიც არიან: რამდენად ღიაა წვდომა ფართო საზოგადოებისთვის თსუ-ს უწყვეტ განათლებაზე, უნივერსიტეტის ბიბლიოთეკებზე, საგამოფენო და მწვანე სივრცეებზე, და ზოგადად თსუ-ს ინფრასტრუქტურაზე, მის ბუნებრივ და კულტურულ მემკვიდრეობაზე. რაც შეეხება გაეროს *მიზანი 16 - მშვიდობა, სამართლიანობა და ძლიერი ინსტიტუციების* კითხვარს, ის მოიცავდა შეკითხვებს ისეთი საკითხების შესახებ, როგორებიცაა: თსუ-ს პოლიტიკა და მენეჯმენტის საქმიანობა კორუფციის, მოსყიდვის, ორგანული დანაშაულის ფაქტების წინააღმდეგ, ეთიკის კოდექსის დაცვისა და აკადემიური და კვლევითი თავისუფლების უზრუნველსაყოფად.

**1.7 თაიმსის მსოფლიო უნივერსიტეტების 2026 წლის რანჟირება.** თსუ თაიმსის მსოფლიო უნივერსიტეტების რანჟირებაში 2017 წლიდან მონაწილეობს. მიუხედავად იმისა, რომ თსუ-ს ქულები მკვეთრად არ გაუარესებულა, წლების მიხედვით უნივერსიტეტის გლობალური პოზიცია გაუარესებულია, რაც გარკვეულწილად გამოწვეულია იმითაც, რომ წლების განმავლობაში რანჟირებაში მონაწილე უნივერსიტეტების რაოდენობა მკვეთრად გაიზარდა.

***ცხრილი 1.7.1 თსუ-ს პოზიცია თაიმსის მსოფლიო უნივერსიტეტების რანჟირებაში წლების მიხედვით.***

თაიმსის მსოფლიო უნივერსიტეტების ბოლო რანჟირებისთვის თსუ-ს 2022-2023 სასწავლო წლის მონაცემები 2025 წლის მარტში გაიგზავნა. რაც შეეხება მეთოდოლოგიას, თაიმსის რანჟირება უნივერსიტეტებს აფასებს 5 ძირითადი კატეგორიისა და 18 ინდიკატორის მიხედვით:
1. **სწავლება - 29.5%,** რომელიც მოიცავს შემდეგ ინდიკატორებს: სწავლების რეპუტაცია - 15.0%; სტუდენტების პერსონალთან თანაფარდობა - 4.5%; დოქტორანტების ბაკალავრებთან თანაფარდობა - 2.0%; დოქტორანტების პერსონალთან თანაფარდობა - 5.5%; უნივერსიტეტის შემოსავალი - 2.5%.
2. **კვლევის გარემო - 29.0%,** რომელიც მოიცავს შემდეგ ინდიკატორებს: კვლევითი რეპუტაცია - 18.0%; შემოსავალი კვლევიდან - 5.5%; კვლევითი პროდუქტიულობა - 5.5%.
3. **კვლევის ხარისხი - 30.0%,** რომელიც მოიცავს შემდეგ ინდიკატორებს: ციტირების გავლენა - 15.0%; კვლევის სიძლიერე - 5.0%; კვლევის ბრწყინვალება - 5.0%; კვლევის გავლენა - 5.0%.
4. **ინდუსტრია - 4.0%,** რომელიც მოიცავს შემდეგ ინდიკატორებს: შემოსავალი ინდუსტრიიდან - 2.0%; პატენტები - 2.0%.
5. **საერთაშორისო ხილვადობა - 7.5%,**რომელიც მოიცავს შემდეგ ინდიკატორებს: საერთაშორისო სტუდენტები - 2.5%; საერთაშორისო პერსონალი - 2.5%; საერთაშორისო თანაავტორობა - 2.5%.
აღნიშნული ქულები გენერირდება მეტრიკის შეწონვით და საბოლოო რეიტინგები გამოითვლება ზემოაღნიშნული პროცენტული განაწილების მიხედვით: Ωx

| **ინდიკატორი** | **2025** | **2026** |
|---|---|---|
| სწავლება | 14 | 15 |
| კვლევის გარემო | 11.2 | 12.2 |
| კვლევის ხარისხი | 17.8 | 15.9 |
| ინდუსტრია | 17.8 | 18.9 |
| საერთაშორისო ხილვადობა | 42.6 | 43.1 |

<table>
<tr><td>ევროპის მასშტაბით</td><td>მსოფლიო მასშტაბით</td><td>სულ</td><td>სწავლება</td><td>კვლევის გარემო</td><td>კვლევის ხარისხი</td><td>ინდუსტრია</td><td>საერთაშორისო ხილვადობა</td></tr>
<tr><td>=522</td><td>1501+</td><td>10.3-27.2</td><td>15</td><td>12.2</td><td>15.9</td><td>18.9</td><td>43.1</td></tr>
<tr><td colspan="3">ინტერდისციპლინური მეცნიერებების რანჟირებების მიხედვით</td><td colspan="3">ფიზიკის მეცნიერებების რანჟირებების მიხედვით</td><td colspan="2">სოციალური მეცნიერებების რანჟირებების მიხედვით</td></tr>
<tr><td colspan="3">801+</td><td colspan="3">1251+</td><td colspan="2">1001+</td></tr>
</table>

*ცხრილი 1.7.2. თსუ-ს პოზიციები და ქულები თაიმსის მსოფლიო უნივერსიტეტების 2026 წლის რანჟირების მიხედვით.*
*ცხრილი 1.7.3. თსუ-ს ქულები ცალკეული ინდიკატორების მიხედვით.*
თსუ-ს **სწავლების** ინდიკატორების შედეგები, ისევე როგორც კვლევითი გარემოს ინდიკატორების შედეგები თითო-თითო ქულით არის გაუმჯობესებული. აღნიშნულ რანჟირებაში მონაწილეობის განმავლობაში თსუ-ს **სწავლების** ინდიკატორების შედეგებს შორის ყველაზე მაღალი ქულა ჰქონდა 2022 წლის რანჟირებაში (17.3). **კვლევის გარემოს** ინდიკატორების შედეგების თვალსაზრისით, თსუ-ს ყველაზე მაღალი ქულა ბოლო - 2026 წლის რანჟირებაში აქვს (12.2). გლობალურად, 2026 წლის რანჟირების მიხედვით **სწავლების** ინდიკატორის უმაღლესი მონაცემი იყო 97.2, ხოლო **კვლევის გარემოსი** - 100.0.
რაც შეეხება **კვლევის ხარისხს,** 2017 წლიდან მოყოლებული ყველაზე დიდი „ნახტომი“ თსუ-მ გააკეთა 2024 წლის რანჟირებაში. თუ მანამდე თსუ-ს ყველაზე მაღალი ქულა შეადგენდა 5.1, 2024 წლის რანჟირებაში კვლევის ხარისხს ჰქონდა 22.2 ქულა. შემდგომი წლების რანჟირებების მიხედვით

კვლევის ხარისხში თსუ-ს აქვს მნიშვნელოვანი კლება და 2025 წლის რანჟირებაში - 17.8 ქულა, ხოლო 2026 წლის რანჟირებაში - 15.9 ქულა აქვს. გლობალურად, 2026 წლის რანჟირების მიხედვით **კვლევის ხარისხის** ინდიკატორის უმაღლესი მონაცემი იყო 99.9.

მიზეზების დასადგენად გვესაჭიროება წვდომა თაიმსის ზუსტ მონაცემებთან, რისი საშუალებაც არ გვაქვს, რადგან თაიმსი თავად მოიპოვებს კვლევის ხარისხისა და გარემოს ინდიკატორების შესახებ მონაცემებს (რანჟირებისთვის თაიმსის მიერ შესწავლილია Elsevier-ის Scopus მონაცემთა ბაზაში ინდექსირებული 28,700-ზე მეტი აქტიური რეცენზირებული ჟურნალი და ბოლო ხუთი წლის ყველა პუბლიკაცია). თაიმსის მეტრიკის იდეა მდგომარეობს იმაში, რომ ციტირების ღირებულება არ არის თანაბარი: „მნიშვნელოვანი“ ნაშრომიდან ციტირება უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე „უმნიშვნელო“ ნაშრომიდან ციტირება. აღსანიშნავია ასევე, რომ თუ ციტირება და პუბლიკაციები სწორად არ არის აფილირებული თსუ-სთან, ისინი თაიმსს არ შეჰყავს რაოდენობაში, რაც მნიშვნელოვანი დანაკარგია თსუ-სთვის აღნიშნული ინდიკატორების გლობალური რანჟირებისას. აუცილებელია, თსუ-მ შეიმუშავოს პოლიტიკა და სამოტივაციო რეგულაციები, რომლებიც ხელს შეუწყობენ აკადემიური პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობას მაღალი რეიტინგის მქონე საერთაშორისო ჟურნალებში და ციტირების ინდექსის ამაღლებას.

**1.8. QS-ის მსოფლიო უნივერსიტეტების რანჟირებაში მონაწილეობა.** QS World University Rankings-ის 2026 წლის მონაცემებით თსუ #951-1000 კატეგორიაშია. თაიმსის მსგავსად, თსუ-ს გლობალური პოზიციის ცვლილება რანჟირებაში გარკვეულწილად მასში მონაწილე უნივერსიტეტების გაზრდილმა რაოდენობამ გამოიწვია. 2026 წლის რეიტინგი შედგენილია ხუთი კატეგორიისა და 10 ინდიკატორის შეფასების ბაზაზე:

- **კვლევა და აღმოჩენა (50%):** 1. აკადემიური რეპუტაცია (30%); 2. ციტირება ფაკულტეტის მიხედვით (20%)
- **დასაქმება და შედეგი (20%):** 1. დამსაქმებლის რეპუტაცია (15%); 2. დასაქმების შედეგი (5%)
- **სწავლის გამოცდილება (10%):** ფაკულტეტისა და სტუდენტის თანაფარდობა (10%)
- **გლობალური ჩართულობა (15%):** 1. საერთაშორისო პერსონალის ფაკულტეტთან თანაფარდობა (5%); 2. საერთაშორისო კვლევითი ქსელი (5%); 3. საერთაშორისო სტუდენტების მრავალფეროვნება (0%); 4. საერთაშორისო სტუდენტთა თანაფარდობა სტუდენტთა საერთო რაოდენობასთან (5%).
- **მდგრადობა (5%).**




*სურათი 1.8.1. თსუ-ს პოზიცია QS World University Rankings-ის 2022-2026 წლების მიხედვით.*




*სურათი 1.8.2 თსუ-ს QS World University Rankings-ის 2026 წლის ქულები.*

ყველაზე მაღალი წონა - 50% QS-ის **კვლევა და აღმოჩენის** კატეგორიას აქვს. მასში შემავალი **აკადემიური რეპუტაციის** ინდიკატორი ყველაზე მაღალი წონით - 30%-ით ფასდება და ზომავს ინსტიტუტებისა და მათი პროგრამების რეპუტაციას. მონაცემი არა მხოლოდ აჩვენებს დაწესებულების კვლევის ხარისხს, არამედ - მათ მიდგომას აკადემიური პარტნიორობის მიმართ, მათ სტრატეგიულ გავლენას, საგანმანათლებლო ინოვაციურობას და გავლენას განათლებასა და ზოგადად საზოგადოებაზე. თსუ-ს აკადემიური რეპუტაციის კუთხით დაბალი ქულა აქვს (11.9).

რაც შეეხება **ციტირება ფაკულტეტის მიხედვით** ინდიკატორს, რომელიც ასევე ზემოაღნიშნულ კატეგორიაში შედის, მისი წონა 20%-ია და ზომავს უნივერსიტეტში ჩატარებული კვლევის ინტენსივობასა და მოცულობას. ციტირების რაოდენობა იყოფა ფაკულტეტის პირთა რაოდენობაზე. ციტირების დიდი მოცულობა მეტყველებს იმაზე, რომ უნივერსიტეტის ფაკულტეტების წარმომადგენლები აქვეყნებენ ნაშრომებს მაღალრეიტინგულ ჟურნალებში, მონაწილეობენ საერთაშორისო კვლევებში და მუშაობენ ისეთ თემებზე, რომლებიც ფართო მკითხველების დაინტერესებას იმსახურებენ. თსუ-ს ქულა **ციტირება ფაკულტეტის მიხედვით** სამწუხაროდ, ერთ-ერთი ყველაზე დაბალია (1.4) **დამსაქმებლის რეპუტაციის** ინდიკატორის ქულის (1.4) მსგავსად. დამსაქმებლის რეპუტაციის ინდიკატორს მაღალი წონა აქვს შეფასებისას - 15% და ზომავს უნივერსიტეტისა და მისი პროგრამების რეპუტაციას დამსაქმებლებს შორის, რისთვისაც QS ატარებს გამოკითხვებს. საერთო ჯამში, **დასაქმებისა და შედეგების კატეგორია** ზომავს, თუ რამდენად კარგად ამზადებს დაწესებულება კურსდამთავრებულებს დასაქმებისთვის, იკვლევს კავშირებს, რომლებიც უნივერსიტეტს აქვს ინდუსტრიასთან, ასევე ადგენს უნივერსიტეტის რეპუტაციას აკადემიის გარეთ. ამავე კატეგორიის ინდიკატორის - **დასაქმების შედეგის** წონა 5%-ია და ამ მხრივ თსუ კვლევაში ყველაზე მაღალი ქულით - 95.2 არის წარმოდგენილი.

QS-ის **სწავლის გამოცდილების** კატეგორიის წონა 10%-ია და მოიცავს მხოლოდ ფაკულტეტისა და სტუდენტის თანაფარდობას. მაჩვენებელი გამოითვლება ფაკულტეტის პერსონალის რაოდენობის სტუდენტთა რაოდენობაზე გაყოფით. ამ კატეგორიის მიზანია ასახოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ სტუდენტებისთვის მიწოდებული სერვისები, საერთო სასწავლო გარემო, მხარდაჭერის დონე, რომელსაც უნივერსიტეტი სთავაზობს ყველა სტუდენტს, მიუხედავად სოციალურ-ეკონომიკური წარმომავლობისა. ამ კატეგორიაში თსუ-ს ერთ-ერთი ყველაზე მაღალი ქულა აქვს - 83.5% რაც მეტყველებს იმაზე, რომ მას ჰყავს სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომი საკმარისი აკადემიური პერსონალის რესურსი და რომ ის სტუდენტების მომსახურებას მაღალ დონეზე ახორციელებს.

**გლობალური ჩართულობის** ანუ ინტერნაციონალიზაციის თვალსაზრისით, რომლის წონა 15%-ია, თსუ არაერთგვაროვნად არის წარმოდგენილი. კერძოდ, თსუ-ს ყველაზე მაღალი ქულა აქვს **საერთაშორისო კვლევითი ქსელის** ინდიკატორში - 24.7, რომელიც ინსტიტუტის წარმატების ერთგვარი საზომია. ის აჩვენებს, რამდენად მრავალფეროვანი და მდიდარია თსუ-ს კვლევითი ქსელი და რამდენად მდგრადია

კვლევითი პარტნიორობა და აკადემიური მობილობა. თუმცა, თსუ-ს ყველაზე დაბალი ქულა - 1.9 აქვს **საერთაშორისო პერსონალის ფაკულტეტთან თანაფარდობის** მხრივ.

თსუ-ს **საერთაშორისო სტუდენტების ეროვნული მრავალფეროვნების** თვალსაზრისით შედარებით მაღალი ქულა - 12.2 აქვს, რაც მეტყველებს იმაზე, რომ მიუხედავად იმისა, რომ თსუ-ს არ ჰყავს მნიშვნელოვანი რაოდენობის უცხოელი პერსონალი, ის გამოირჩევა საერთაშორისო სტუდენტების ეროვნული მრავალფეროვნებით. ეს კი ხაზს უსვამს უნივერსიტეტის დადებით რეპუტაციას, კულტურული გაცვლის და უფრო მრავალფეროვანი სასწავლო გამოცდილების ტრადიციას.

**მდგრადობის** კატეგორიაში მხოლოდ ერთი ინდიკატორია, რომლიც წონა 5%-ია. ის აფასებს უნივერსიტეტების სოციალურ და გარემოზე ზემოქმედებას და ხაზს უსვამს უნივერსიტეტების ინსტიტუციური საქმიანობისა და აკადემიური კვლევის გავლენას გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების (SDGs) მიმართებაში. გლობალურად, 2026 წლის რანჟირების მიხედვით უმაღლესი ქულები ყველა ზემოჩამოთვლილი კატეგორიის ინდიკატორებზე იყო 100, მხოლოდ მდგრადობის კატეგორიაში უმაღლესი ქულა იყო 99.6.

**სამომავლოდ თსუ-სთვის ძირითად გამოწვევებად კვლავ რჩება:**

**1. ციტირების მაჩვენებელი და პუბლიკაციების მცირე რაოდენობა.** შეწონილი ქულების გაუმჯობესება სხვადასხვა მიმართულებით, დიდი ალბათობით, არ იქონიებს გავლენას თსუ-ს პოზიციაზე, თუკი არ გაუმჯობესდა ის მაჩვენებელი, სადაც თსუ ყველაზე დაბალ პოზიციას იკავებს - ციტირება და კვლევა. სასურველია გაიზარდოს საერთაშორისო თანაავტორობით გამოქვეყნებული პუბლიკაციების საერთო რაოდენობა და მნიშვნელოვანია, რომ პუბლიკაციები სწორად იყოს აფილირებული თსუ-სთან.

**2. კვლევის დაბალი შემოსავალი და სიძლიერე.** სავარაუდოდ, თსუ-სთან აფილირებულ პერსონალს ნაკლებად რეპუტაციულ გამოცემებში აქვთ კვლევები გამოქვეყნებული. საჭიროა თსუ-ს კვლევის პროფილის საერთაშორისო დონეზე ამაღლება და კვლევების განხორციელებისთვის საჭირო საერთაშორისო სტანდარტის არსებობა. ამასთანავე, საჭიროა აკადემიური და სამეცნიერო საზოგადოების მხარდაჭერა და წახალისება (სამოტივაციო რეგულაციების შემუშავება) და მნიშვნელოვანია ინტერდისციპლინურ და მულტიდისციპლინურ კვლევებში ახალგაზრდა მკვლევრების აქტიური ჩართვა. ამასთანავე, გასაზრდელია უცხოენოვანი პროგრამების რაოდენობა, გასაუმჯობესებელია კვლევითი თანამშრომლობის მხარდაჭერა ადგილობრივ და უცხოურ უნივერსიტეტებთან, ეროვნულ, რეგიონულ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან, ბიზნესთან და სხვა სექტორებთან, რაც საერთო ჯამში გააუმჯობესებს თსუ-ს დაბალ რეპუტაციას.

**3. მისაღებია ზომები კვლევების პოპულარიზაციისა და სოციალური გავლენის მოპოვებისა და შენარჩუნებისთვის.** შესამუშავებელია კომუნიკაციის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა, რომელიც გაზრდის თსუ-ს მიერ წარმოებული კვლევითი პროცესის, კვლევითი შედეგებისა და მიღწევების, მათი სოციალური მნიშვნელობის შესახებ ცნობადობის ზრდას და კომუნიკაციას უნივერსიტეტს გარეთ ქართულ და საერთაშორისო ფართო საზოგადოებასთან.

სიახლეები პროფესიული განათლების ცენტრში

## 3.7 სიახლეები პროფესიული განათლების ცენტრში

სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესიული განათლების ცენტრი ორ ლოკაციაზე, თბილისსა და ქუთაისში ფუნქციონირებს.

მოცემულ ეტაპზე, ცენტრი წარმატებით ახორციელებს **18** პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას (შემდგომში „პროგრამა“) ორივე ლოკაციაზე. ყველა პროგრამა სრულად ფინანსდება სახელმწიფოს მიერ.

2025 წელს ორივე ლოკაციაზე გამოცხადებულ 467 ვაკანტურ ადგილზე რეგისტრირებული იყო 1898 აპლიკანტი. პროფესიული ტესტირებისა და პროფესიული შერჩევის (გასაუბრების) საფუძველზე პროგრამებზე ჩაირიცხა 460 პროფესიული სტუდენტი (200 თბილისში 260 ქუთაისში).

2025 წელს კვალიფიკაცია მიენიჭა ორ ლოკაციაზე, თბილისსა და ქუთაისში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების **265** კურსდამთავრებულს.

**ცენტრში საანგარიშო პერიოდში განხორციელდა:**

- ყველა პროგრამაზე განხორციელდა შეფასების სისტემის ვერიფიკაცია;
- ელექტრონული კითხვარის გამოყენებით პროფესიული სტუდენტის, დამსაქმებლების, მასწავლებლების და კურსდამთავრებულების გამოკითხვა, რომელთა შედეგების ანალიზის საფუძველზე შემუშავდა ანგარიში და რეკომენდაციები;
- ცენტრის ცნობადობის ამაღლების მიზნით წლის განმავლობაში დაიგეგმა და განხორციელდა არა ერთი აქტივობა და სხვადასხვა ღონისძიებები, ასევე ვიზიტები სამაუწყებლო მედიის (ტვ, რადიო) პირდაპირ ეთერში, ცენტრის საქმიანობის შესახებ გავრცელდა ინფორმაცია მედია საშუალებებში. თსუ პროფესიული განათლების ცენტყრი ასევე აქტიურად იყო წარმოდგენილი სოცმედიაში და ცენტრის ვებგვერდზე.
- 2025 წლის აქტიურად მიმდინარეობდა შეხვედრები და კომუნიკაცია პარტიორ ორგანიზაციებთან, სამთავრობო და არასამთავრობო სექტორთან მომავალი თანამშრომლობის გასაფართოებლად. მემორანდუმები ითვალისწინებს ერთობლივი პროექტების, ღონისძიებების განხორციელებას, სტუდენტების კურსდამთავრებულების სტაჟირებას და დასაქმებას.
- ცენტრის ორგანიზებით გაიმართა მე-2 კონფერენცია ,,პროფესიული განათლება საქართველოში: შესაძლებლობები და გამოწვევები“.
- ცენტრის პროექტმა „ვისწავლოთ, დავმეგობრდეთ და აღმოვაჩინოთ საქართველო - ექსტრაკურიკულური აქტივობები მდგრადი მომავლისთვის“ პროფესიული უნარების სააგენტოს მიერ პროფესიული პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულებებისთვის "ექსტრაკურიკულური აქტივობების დანერგვა-განვითარებასთან დაკავშირებით" გამოცხადებულ კონკურსში გაიმარჯვა. რის საფუძველზეც არა ერთი სტუდენტური აქტივობა განხორციელდა.
- ცენტრის ორგანიზებით პროფესიული განათლების მასწავლებლებისთვის კურსი „ხელოვნური ინტელექტის (AI) გამოყენება პროფესიულ განათლებაში“ ჩატარდა. პრაქტიკული და ინტერაქტიული შეხვედრების სერია მიზნად ისახავდა ხელოვნური ინტელექტის ეფექტიანად გამოყენებას სალექციო პროცესში, მეცადინეობების დაგეგმვასა და საშინაო დავალებების შექმნაში.

ცენტრს საანგარიშო პერიოდში მრავალ აქტივობა ჰქონდა რომლის ნახვა შესაძლებელია: https://tsu.ge/ka/vocational-center/news ვებგვერდზე.

## 3.8 თანამშრომლობა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურებთან

თანამშრომლობა ხარისხის უზრუნველყოფის ინსტიტუციურ და საფაკულტეტო დონეებს შორის გულისხმობს კოორდინაციას, ინფორმაციის დროულ გაცვლას და ხარისხის მართვის პროცესების თანმიმდევრულ განხორციელებას. თანამშრომლობის მექანიზმები მიმართულია საგანმანათლებლო პროგრამების, სწავლებისა და შეფასების პროცესების, ასევე ადმინისტრაციული და მხარდაჭერის სერვისების ხარისხის უწყვეტ გაუმჯობესებაზე.

აღნიშნული თანამშრომლობა მოიცავს რეგულარულ სამუშაო შეხვედრებს, ერთობლივ კვლევებსა და გამოკითხვებს, პროგრამების შეფასებასა და მონიტორინგს, აგრეთვე გარე შეფასებებისათვის მომზადების პროცესში კოორდინირებულ მოქმედებებს. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ინფორმაციის ჰარმონიზაციასა და ერთიანი სტანდარტების დანერგვას, რაც უზრუნველყოფს ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის ეფექტიანობას ინსტიტუციურ დონეზე.

თანამშრომლობის პროცესში მნიშვნელოვანი როლი ენიჭება გამოცდილების გაზიარებას, საუკეთესო პრაქტიკის დანერგვასა და პროფესიული განვითარების ხელშეწყობას, რაც აძლიერებს როგორც ფაკულტეტურ, ისე უნივერსიტეტის დონეზე ხარისხის კულტურას.

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მოქმედების არეალი ფარავს არამარტო შიდა, არამედ გარე ხარისხის უზრუნველყოფის საკითხებს, თუმცა სამუშაო პროცესში თავს იჩენს რიგი საკითხები, რომელიც საჭიროებს კონკრეტული საკითხებისა და ამოცანების დეცენტრალიზებულად დაგეგმას, განხორციელებას და გადაჭრას, რაც აკადემიური თავისუფლების კიდევ ერთი გამოკვეთილი ფორმაა საუნივერსიტეტო სივრცეში. შესაბამისად, საფაკულტეტო ხარისხის უზურნველყოფის სამსახურებს შესაძლებლობა ეძლევათ, ჩამოაყალიბონ საკუთარი საფაკულტეტო ხედვა, პოზიცია თუ სპეციფიკა და მასზე დაყდრობით კიდევ უფრო ხილვადი გახადონ ფაკულტეტის ძირითადი

პროფილი, რითაც ისინი ამდიდრებენ საუნივერსიტეტო აკადემიურ სურათს, ვინაიდან აკადემიურ მრავალფეროვნებაში ძევს უმაღლესი სასწავლებლის სიძლიერე.

სამსახურის მანდატის ფარგლებში 2025 წელს აქტიურად განიხილებოდა შემდეგი თემები:

- ✓ საგანმანათლებლო პროგრამების მოდიფიკაციის საკითხი კლასტერული აკრედიტაციის ფარგლებში;
- ✓ ინსტიტუციის მარეგულირებელი წესების მომზადება, განხილვა და გაზიარება;
- ✓ ინტერდისციპლინურ საგანმანათლებლო პროგრამებში ფაკულტეტების ჩართულობა საუკეთესო პრაქტიკის გაზიარების მიზნით;
- ✓ ახალი საკანონმდებლო მოთხოვნებიდან გამომდინარეს პროგრამების დიზაინი და განახლება;
- ✓ სწავლების ინოვაციური მეთოდების დანერგვა;
- ✓ ადმინისტრაციული პროცესების დიგიტალიზაცია;
- ✓ სწავლის შედეგების ანალიზი და შემდგომი აკადემიური მხარდაჭერის მექანიზმების შემუშავება;
- ✓ აკადემიური კეთილსინდისიერების სტანდარტები;
- ✓ სტუდენტთა ჩართულობის გაზრდა ხარისხის უზრუნველყოფის საკითხების მხარდაჭერის პროცესში.

წინამდებარე თემებზე უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური სამუშაოებს წარმართავდა გუნდურად, რაც გულისხმობს აქტიურ კომუნიკაციას ფაკუტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან, აკადემიურ პერსონალთან და სტუდენტებთან. აღნიშნული თემები ქმნის თანამშრომლობის ინტეგრირებულ ჩარჩოს, რომელიც უზრუნველყოფს ინფორმაციის გაცვლას, პროცესების ჰარმონიზაციას და მტკიცებულებებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მიღებას როგორც ფაკულტეტურ, ისე ცენტრალურ დონეზე.

## 3.9 უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ვებგვერდი

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ქართულ და ინგლისურენოვანი ვებ-გვერდი მოიცავს ინფორმაციას სამსახურის საქმიანობის ყველა მიმართულების შესახებ. ინფორმაციის განახლება ხდება რეგულარულად.

თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ვებ-გვერდის კონტენტი და ინგლისურენოვანი მხარდაჭერა განაპირობებს ინტერნაციონალური ვიზიტორების მზარდ ინტერესს. ვებგვერდზე 2021 წლის აპრილიდან დაყენებული ვიზიტორების მთვლელის მიხედვით ფიქსირდება ვებგვერდის ნახვა მსოფლიოს 117 ქვეყნის ვიზიტორების მიერ (მაჩვენებელი აღებულია 2025 წლის დეკემბერი მონაცემებით. 2024 წლის მარტის მდგომარეობით იყო 102):





2021 წლის აპრილიდან ვიზიტორების მთვლელმა დააფიქსირა ვებგვერდის ნახვა 30508-ჯერ, 18621 ვიზიტორის მიერ. პირველი 38 ქვეყანა ასე გამოიყურება:

| | Country | Visitors | Last New Visitor |
|---|---|---|---|
| 1. | Georgia | 11,128 | 47 minutes ago |
| 2. | Singapore | 3,558 | January 31, 2026 |
| 3. | United States | 1,735 | January 30, 2026 |
| 4. | Russia | 176 | January 26, 2026 |
| 5. | Germany | 164 | January 31, 2026 |
| 6. | United Arab Emirates | 134 | December 20, 2025 |
| 7. | India | 122 | January 30, 2026 |
| 8. | Saudi Arabia | 76 | October 13, 2025 |
| 9. | United Kingdom | 69 | February 1, 2026 |
| 10. | Turkey | 66 | December 25, 2025 |
| 11. | China | 53 | November 24, 2025 |
| 12. | Canada | 52 | January 25, 2026 |
| 13. | Ukraine | 49 | January 21, 2026 |
| 14. | Qatar | 46 | November 9, 2025 |
| 15. | France | 45 | January 29, 2026 |
| 16. | Hong Kong | 45 | December 19, 2025 |
| 17. | Italy | 39 | January 30, 2026 |
| 18. | Spain | 39 | January 24, 2026 |
| 19. | Poland | 39 | November 2, 2025 |
| 20. | Azerbaijan | 37 | November 25, 2025 |
| 21. | Portugal | 33 | December 16, 2025 |
| 22. | Pakistan | 32 | December 26, 2025 |
| 23. | Ireland | 30 | January 22, 2026 |
| 24. | Egypt | 30 | November 13, 2025 |
| 25. | Netherlands | 29 | December 24, 2025 |
| 26. | Kazakhstan | 28 | January 12, 2026 |
| 27. | Armenia | 27 | December 15, 2025 |
| 28. | Finland | 27 | November 20, 2025 |
| 29. | Kuwait | 27 | September 6, 2025 |
| 30. | Malaysia | 26 | 21 hours ago |
| 31. | Jordan | 26 | January 1, 2026 |
| 32. | Australia | 26 | December 12, 2025 |
| 33. | Philippines | 26 | October 20, 2025 |
| 34. | South Korea | 25 | January 23, 2026 |
| 35. | Austria | 24 | January 19, 2026 |
| 36. | Czech Republic | 23 | December 26, 2025 |
| 37. | Sweden | 23 | October 26, 2025 |
| 38. | Japan | 22 | January 31, 2026 |

## 3. თანამშრომლობა ხარისხის უზრუნველყოფის გარე აქტორებთან და ინსტიტუციებთან

გარე აქტორებთან თანამშრომლობა მოიცავს ურთიერთობას აკრედიტაციისა და ავტორიზაციის განმახორციელებელ ორგანოებთან, პროფესიულ ასოციაციებთან, საერთაშორისო ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოებთან, დამსაქმებლებთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან. აღნიშნული პროცესები უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის შეფასებას გარე პერსპექტივიდან და მათ შესაბამისობას შრომის ბაზრის მოთხოვნებთან.

თანამშრომლობა ხორციელდება სხვადასხვა ფორმით, მათ შორის: გარე შეფასებებისა და ექსპერტული ვიზიტების ორგანიზებით, ერთობლივი კვლევებისა და პროექტების განხორციელებით, კონსულტაციებისა და პროფესიული განვითარების აქტივობებით. აღნიშნული ურთიერთობები ხელს უწყობს ინსტიტუციის შესაძლებლობების გაძლიერებას, ინოვაციური მიდგომების დანერგვას და ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის უწყვეტ განვითარებას.

უნივერსიტეტში ხარისხის უზრუნველყოფის წარმატებული მართვა უკავშირდება არამარტო შიდა აქტორებთან კომუნიკაციას, არამედ მუდმივ და ინტენსიურ თანამშრომლობას ხარისხის გარე აქტორებთან, მათ შორის გარე შემფასებლებთან, სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრთან, ასევე საერთაშორისო ინსტიტუციებთან.

2021 წლის პერიოდში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კომუნიკაცია შედგა გარე აქტორებთან:

- ✓ კომუნიკაცია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან;
- ✓ სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრთან;
- ✓ სსიპ-განათლების მართვის საინფორმაციო სისტემასთან;

## 4.1 თანამშრომლობა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან, სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრთან და სსიპ-განათლების მართვის საინფორმაციო სისტემასთანს

2025 წელს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მედიაციით დაიგეგმა და განხორციელდა:

- ნებართვის გაცემა საგანმანათლებლო პროგრამების უცხოურ ენაზე (ინგლისური) განხორციელების შესახებ;
- საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის საფასურის განსაზღვრის მიზნით;
- მომზადდა კონკრეტული საპასუხო კორესპონდენციები აკადემიურ სივრცეში დანერგილ სიახლეებსა და საგანმანათლებლო პროგრამებში მოქმედი აქტუალური თემებთან დაკავშირებით;
- განხორციელდა გმსს-ის საგანმანათლებლო პროგრამების მოქმედი ბაზის 4 გეგმიური მონიტორინგი;
- მომზადდა და განხორციელდა გეგმიური მონიტორინგი ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის ანკეტა-კითხვარის კორექტირების მიზნით;

მუდმივი კონტაქტები და ინტენსიური თანამშრომლობა აქვს სამსახურს სსიპ-განათლების ხარისხის განვითარებს ეროვნულ ცენტრთან, გამომდინარე სამსახურებრივი დაქვემდებარებიდან და ეტაპობრივად დაგეგმილი სიახლეებიდან. 2025 წელს, სამსახურის მანდატის ფარგლებში განხორციელდა სხვადასხვა ტიპის დოკუმენტაციის ანალიზი და 101-მდე საგანმანათლებლო პროგრამის სხვადასხვა რეჟიმში ცენტრის შესაბამის სამსახურებში წარდგენა, მათ შორის:

- საგანმანათლებლო პროგრამების (რე)აკრედიტაციის ფარგლებში;
- აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით ანგარიშებისა და საკვალიფიკაციო ჩარჩოსთან შესაბამისობის დადგენის მიზნით;
- ავტორიზაციისა და აკრედიტაციის ექსპერტთა ვიზიტი;
- საკრედიტაციო პროცესისა და წინამდებარე პროცესებში განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ჩართულობის ხარისხის შეფასება;
- აკრედიტაციის ექსპერტთა დასკვნაზე არგუმენტაციული პასუხის მომზადება;
- ახალი საკანონმდებლო ინიციატივებისა და პროექტების განხილვაში ჩართულობა;
- დარგობრივ მახასიათებელთა შემმუშავებელი საბჭოს შემადგენლობაში უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის წარდგენის შესახებ;
- უამაღლეს საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის, ავტორიზაციის, სააპელაციო საბჭოების და მედიცინის ექსპერტთა ჯგუფის კანდიდატების რეკომენდება და წარდგენა;
- კლასტერული აკრედიტაციის მზადების პროცესში შემუშავებული დოკუმენტების ანალიზი, რეკომენდაციებისა და მოსაზრებების გაცვლა.

ზემოხსენებული პროცესები და აქტივობები აქტორებს შორის მიმდინარეობს გეგმის მიხედვით, თანმიმდევრულად, შედეგზე ორიენტირებულად და შეუფერხებლად, აქტორთა მაღალი პასუხიმგებლობისა და პროფესიონალიზმის საფუძველზე.

## 4. სამსახურის სხვა საქმიანობა

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური მკაცრად გაწერილ შიდა საუნივერსიტეტო პროცედურების დაყრდნობით წარმართავს თავის საქმიანობას სხვადასხვა საუნივერსიტეტო ადმინისტრაციულ ერთეულებთან. 2025 წლის საანგარიშო პერიოდში მუშაობა წარიმართა შემდეგი მიმართულებით:

- გარე და შიდა კორესპონდენციის მიმოქცევის შესწავლა და მომზადება;
- აკადემიური და წარმომადგენლობითი საბჭოებისთვის დადგენილებების ინიცირება და მომზადება.

## 5.1 გარე და შიდა კორესპონდენციის მიმოქცევის შესწავლა და მომზადება

საანგარიშო პერიოდში უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში ოფიციალურად შემოვიდა 3225-მდე კორესპონდენცია და 1900-მდე პასუხი დაუბრუნდა ადრესატს. კორესპონდენციათა ძირითად თემატიკას წარმოადგენდა:

- საგანმანათლებლო პროგრამების სააკრედიტაციო პროცესებთან დაკავშირებული თემები;
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი თემები საფაკულტეტო და ცენტრალური ადმინისტრაციებიდან;
- სტუდენტთა მობილობა და კრედიტების აღიარება;
- საქრთველოს უსდ-ში გავლილი სასწავლო კურსების კრედიტების აღიარება;
- თსუ-ში სწავლის პერიოდში გავლილი სასწავლო კურსების კრედიტების აღიარება;
- საზღვარგარეთ მობილობის ფარგლებში გავლილი სასწავლო კურსების კრედიტების აღიარება;
- თანდართული სერტიფიკატის საფუძველზე უცხო ენის სავალდებულო მოდულიდან გათავისუფლება;
- სასწავლო კურსების სილაბუსების/სილაბუსების ანოტაციების ცნობის აპოსტილისთვის მომზადება;
- უნივერსიტეტთაშორისი თანამშრომლობის ამსახველი ხელშეკრულებების ექსპერტიზა;
- უწყვეტი განათლების ცენტრის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის ექსპერტიზა/ექსპერტიზისათვის მომზადება;
- თსუ-ის ავტორიზაციის შესახებ ცნობის მომზადება უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონით განსაზღვრული პროცედურების საფუძველზე;
- საგრანტო და საპროექტო თემებთან დაკავშირებული საკითხები;
- მიმოწერა ხარისხის გარე და შიდა აქტორებთა;
- კორესპონდენცია უცხოელ კოლეგა-ექსპერტებთან და ინსტიტუციებთან;
- კომუნიკაცია მოქალაქეებთან;
- თსუ-ის კურსდამთავრებულების სხვადასხვა პოზიციებზე მუშაობის უფლების შესახებ ცნობის მომზადება;
- სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლების შესახებ უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონით განსაზღვრული პროცედურების საფუძველზე ცნობის აპოსტილისთვის მომზადება;
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის საქმისწარმოება (შემოსული და გასული დოკუმენტების აღრიცხვა).

საანგარიშო პერიოდში შემოსული და გასული კორესპონდენციის (როგორც შიდა, ისე გარე მიმოქცევის) დიდი წილი მოდიოდა საგანმანათლებლო პროგრამების სააკრედიტაციო პროცესებთან დაკავშრებულ თემებზე - დაახლოებით 350 ერთეულამდე. კონკრეტული მონაცემების სტატისტიკურმა აღრიცხვამ აჩვენა საანგარიშო პერიოდში წერილობითი კომუნიკაციის მაღალი რიცხოვნობა და ფართო თემატიკა.

# 5. სამსახურის თვითშეფასება და შემდგომი განვითარების პერსპექტივები

საანგარიშო პერიოდში შესრულებული სამუშაოების, საფუძველზე უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ მომზადდა წლიური თვითშეფასების ანგარიში. საანგარიშო

პერიოდში ასევე შეფასდა ინსტიტუციის სტრატეგიული განვითარების გეგმასთან მიმართებით და მომზადდება სამსახურის 2025 წლის სამოქმედო გეგმა.

## 6. დანართები

საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ადმინისტრაციის ხელმძღვანელი

N 6374/10 26.03.2026

სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
წარმომადგენლობით საბჭოს
სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
აკადემიურ საბჭოს

წარმოგიდგენთ სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2025 წლის ანგარიშს.

დანართი: ,,28'' გვერდი

პატივისცემით,

ლაშა სალინაძე

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ილია ჭავჭავაძის გამზ. 1, 0179 თბილისი, საქართველო
1, Ilia Tchavtchavadze Ave., 0179 Tbilisi, Georgia
http://www.tsu.edu.ge
ტელ/ფაქსი: +(995 32) 222 35 01 Tel/Fax
ელ-ფოსტა: chancellery@tsu.ge; E-mail

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის
ადმინისტრაციის ხელმძღვანელის (კანცლერის)

# 2025 წლის ანგარიში

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი (კანცლერი)
ლაშა საღინაძე

2026

1. ფინანსური მართვა

2025 წელს, თსუ საფინანსო დეპარტამენტი, საქმიანობას წარმართავდა, ,,უმაღლესი განათლების შესახებ'' საქართველოს კანონის, ,,საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის'', ,,საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის'', უნივერსიტეტის წესდების, ,,უნივერსიტეტის ბიუჯეტის შედგენის წესის'', დეპარტამენტის დებულების და სხვა ნორმატიული აქტების საფუძველზე, ბიუჯეტის შედგენა-შესრულების, საგეგმო-საფინანსო, აღრიცხვა-ანგარიშგების, სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების მიმართულებებით, დეპარტამენტის სამუშაო გეგმის შესაბამისად, რომელშიც გათვალისწინებული იყო უნივერსიტეტის 2025 წლის პრიორიტეტული მიმართულებების, სასწავლო სამეცნიერო პროცესის შეუფერხებელი მიმდინარეობისა და სტუდენტთა სამეცნიერო-კვლევით, კულტურულ-სპორტულ აქტივობებში ჩართულობის ფინანსური მხარდაჭერის უზრუნველყოფა. აღსანიშნავია რომ, გეგმით გათვალისწინებული ძირთადი ვალდებულებები შესრულებულია.

თსუ 2025 წლის ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლებმა გარდამავალი ნაშთის (16 938 758 ლარი) ჩათვლით შეადგინა 133 803 694 ლარი, 2025 წლის ბიუჯეტის გადასახდელებმა 112 987 131 ლარი, ხოლო 2026 წლისათვის გარდამავალმა ნაშთმა 20 816 562 ლარი. მათ შორის: ეკონომიკური საქმიანობის 6 175 154 ლრი; საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრსატრუქტურის განვითარება 8 703 279,20 ლარი; შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი გრანტი-4 956 441 ლარი; საერთასორისო მიზნობრივი გრანტი-889 582 ლარი; სამინისტროს დაფინანსებული პროექტები-92106 ლარი.

2025 წლის გადასახდელებში (112 987 131 ლარი), საკუთარი სახსრებით გაწეულმა გადასახდელებმა შედგინა 81 654 721 ლარი. მათ შორის: უნივერსიტეტის პოლიტიკის შემუშავება და პროგრამების ადმინისტრირებისათვის გაწეულმა ხარჯმა შეადგინა- 25 349 834,87 ლარი; ფაკულტეტებისათვის დამტკიცებული ასიგნებების ფარგლებში გაწეულმა ხრჯმა შეადგინა 42 196 279,17 ლარი: მათ შორის, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის -9 360 624,72 ლარი; ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის- 6 713 842,23 ლარი; იურიდიული ფაკულტეტის -5 372 752,44 ლარი; მედიცინის ფაკულტეტის 7 799 152,62 ლარი; სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის 3 170 345,36 ლარი; ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის-2 280 404,04 ლარი; ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის 7 499 157,56 ლარი.

ენების ცენტრის მიერ გაწეულმა ხარჯმა შეადგინა 2 609 581,49 ლარი; სტუდენტთა ხელშეწყობის პროგრამით გაწეულმა ხარჯმა შეადგინა 5 064 297 ლარი: მათ შორის: სტუდენტური პროექტების ხელშეწყობის პროგრამით დაფინანსდა 156 პროექტი ბიუჯეტით 946 968 ლარი, ხოლო 2025 წელს გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 920 255,69 ლარი. სტუდენტური სტიპენდიების პროგრამით გაწულმა ხარჯმა -საკუთარი სახსრებიდან შეადგინა 75 671,08 ლარი, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტით 4 003 800 ლარი. დაფინანსდა საშუალოდ 1356 სტუდენტი 300 ლარიანი სტიპენდიით, საუნივერსიტეტო დაფინანსებით სტუდენტებს სწავლა დაუფინანსდა

700 000 ლარით.

მეცნიერებაზე გამოყოფილი დაფინანსებით გაწეულმა ხარჯმა შეადგინა 25 619 383 ლარი. მათ შორის სახელმწიფო ბიუჯეტით სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტების და ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის - 15 588 813,2 ლარი; საერთაშორისო გრანტების 1 795 863 ლარი, ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული გრანტების 7 412 941,49 ლარი.

აკადემიური პერსონალის და დოქტორანტების სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობის პროგრამით გაწეულმა ხარჯმა შეადგინა 97 528,31 ლარი.

პროფესიული განათლების განვითარების პროგრამით გაწეულმა ხარჯმა 1 569 384, ლარი; კულტურისა და სპორტის ხელშეწყობის პროგრამით გაწეულმა ხარჯმა 2 095 702 ლარი:

საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარებაზე გაწეულმა ხარჯმა შეადგინა 948 996,55 ლარი;

ინფრასტრუქტურის განვითარებაზე გაწეულმა ხარჯმა შეადგინა თსუ საკუთარი სახსრებით 4 779 150,28 ლარი; ხოლო სამინისტროს დაფინანსებით 46 328,22 ლარი. მათ შორის თსუ საკუთარი სახსრებით შენობა -ნაგებობების რეაბილიტაციაზე გაწეულია 3 601 730,20 ლარის ხარჯი.

განათლების ხარისხის განვითარების ხელშეწყობის პროგრამით, პროგრამების აკრედიტაციაზე გაწეულმა ხარჯმა შეადგინა 203 529,89 ლარი.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან გაფორმებული ხელშეკრულებების ფარგლებში დაფინანსებული პროექტების ხარჯმა შეადგინა-2 550 569,44 ლარი. მათ შორის:- ,,მეცნიერებათა პანევროპული აკადემიის თბილისის რეგიონალური საგანმანათლებლო კვლევითი ცენტრის (ჰაბი) ხარჯმა შეადგინა -129 279,61 ლარი; ქართულ-ოსული ურთიერთობათა სამეცნიერო კვლევითი ცენტრის- 63 545 ლარი; ,,სკოლისშემდგომი განათლებისათვის მომზადების პროგრამა- 66521,71; ,,ქართულ-ფრანგული უნივერსიტეტის მხარდაჭერის-111 843,6 ლარი;, განათლების კერები საქართველოში-88 830 ლარი. ABET ელექტრული და ელექტრონული ინჟინერიის, ABET კომპიუტერული მეცნიერებების და ACS ქიმიის პროგრამებისთვის -775838ლარი; ჰორიზონტი ევროპა პროგრამის ფარგლებში- 15000ლარი; ,,ერთობლივი საერთაშორისო სადოქტორო პროგრამის ხელშეწყობა'' ფარგლებში, 99992,71 ლარი, კონკურენტული ინოვაციის ფონდის CIF გრანტების დაფინანსების 1 199 718,81 ლარი.

2025 წელს თსუ-მიერ საკუთარი სახსრებით შეძენილია 321 465 ლარის კომპიუტერული ტექნიკა, 223 575 ლარის ხმის ჩამწერი აპარატურა; 77 750 ლარით- 2 ავტომობილი; 158 375 ლარის წიგნები, 208175 ლარის სამედიცინო აპარატურა და ხელსაწყოები; 44 628 ლარის ოპტიკური ხელსაწყო; 486 233 ლარის ავეჯი; 57 372 ლარის პრინტერები და სკანერები; 119 978 ლარის გასანათებელი მოწყობილობები. 37 350 ლარის სახანძრო, სამაშველო მოწყობილობები და უსაფრთხოების საშუალებები; სათვალთვალო და დაცვის სისტემები და აპარატურა; 78 850 ლარის მასალების თერმულად დასამუშავებელი დანადგარები; გრავირების მანქანები; აქსესუარები ლამინირებისათვის; 17 940 ლარის კონდენციონერები; 339536 ლარის კომპიუტერული პროგრამები და სხვა.

2025 წლის დეკემბრის თვეში საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან გაფორმდა ხელშეკრულებები 7 956 731 ,27

ლარზე ,,უმაღლესი საგანმანათლებლო და სამეცნიერო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის. მათ შორის: 1 301 447,31 ლარი- თსუ ქუთაისის პროფესიული განათლების ცენტრის ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციისათვის; 1 492 570,75 ლარი თსუ ცენტრალური ბიბლიოთეკის მეოთხე სართულზე მდებარე მონაკვეთის სარემონტო სამუშაოებისათვის; 322 053,81 ლარი, თსუ მეორე კორპუსის ეზოს მოწყობისათვის; 217 631,78 ლარი, მცხეთის მუნიციპალიტეტში/მუხათგვერდში მიწის ნაკვეთზე დაზიანებული ღობის აღსადგენად; 42 182,64 ლარი კი მცხეთის რექტორის გარე განათებისათვის; 1 436 000 ლარი, მაღლივი X სასწავლო კორპუსის ლიფტების განახლების და საპროექტო სამუშაოებისათვის; 290 704,98 ლარი ბიოლოგების XI სასწავლო კორპუსის ლიფტების მოწყობის სამუშაოებისათვის; 225 140 ლარი თსუ პირველი სასწავლო კორპუსის ჩილერის და მულტიზონალური გატბობა გაგრილების VRV სისტემის მონტაჟისათვის, 535 500 ლარი, საგამოცდო ცენტრის დიზელ გენერატორისათვის; 895 800 ლარი, საგამოცდო ცენტრის თხელი კლიენტებისათვის; 1 197 700 ლარი, საგამოცდო ცენტრის სერვერული ინფრასტრუქტურისათვის.

## 2. ინფრასტრუქტურის განვითარება და უსაფრთხოება

**2025 წლის განმავლობაში განხორციელდა:**

მაღალი ენერგიების ფიზიკის ინსტიტუტის შენობის A ბლოკის გამაგრება-რეაბილიტაცია (NAT230019007) – 1 319 744.70 ლარი

მე-11 (ბიოლოგების) სასწავლო კორპუსის, რაფიელ აგლაძის არაორგანული ქიმიისა და ელექტრო ქიმიის ინსტიტუტის ადმინისტრაციული შენობის, ბაგების საერთო საცხოვრებლი პირველი და მე-2 კორპუსების და ქუთაისის პროფესიული განათლების ცენტრის შენობების სახურავის გადახურვის სამუშაოები (NAT240012326) – 271 454.75 ლარი

სამეცნიერო ბიბლიოთეკის შენობის კიბის უჯრედის სარეაბილიტაციო სამუშაოები. (NAT240013672) – 73 859.56 ლარი

მე-10 (მაღლივი) სასწავლო კორპუსის ცენტრალური კიბეების სარეაბილიტაციო სამუშაოები (NAT240013850) -199 956.95 ლარი

მე-11 (ბიოლოგების) კორპუსში კორპუსის 266ა აუდიტორიის თავზე სართულშუა გადახურვის ფილის მოწყობის და წარმოქმნილი აუდიტორიის სარემონტო სამუშაოები (NAT240018602) – 68 250.63 ლარი

მე-10 (მაღლივი) კორპუსის მე-8 და მე-9 სართულების სარეაბილიტაციო სამუშაოები ( NAT240024277) - 781 016.99 ლარი

ლისის საერთო საცხოვრებლის კორპუსში გათბობის ქვაბის მოწყობის სამუშაოები (NAT250002523) – 28 410.33 ლარი

პირველი სასწავლო კორპუსის ეზოში დაცვის ჯიხურის მოწყობის/მონტაჟის სამუშაოების შესყიდვა (NAT250003435) – 26 194.10 ლარი

მორფოლოგიის ინსტიტუტში სველი წერტილების და ოსკის ოთახის მოწყობის სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოები (NAT250001860) - 178`707.51 ლარი

მე-2 და მე-8 სასწავლო კორპუსების სახურავზე არსებული გუმბათის გადახურვის მოწყობის სამუშაოები (NAT250010495) - 54 439.88 ლარი

მე-11 (ბიოლოგების) სასწავლო კორპუსში მდებარე 429-ე ოთახის (არქივი) სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოები (NAT250011215) - 139 241.86 ლარი.

ამასთან, უნივერსიტეტის სარგებლობაში, 10 წლის ვადით, გადმოცემული იქნა (31.01.2025წ) ალექსიძის ქ. #1-ში მდებარე შენობაში (ს/კ 01.10.13.040.113) 676,55 კვ.მ ფართი (6 ერთეული).
მომზადებული და გამოცხადებული იყო აუქციონები უძრავი ქონების იჯარის წესით გაცემის თაობაზე 4 ერთეულ ფართზე, საიდანაც იჯარის ფორმით გაცემული იქნა:
5 წლის ვადით, უნივერსიტეტის პროფესიული განათლების ცენტრის განთავსების ლოკაციებზე არსებულ ფართებში 4 კვ.მ ფართი ჯამურად (თითოეულ ლოკაციაზე 2 კვ.მ) - მდებარე ქ. თბილისში უნივერსიტეტის ქუჩა 2 (ს/კ 01.14.04.028.018) და ქ. ქუთაისში, ნიკეას ქუჩა, მე-2 შესახვევი #8 (ს/კ 03.05.02.452) - ვენდინგის და ყავის აპარატების დადგმის მიზნით (საიჯარო ქირა 330 ლარი).
10 წლის ვადით, თსუ-ის მე-11 კორპუსში (ბიოლოგების) ნულოვან სართულზე არსებული 455 კვ.მ. ფართი (ს/კ 01.14.06.006.133), მასში სპორტული სროლის შემსწავლელი სივრცის მოწყობის მიზნით (საიჯარო ქირა 2700 ლარი).
ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2025 წლის 25 თებერვლის N45/02-01 ბრძანებებით განხორციელდა მვირეფასიანი აქტივების ჩამოწერა (4193 ერთეული – ღირებულებით 249192,1 ლარი).
ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2025 წლის 30 აპრილის N110/02-01 ბრძანების საფუძველზე მოხდა ჩამოწერილი მვირეფასიანი აქტივების (4193 ერთეული – ღირებულებით 249 192,1 ლარი) უნივერსიტეტის ტერიტორიიდან გატანა და კანონმდებლობის შესაბამისად განადგურება (41 ავტოსატრანსპორტო საშუალება - 1610 კუბ.მეტრი).
მომზადდა სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბალანსზე (ბალანსგარეშე ანგარიშზე) რიცხული: ძირითადი აქტივების ჩამოწერის საკითხი მისი შემდგომი განკარგვის მიზნით (საწყისი ღირებულება 1172805,13 ლარი, ნარჩენი ღირებულება 25315,14 ლარი) შეთანხმებული იქნა წარმომადგენლობით საბჭოსთან და გაგზავნილი იქნა საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროში.
მომზადდა სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბალანსზე (ბალანსგარეშე ანგარიშზე) რიცხული: ამორტიზირებული და შემდგომში ექსპლოატაციისთვის გამოუყენებელი მცირეფასიანი აქტივების ჩამოწერის საკითხი მისი შემდგომი განკარგვის მიზნით (მცირეფასიანი აქტივების რაოდენობა შეადგენს: 2935 ერთეულს - საწყისი საბალანსო ღირებულებით 285078,92 ლარი) შეთანხმებული იქნა წარმომადგენლობით საბჭოსთან და გაგზავნილი იქნა საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროში.

## თსუ უსაფრთხოების გაძლიერების მიმართულებით გადადგმული ნაბიჯები:

- ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველი კორპუსის ეზოში, უნივერსიტეტის პანთეონის ტერიტორიაზე ფილების

დაზიანებისაგან დაცვისათვის, წესრიგისა და სისუფთავის უზრუნველყოფის მიზნებიდან გამომდინარე, დამონტაჟდა პანთეონში ძაღლების შემოყვანის ამკრძალავი, ასევე, ველოსიპედით, სკეიტბორდით, გორგოლაჭებით და სკუტერით გადაადგილების ამკრძალავი ბანერები;

- თსუ უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლებს შორის რადიოკავშირის უზრუნველსაყოფად, აგრეთვე, უსაფრთხოების სამსახურში არსებული ერთიანი ცენტრალიზებული სასიგნალიზაციო სისტემის ფუნქციონირებისთვის შეძენილ იქნა დეციმეტრული და მეტრული სიხშირეები;
- თსუ ბიბლიოთეკის მიმდებარედ (ავტოსადგომზე) საპარკინგე სივრცესთან მოეწყო ელექტრონული ბარიერი (შლაგბაუმი), ნომრის ამომცნობი კამერით;
- თსუ XI (ბიოლოგები) კორპუსის მიმდებარედ (ავტოსადგომზე) საპარკინგე სივრცესთან მოეწყო 2 ცალი ელექტრონული ბარიერი (შლაგბაუმი), ნომრის ამომცნობი კამერით;
- ელეფთერ ანდრონიკაშვილის სახელობის ფიზიკის ინსტიტუტში ელექტრონული ბარიერისთვის (შლაგბაუმი) დამონტაჟდა ნომრის ამომცნობი კამერა;
- თსუ-ს უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლებისთვის შევიძინეთ ზამთრის უნიფორმა (ქურთუკები);
- თსუ-ს პირველი კორპუსის ტერიტორიაზე მდებარე სტუდენტურ კაფეტერიაში, სადაც აქტიურად მიმდინარეობდა სარემონტო სამუშაოები, დამონტაჟდა ვიდეო-სამეთვალყურეო კამერა;
- თსუ-ს პირველი კორპუსის ტერიტორიაზე მდებარე სტუდენტურ კაფეტერიაში სადაც აქტიურად მიმდინარეობდა სარემონტო სამუშაოები დამონტაჟდა, ასევე, სიგნალიზაცია;
- თსუ-ს უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლებისთვის შევიძინეთ ზაფხულის უნიფორმა (მაისურები) ;
- თსუ პირველ და მეორე კორპუსებს შორის მდებარე საკონტროლო გამშვებ პუნქტზე, ძველი ჯიხური შეიცვალა ახალი, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი ლითონის კონსტრუქციის ნაგებობით;

- დაცვის ტექნიკურ საშუალებებზე (ვიდეოკამერები, სიგნალიზაცია) ხორციელდებოდა მუდმივი მონიტორინგი ;
- ასევე, თსუ უსაფრთხოების სამსახური მუდმივ რეჟიმში ჩართული იყო უნივერსიტეტის ეგიდით ჩატარებულ ყველა ღონისძიებაში და უზრუნველყოფდა წესრიგს.

## 3. სტუდენტთა ხელშეწყობა

*სტუდენტური პროექტების ხელშეწყობის პროგრამით დაფინანსდა 156 პროექტი ბიუჯეტით 946 968 ლარი, ხოლო 2025 წელს გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 920 255,69* ***ლარი.*** *სტუდენტური სტიპენდიების პროგრამით გაწულმა ხარჯმა -საკუთარი სახსრებიდან შეადგინა 75 671,08 ლარი, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტით 4 003 800 ლარი. დაფინანსდა საშუალოდ 1356 სტუდენტი 300 ლარიანი სტიპენდიით, საუნივერსიტეტო დაფინანსებით სტუდენტებს სწავლა დაუფინანსდა 700 000 ლარით.*

**კარიერის მხარდამჭერი სერვისები.**

**კარიერიერის მხარდამჭერი სერვისები.**

- 2025 წელს EUIPO ევროკავშირის ინტელექტუალური საკუთრების ოფისმა საქპატენტთან და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან თანამშრომლობით კვლავ გამოაცხადა ერთწლიანი სტაჟირების პროგრამა , ალიკანტეში, ესპანეთში, კომპანიის მთავარ ოფისში. აღსანიშნავია, რომ საქართველოს სახელმწიფო ავტორიზებული უნივერსიტეტებიდან ყველაზე მეტი 132 აპლიკანტი გაიგზავნა თბილისის სახელწმიფო უნივერსიტეტიდან. (წინა წელს აპლიკანტთა რაოდენობა იყო 92)
- გერმანულ ფინანსურ კომპანია BayWa- სთან ერთად 2025 წელს განვახორციელეთ ერთობლივი ანაზრაურებადი სტაჟირების პროგრამა გერმანიაში, რომელშიც გასაუბრების ეტაპები გაიარა 38 აპლიკანტმა, (წინა წელს 29 აპლიკანტი) ხოლო 4 სტაჟირება დაიწყო კომპანიაში.
- სახელმწიფო სტაჟირების პროგრამის ფარგლებში 2025 წელს ჩატარდა 13 შეხვედრა სხვადასხვა სახელმწიფო უწყების წარმომადგენლებთან. სტაჟირებაში მონაწილეობა მიიღი 482 აპლიკანტმა.
- მიმდინარე ვაკანსიების, სტაჟირების პროგრამების შესახებ ინფორმაციის სისტემატური მიწოდება - 2025 წელს გაიგზავნა 1433 აქტიური ვაკანსიისა და სტაჟირების შესახებ ინფორმაცია.
- პროფილურ დამსაქმებლებთან სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების შეხვედრების ორგანიზება - 2025 წელს ყოველკვირეულად საშუალოდ უნივერსიტეტის მასშტაბით 2-3 შეხვედრა გაიმართა. 2025 წელს ჩატარდა 74 შეხვედრა, რომელსაც საშუალოდ 7000 სტუდენტი და კურსდამთავრებული დაესწრო.
- ტრენინგ კურსს ,,კარიერის მართვა", რომელიც არის 12 საათიანი ინტესნიური კურსი და შეეხება ისეთ საკითხებს როგორიცაა: კარიერის თანამედროვე კონცეფციები, შრომის ბაზრის შესწავლა, პირადი კარიერის დაგეგმვა. 2025 წელს ჩატარდა 8 ტრენინგი. მონაწილეობა მიიღო 178 სტუდენტმა.
- ტრენინგკურსი ,,პროექტის წერა" – 2025 წელს ჩატარდა 34 ტრენინგი, მონაწილეობა მიიღო 516 სტუდენტმა
- კარიერის მხარდამჭერი ვებინარები - 2025 წელს ჩატარდა4 ვებბინარი. მონაწილეობა მიიღო 137 სტუდენტმა

- ინდივიდუალური კონსულტაცია - კარიერის მხარდამჭერ საკითხებზე 2025 წელს ინდივიდუალური კონსულტაცია გაიარა 817 სტუდენტმა და კურსდამთავრებულმა

**საერთო საცხოვრებლის სერვისები**

- 2025 წლის განმავლობაში სტუდქალაქის შესახლების მიზნით 5-ჯერ გამოცხადდა ონლაინ რეგისტრაცია. ჯამში წლის განმავლობაში სტუდქალაქში შესახლებული იქნა - 216 სტუდენტი. **ლისის საერთო საცხოვრებელში შესახლდა - 96 სტუდენტი. ბაგების საერთო საცხოვრებელში შესახლდა - 120 სტუდენტი.**
- 2025 წლის სექტემბრიდან დეკემბრის ჩათვლით საპილოტე რეჟიმში სტუდქალაქის საერთო საცხოვრებელში მცხოვრებთა რეგისტრაცია გაიხსნა. აღნიშნულის მიზანი იყო საცხოვრებლის მაძიებლებს მათთვის სასურველ ნებისმიერ დროს ჰქონოდათ შესაძლებლობა რეგისტრაცია გაევლოთ და ადგილის შემთხვევაში შესახლებულიყვნენ შესაბამის საერთო საცხოვრებლებში. (და არა შინაგანაწესის მიხედვით არსებული წესით სემესტრის დასაწყისში ერთხელ). როგორც პროცესმა აჩვენა რეგისტრაციის მუდმივ რეჟიმში გახსნის მიუხედავად მომართვიანობა ძირითადად სასწავლო სემესტრის დასაწყისში ან დასასრულსაა.

**საბავშვო უნივერსიტეტი**

- ახალი პროექტებიდან აღსანიშნავია “რუკები ყოველდღიურ ცხოვრებაში” - კონკურსი სკოლის მოსწავლეებისათვის ოთხ ასაკობრივ კატეგორიაში (გამარჯვებული ავტორები დაჯილდოვდნენ და მათი ნაშრომები გადაიგზავნა კანადაში საერთაშორისო კონკურსზე)
- მდე მოსწავლე 30-ზე მეტი სკოლა ქვეყნის 9 რეგიონიდან
- რუსთაველის ფონდის მეცნიერების პოპულარიზაციის საგრანტო კონკურში გამარჯვებულ პროექტებში ჩართულობა: “მეცნიერება მომავალი თაობისთვის”; “მეცნიერების თასი”; “ნობელიანტების ექსპერიმენტები ფიზიკაში”; “სახალისო ქიმიური ექსპერიმენტები” აღნიშნულ პროექტებში საბავშვო უნივერსიტეტი აქტიურ კომუნიკაციაში იყო სკოლებთან/ სკოლის დირექციებთან და პედაგოგებთან, მოსწავლეების დაინტერესების, მათი ჩართულობის გაზრდის და დასწრების საკითხის უპრობლემო მოგვარებაში. შედეგად აღნიშნულ პროექტებში ჯამურად 1000-ზე მეტი მოსწავლე ჩაერთო 100-ზე მეტი სკოლიდან.
- “მსოფლიო ოკეანის დღე”ტრენინგი/ვორქშოპი -მდე მოსწავლე 10-მდე სკოლიდან
- CERN/IPPOG საერთაშორისო შემეცნებითი მასტერკლასი (მეცნიერების, ინოვაციების და ტექნოლოგიების პოპულარიზაცია)
- 2025 წელს თსუ საბავშვო უნივერსიტეტის პროექტებითა და პროგრამებით ისარგებლა/მონაწილეობა მიიღო 400-ზე მეტმა სკოლამ, 1000-ზე მეტმა მოსწავლემ.
- საექსკურსიო ტიპის შეთავაზებით ისარგებლა 1000-ზე მეტმა მოსწავლემ ქვეყნის 100-მდე სკოლიდან. სეზონურ თემატურ სკოლებში მონაწილეობა მიიღო 120-მდე მოსწავლემ.
- პოექტებსა და სხვადასხვა საგანმანათლებლო აქტიობებში მონაწილეობდა 350-მდე მოსწავლე. სამეცნიერო ტიპის ესეების, სტატიების კონკურსებსა და კონფერენციებში ჩაერთო 280-მდე მოსწავლე.

- პროფორიენტაციით ისარგებლა 700-მდე მოსწავლემ. რეგიონებში საბავშვო უნივერსიტეტის ჩართულობით განხორციელებულ აქტიობებში მონაწილეობდა 1500-მდე მოსწავლე.
- ცენტრი აქტიურად იყო ჩართული საუნივერსიტეტო აქტივობებში, საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტთან ერთად აქტიურად გეგმავდა 26 მაისის ღონისძიებას და მეცნიერების ფესტივალს

ცენტრის ორგანიზებით და სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულების ჩართულობით უკვე ტრადიციულად ჩატარდა პირველსემესტრელთა საინფორმაციო დღეები. მონაწილეობა მიიღო 1289 სტუდენტმა. საინფორმაციო შეხვედრებისას სტუდენტებს შესაძლებლობა ჰქონდათ გაცნობოდნენ ისეთ საუნივერსიტეტო სერვისებს როგორიცაა:

- სასწავლო მარეგულირებელი წესი
- ხარისხის განვითარება და სტუდენტების ჩართულობა
- გაცვლითი პროგრამები
- სტიპენდიები
- საგრანტო კონკურსი
- კარიერის მხარდამჭერი და დასაქმების ხელშემწყობი სერვისები
- სტუდენტური ცხოვრება
- კულტურული და სპორტული ცხოვრება თსუ-ში
- საერთო საცხოვრებელი

საინფორმაციო შეხვედრების შემდეგ გაიმართა კამპუსის ტური პირველ კორპუსში.

## 4. სამეცნიერო-კვლევების ხელშეწყობა

2025 წლის განმავლობაში თსუ-ში ხორციელდებოდა 200-ზე მეტი ადგილობრივი/საერთაშორისო პროექტი (დონორი ორგანიზაციებია: SRGNSF, EU HORIZON EUROPE/Erasmus+, ISTC, NATO, DAAD SDG, AUF, APPEAR და სხვა).

თსუ დაფინანსებული პროექტების რაოდენობით ტრადიციულად ლიდერობდა სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის (SRGNSF) გამოცხადებულ კონკურსებში. 2025 წელს ფონდის მიერ გამოცხადებული კონკურსებიდან თსუ-მ 12 კონკურსში მიიღო მონაწილეობა და ჯამში 332 საპროექტო წინადადება წარადგენა. კონკურსების შედეგების მიხედვით თსუ-ს მონაწილეობით 105 ეროვნული პროექტი დაფინანსდა. შრსესფ 2025 წლის კონკურსებში თსუ წარმატების ინდექსმა შეადგინა 32%.

2025 წლის განმავლობაში თსუ-ში ხორციელდებოდა 26 საერთაშორისო პროექტი.

ევროკომისიის დაფინანსებისა და ტენდერების პორტალის (Funding and Tenders Portal) მონაცემებით 2025 წელს თსუ-ის მონაწილეობით ინიცირებული იყო 42 საპროექტო წინადადება, რომელთა შორის 7 განაცხადში თსუ კოორდინატორია. წარდგენილი

საპროექტო წინადადებებიდან 1 პროექტმა მოიპოვა დაფინანსება (ERASMUS-EDU-2025-PEX-EMJM-MOB). ხოლო დარჩენილი 41 საპროექტო წინადადებებიდან 26-ზე მოვიდა უარი, 1 სარეზერვო სიაშია, 14 საპროექტო განაცხადი განხილვის სტადიაშია.

თსუ-ის ავტორობით მაღალრეიტინგულ ჟურნალებში Scopus-ის მიხედვით გამოქვეყნდა 689 პუბლიკაცია (2026 წლის 19 მარტის მონაცემებით).

თსუ სამეცნიერო-კვლევითი პოტენციალის და ხილვადობის გაზრდის მიზნით თსუ სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების და იურიდიული დეპარტამენტების ინიცირებით თსუ-ში ამოქმედდა აკადემიური პერსონალის და დოქტორანტთა სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობის მექანიზმები (რექტორისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ერთობლივი ბრძანებები 12/04 და 13/04, 19.05.2021). 2025 წლის განმავლობაში თსუ აფილირებით მაღალრეიტინგულ ჟურნალებში სტატიების გამოქვეყნებისთვის დაჯილდოვდა 62 აკადემიური პერსონალი და 5 დოქტორანტი; ამავდროულად საფაკულტეტო ჯილდო გადაეცა 40 აკადემურ პერსონალს.

შესაბამისი ბიბლიომეტრიული რესურსების გამოყენებით ხორციელდებოდა წყაროების შემოწმება და საფინანსო დეპარტამენტის ინფორმირება დაფინანსებულ პროექტებში კვლევის შედეგების მაღალრეიტინგულ ჟურნალებში გამოქვეყნების ფარგლებში სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მოთხოვნების დაკმაყოფილების მიზნით.

პერმანენტულად მიმდინარეობდა უნივერსიტეტში არსებული სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების სამეცნიერო საქმიანობის ხელშეწყობა/მონიტორინგი.

პერმანენტულად ტარდებოდა კონსულტაციები მინიმალურ სავალდებულო სამეცნიერო-კვლევით დატვირთვასთან დაკავშირებით.

განხორციელდა ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების მიზნით სსიპ ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სააგენტოსთან თანამშრომლობით კონკრეტული ღონისძიებების გატარება; Clarivate Analytics Web of Science და Elsevier Scopus ბიბლიომეტრიულ რესურსზე წვდომასთან დაკავშირებით საჭირო ღონისძიებების გატარება; საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია “XXXth International Seminar/Workshop on Direct and Inverse Problems of Electromagnetic and Acoustic Wave Theory (DIPED-2025) ორგანიზება/ჩატარება; დეპარტმანეტი უშუალოდ იყო ჩართული თსუ-ში მიმდინარე ორი ქართულენოვანი საბაკალავრო პროგრამის „ელექტრულ და ელექტრონულ ინჟინერიასა“ და „კომპიუტერულ მეცნიერებებში“ ABET საერთაშორსო რეაკრედიტაციის პროცესში.

მომზადდა და თსუ-ის ვებზე განთავსდა 2 ანგარიში: თსუ წლიური სამეცნიერო ანგარიში და თსუ სამეცნიერო აქტივობა 2025 წლის მანძილზე.

## 5. საზოგადოებასთან ურთიერთობა

- 2025 წელს 250- მდე ღონისძიება გაიმართა, რომელიც აქტიურად გაშუქდა მედიასაშუალებებით. აგრეთვე მომზადდა საგაზეთო სტატიები, ტელე-რადიო სიუჟეტები და გადაცემები.
- უნივერსიტეტის ვებგვერდი www.tsu.ge ყოველდღიურად ახლდება როგორც მიმდინარე ღონისძიებების შესახებ ინფორმაციით, ასევე, სამეცნიერო და სასწავლო სიახლეებით. თსუ Online-ზე, სიახლეებში და ვებგვერდის სხვა განყოფილებებში 2025 წლის განმავლობაში გამოქვეყნდა 20-მდე სტატია, მომზადდა მასალები თსუ სტუდენტების, კურსდამთავრებულების, პროფესორების წარმატების ისტორიებზე. მათ შორის, მსოფლიოს სხვადასხვა უნივერსიტეტში მოღვაწე თსუ-ელების წარმატებული საქმიანობის შესახებ. აგრეთვე, სხვადასხვა კონკურსებსა და პროექტებში გამარჯვებული სტუდენტების, სტუდენტური საერთო საცხოვრებლის, სპორტული და კულტურული ცხოვრების შესახებ და სხვა. თსუ ვებგვერდის რუბრიკაში „კურსდამთავრებული", სისტემატურად ქვეყნდება ინფორმაცია წარმატებული ახალგაზრდა უნივერსიტეტელების შესახებ, რომლებიც უნივერსიტეტთან აქტიურად იყვნენ და/ან კვლავაც არიან დაკავშირებულნი. google analytics-ის მონაცემებით ბოლო ერთი წლის განმავლობაში თსუ ვებგვერდს 5,778,207 მნახველი ჰყავდა.
- 2025 წელს თსუ-ის ოფიციალურ სოციალურ ქსელ Facebook-ზე განთავსდა 500-მდე საინფორმაციო-საიმიჯო ინფორმაცია. გასულ წელს, Facebook-ის საშუალებით 223 000 მომხმარებელი იღებდა ინფორმაციას, 13000-ით მეტი ვიდრე 2024 წელს. 2025 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის Facebook კამპანიების ფარგლებში მომზადდა კამპანიები: **#თსუპორტრეტებში**, რომელშიც უნივერსიტეტის ადმინისტრაციის თანამშრომლები კამპანიის ფარგლებში წარმოჩენილები იყვნენ თავისი საქმიანობით თსუ-ში; კამპანიის ფარგლებში მომზადდა 5 ფეისბუქპოსტი. კამპანია **#უნივერსიტეტელი** - თსუ-ს სოციალური ქსელებისთვის წარმატებული სტუდენტების, პროფესორ-მასწავლებლების (ადგილობრივ, თუ საერთაშორისო კონკურსებზე, სასტიპენდიო-საგრანტო კვლევითი პროექტებში გამარჯვება; სტატიების გამოქვეყნება; წიგნების გამოცემა და ა.შ.) შესახებ მზადდებოდა სტატიები და ე.წ. Story-ები; მომზადდა თსუ **საიმიჯო ვიდეორგოლები** - თსუ წარჩინებული სტუდენტი, თსუ კურსდამთავრებული, თსუ მეცნიერება, თსუ საგანმანათლებლო პროგრამების საიმიჯო ვიდეოები, თსუ ღონისძიებების „რილები", თსუ კურსდამთავრებულების ვიდეო- **„უნივერსიტეტი ჩემთვის არის"**... მასალები ვრცელდებოდა სოციალურ ქსელებში (facebook, instagram); ამ კამპანიების ფარგლებში სოციალურ ქსელებში განთავსდა 50 პოსტი.

- თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს აქვს საკუთარი Youtube არხი, რომელზეც მუდმივად თავსდება თსუ-ში გამართული საჯარო ლექციები, სხვადასხვა შეხვედრების, საუნივერსიტეტო აქტივობების ამსახველი ვიდეომასალა. ასევე, აქტიურად ფუნქციონირებს Instagram -ის ოფიციალური გვერდი, რომელსაც ამჟამად 9000-ამდე გამომწერი ჰყავს.
- გამოიცა და გავრცელდა გაზეთის „თბილისის უნივერსიტეტის" ბეჭდური ვერსიის 9 ნომერი; გაზეთის ვებგვერდისთვის ჟურნალისტებმა მოამზადეს 312 სტატია; ვებ-გვერდზე აიტვირთა 312 სტატია და 500-ზე მეტი ფოტო.
  გაზეთის ჩანართისთვის - ,,სტუდენტური ფურცელი" - თსუ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ჟურნალისტიკის მიმართულების სტუდენტებმა მოამზადეს 38 სტატია.
- ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის 2025 წლის 3500-მდე კურსდამთავრებულისთვის გამოშვების საზეიმო ღონისძიება გაიმართა თსუ პირველი კორპუსის ეზოში. ღონისძიება გაშუქდა მედიაში.
- გამოიცა თსუ საიმიჯო ბუკლეტები, ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის აბიტურიენტთა მეგზურები, ფლაერები.
- 26 მაისს, შესაბამისი კონცეფციითა და დიზაინით წარსდგა თსუ დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებულ ღონისძიებაზე ზუგდიდში, რომელშიც სტუდენტები და პროფესორ-მასწავლებლები იყვნენ ჩართულები. ღონისძიებაზე დარიგდა საიმიჯო ატრიბუტიკა, მოეწყო შემეცნებით-გასართობი ხასიათის აქტივობები.
- გაიმართა საინფორმაციო შეხვედრები პირველსემესტრელებისთვის, რისთვისაც დაიბეჭდა პირველსემესტრელის მეგზური სხვადასხვა ფაკულტეტისთვის.
- თსუ მეცნიერების პოპულარიზაციის, სტუდენტებისა და ახალგაზრდა მეცნიერების წარმოჩენისთვის გაიმართა სამეცნიერო ფესტივალი. ფესტივალის ფარგლებში გაიმართა თსუ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა მიმართულების აქტივობები.
- თსუ-ის პოპულარიზაციისთვის, შესაბამისი დიზაინით დამზადდა საუნივერსიტეტო ატრიბუტიკა (მაისურები, ჩანთები, ფლეშმეხსიერების ბარათები, ჭიქები)

## 6. საბიბლიოთეკო საქმიანობა

ისევე, როგორც წინა წლებში თსუ-ის ბიბლიოთეკა გასულ წელსაც მნიშვნელოვანი საქმიანობით გამოირჩეოდა.

2025 წელს თსუ-ის საბიბლიოთეკო ფონდის გასამდიდრებლად გამოყოფილი 210 000 ლარიდან ათვისებულია 171 337.41 ლარი. შეძენილია 1102 დასახელების 1971 ერთეული წიგნი. ბიბლიოთეკას საჩუქრად გადაეცა 12 559 დასახელების 12 883 წიგნი.

აღირიცხა და დამუშავდა 14 343 დასახელების 16 767 საბიბლიოთეკო ერთეული. ტექნიკურად დამუშავდა 10 383 ერთეული; დაიწერა 10 928 საკატალოგო ბარათი. კატალოგში ჩაირთო 3 560 ბარათი.

ელექტრონულ კატალოგში განთავსდა 10 862 საბიბლიოთეკო დოკუმენტი და შეიქმნა 6 683 ახალი ჩანაწერი.

ელექტრონული საგნობრივი კატალოგებისთვის დამუშავდა 6 ფაკულტეტის 8 მიმართულების 75 სასწავლო კურსი და სილაბუსში მითითებული 677 ერთეული ძირითადი ლიტერატურა. დამუშავდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის 6 მოდულის 220 ერთეული ლიტერატურა.

დოკუმენტების დიგიტალიზაციის მიმართულებით 2025 წელს დასკანერდა 3 859 საბიბლიოთეკო დოკუმენტი, სულ 336 829 გვერდი. ასევე დასკანერდა და დამუშავდა ფოტოფირების 209 კადრი.

რესტავრაცია ჩაუტარდა 417 დოკუმენტს (8841 ფურცელი). გაიწმინდა და დეზიფენქცია ჩაუტარდა 1 140 დოკუმენტს (9370 გვ.). აიკინძა და ყდაში ჩაისვა 135 ბლოკად, 32 დასახელების 316 თვის პერიოდული გამოცემა.

დედაენის დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებასთან დაკავშირებით რესტავრაციის განყოფილებამ ჩაატარა მასტერკლასი სკოლის მოსწავლეებისთვის.

სამკითხველო დარბაზებში განხორციელდა 24 400 ვიზიტი;

აბონემენტის განყოფილებაში ჩაეწერა 485 ახალი მკითხველი, გაიცა 2 656 წიგნი და დაბრუნდა 2 384 წიგნი,; ხელზე გაიცა 370 ცნობა. ელ. ფოსტით გაიგზავნა 3 141 ცნობა;

დაკოპლექტება - დამუშავების განყოფილებიდან საცავებში შესული 2 859 ერთეული წიგნი განლაგდა თაროებზე. ელექტრონულ კატალოგში გაკეთდა 8 186 ჩანაწერი;

2025 წელს Jstor, Science Direct, Econlit, TLG, Scopus, Web of Scince ბაზებიდან გადმოწერილი

ფაილების რაოდენობაა 32 564 ერთეული; საძიებო სისტემით მოიძებნა - 26 205 ფაილი.

თსუ ციფრულ ბიბლიოთეკაში (eBooкs) 2025 წელს ატვირთული დოკუმენტების რაო-ბაა 1640 ერთეული. სულ ატვირთულია 21 306 ერთეული; ანოტაციები ბაზების შესახებ განთავსებულია ბიბლიოთეკის ვებ გვერდზე.

უსინათლო სტუდენტებისთვის დასკანერდა და დამუშავდა 28 დოკუმენტი. DSpace-ზე აიტვირთა 74 დოკუმენტი. სულ ატვირთულია 2 606 ერთეული.

თემატურად დახარისხდა და ტექნიკურად დამუშავდა (აღწერა, დასათაურება და ინვენტარის ნომერი მინიჭება) ოთარ ბაქანიძის საარქივო კოლექციის 1378 დოკუმენტი. ბიბლიოთეკის ელექტრონულ კატალოგში შეყვანილია იმავე კოლექციის 652 დოკუმენტი.

დასაბეჭდად მომზადდა კიტა ჩხენკელის ეპისტოლური მემკვიდრეობა, რომელიც გამოიცა 2025 წლის ოქტომბერში.

დასაბეჭდად მომზადდა მიხეილ ხუნდაძის წიგნის ქართულენოვანი თარგმანი და გაიმართა პრეზენტაცია.

წიგნის გამოსაცემად აკაკი და კიტა ჩხენკელების კოლექციიდან შეირჩა 332 დოკუმენტი.

დასკანერდა 220 დოკუმენტი. აკაკი ჩხენკელის დღიურების მესამე ტომისთვის მომზადდა 82

განმარტებითი კომენტარი. აკაკი ჩხენკელის დღიურების მეხუთე ტომისთვის აიკრიფა 240 ნაბეჭდი გვერდი.

ელექტრონულ კატალოგში ჩასწორებულია მამია და ქრისტინე ბერიშვილების კოლექციის 1021 დოკუმენტის ადგილმდებარეობა.

ჩატარდა სტუდენტური კონფერენცია 1910-20-იან წლებში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკისა და ამიერკავკასიის პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ.

## 7. საგამომცემლო საქმიანობის ხელშეწყობა

თსუ გამომცემლობამ 2025 წლის განმავლობაში მოამაზადა, დაბეჭდა ან ელექტრონული სახით გამოსცა 249 გამოცემა:

- სამეცნიერო ნაშრომები, კრებულები, მონოგრაფიები, სახელმძღვანელოები, ბიობიბ-ლიოგრაფიები, პერიოდული გამოცემები...
- უნივერსიტეტის სხვადასხვა ფაკულტეტის მოთხოვნათა შესაბამისად, დაისტამბა რამდენიმე სახელმძღვანელო, მათ შორის:
  - ✓ „შესავალი ინგლისურ ფილოლოგიაში“
  - ✓ „თანამედროვე ინგლისური ენის გრამატიკის უმაღლესი კურსი“,
  - ✓ „აკადემიური წერა“,
  - ✓ „პრაქტიკული კურსი ანალიზურ კითხვაში“ – 1, 2, 3 წიგნები,
  - ✓ აკ. შანიძის „ქართული ენის გრამატიკა“,
  - ✓ „კახეთის გეოგრაფიული ატლასი“,
  - ✓ „საქართველო მსოფლიო პოლიტიკურ-გეოგრაფიულ და გეოპოლიტიკურ კონტექსტში“,
  - ✓ „ქართული დრამატურგიის“ სამტომეული,
  - ✓ „მე-20 საუკუნის ქართული ლიტერატურის“ ოთხტომეული,
  - ✓ თამაზ გამყრელიძის „გილგამეშის ეპოსის ტრანსლიტერაცია“,
  - ✓ „ახალი ქართული ლიტერატურის ისტორია“,
  - ✓ „ადამიანის ანატომია“,

- ✓ „ქართული ენა უცხოელთათვის“,
- ✓ „ვაჟა-ფშაველა ლიტერატურისა და ხელოვნების შესახებ“,
- ✓ „შუამდინარული და ქართველოლოგიური ძიებანი“,
- ✓ „ქართული ენის ხატირით“ - კიტა ჩხენკელი,
- ✓ „თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის მართლწერისა და მართლმეტყველების საკითხები“,
- ✓ „მაკრომოლეკულების ქიმიის“ 1 და 2 წიგნი,
- ✓ „დიდი სამამულო 1941-1945წწ - მეორე მსოფლიო ომი და ქართული მწერლობა - მცირე ანთოლოგია“ და ა.შ.

- გაგრძელდა **სერიები „ენა და მწერალი“, „საქართველოს დიდი მეფეების გალერეა“, „ენათმეცნიერების მოამაგენი“...**
- თსუ გამომცემლობაში მომზადდა და დაიბეჭდა აღდგენილი ლიტერატურული **ალმანახი „პირველი სხივი“ მე-7, მე-8, მე-9 და მე-10 ნომერი.**
- მომზადდა და გამოიცა **საიუბილეო კრებულები** - როინ მეტრეველი, გიორგი ხუბუა, ალ. კარტოზია, გ. ტყეშელიაძე...
- სამეცნიერო-კლევით ინსტიტუტებთან თანამშრომლობით მომზადდა და დაიბეჭდა არაერთი სამეცნიერო ნაშრომი, კრებულები, მონოგრაფიები, დამხმარე სახელმძღვანელოები, სამეცნიერო ჟურნალები და შრომები, ლექსიკონი, მათ შორის: პიერ ბრუნელის „ჟანრების მითოპოეტიკა“, ირმა რატიანის „დრამის პოეტიკა ქართული აქცენტებით“, თეა ბურჭულაძის „ზეპირი მეტყველების სინტაქსის საკითხები თანამედროვე ქართულში“ ...
- **სტუდენტური პროექტის** ფარგლებში მომზადდა და გამოიცა „საისტორიო ძიებანი“, „სიღნაღის მუნიციპალიტეტი“, „რაჭის კომპლექსურ-გეოგრაფიული კვლევა და კარტოგრაფირება“, „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა - კლიმატის ძირითადი ელემენტების ცვლილება 1955-1985 წლების პერიოდში“, „წალკის მუნიციპალიტეტი“...
- **უცხოური გამოცემებიდან ქართულ ენაზე მომზადდა** „ეკონომიკური განვითარება“ „მაკროეკონომიკა“, „ეკონომიკა ბიზნესისთვის“ - 1 და2 წიგნი,
- ავტორთა ხარჯითა და **თვითდაფინსებით** დაიბეჭდა 41 გამოცემა, მათ შორის წიგნები მექანიკაში, მათემატიკაში, ქიმიაში, მხატვრულ ლიტარატურაში...
- გაგრძელდა მუშაობა **ელექტრონულ სახელმძღვანელოებზე** (2025 წელს მომზადდა და აიტვირთა 25 სახელმძღვანელო და სამეცნიერო ტექსტები)...
- ელექტრონული ნაშრომების გარდა, თსუ გამომცემლობის ვებგვერდზე ასევე ქვეყნდება თსუ-ის სადისერტაციო ნაშრომები, პერიოდული გამოცემები, სალექციო კურსები...

❖ ამის გარდა, მზადდებოდა და იბეჭდებოდა მცირე ზომის პოლიგრაფიული მასალა: პროგრამებები, სერტიფიკატები, აფიშები, ფლაერები, ბლანკები, სავიზიტო ბარათები, მოსაწვევები, ბეიჯები, საშვები, გზამკვლევები.....

❖ 2025 წლის გაზაფხულზე თსუ გამომცემლობა მონაწილეობდა **ლონდონისა და პარიზის წიგნის ფესტივალებზე,** სადაც წარმოდგენილი იყო 25 000-ზე მეტი

გამომცემელი, წიგნის გამავრცელებელი, ლიტერატურული აგენტი და მედიის წარმომადგენელი. მათ შორის იყო ათამდე ქართული გამომცემლობაც. განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია ქართული ენის შემსწავლელმა ლექციების კურსმა, რომელიც მოამზადა პროფესორმა რამაზ ქურდაძემ, აკაკი წერეთლის „სულიკოს“ თარგმანმა მსოფლიოს სხვადასხვა ენაზე…

- 30 აპრილს გაიმართა **საუნივერსიტეტო წიგნის ფესტივალი,** 160-მდე წიგნზე გამოცხადებული იყო ფასდაკლება, ფესტივალზე წარმოდგენილი იყო ორი წლის განმავლობაში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ გამოცემული 500-მდე წიგნი. მოეწყო რამდენიმე გამოცემის პრეზენტაცია, მათ შორის იყო
  - ✓ აკადემიკოს *ავთანდილ სილაგაძის* მიერ ქართულ ენაზე მომზადებული სახელმძღვანელო *„ეკონომიკური აზროვნების წესი“,*
  - ✓ აგრეთვე ეკონომიკის და ბიზნესის ფაკულტეტზე მომზადებული ორი ახალი სახელმძღვანელო: *„მაკროეკონომიკა“* (მთავარი სამეცნიერო რედაქტორი მანანა ლობჟანიძე) და *„ეკონომიკური განვითარება“*(მთავარი სამეცნიერო რედაქტორი მალხაზ ჩიქობავა).
  - ✓ აქვე გაიმართა ჰუმანიტარულ ფაკულტეტზე ირანისტიკის სპეციალობის სტუდენტებისთვის შექმნილი (თანამედროვე ირანელი ავტორების *„მხატვრული და არამხატვრული პროზა“*- წიგნის პრეზენტაცია. ავტორები: თეა შურღაია, მზია ბურჯანაძე, მარინა ალექსიძე).
  - ✓ პროფესორმა გიორგი ლობჟანიძემ წარადგინა პირველი სხივის ბიბლიოთეკის სერიით გამოცემული იტალიელი ავტორის *დაჩა მარაინის „წერის სიყვარული“.*
  - ✓ განსაკუთრებული მოვლენა იყო *აკაკი შანიძის 1980 წელს გამოცემული „ქართული ენის გრამატიკის“ წარდგინება.* წიგნი იშვიათობად იყო ქცეული და აღარ იშოვებოდა წიგნის მაღაზიებში (ამ წუთისთვის წიგნის მთელი ტირაჟი გაყიდულია. გამომცემლობა აპირებს მის ახალ ტირაჟირებას).
- თსუ გამომცემლობა მონაწილეობდა **თბილისის წიგნის საერთაშორისო ფესტივალზე,** სადაც წარადგინა 100-მდე გამოცემა. გაიმართა პრეზენტაციები (ლიტერატურულ ალმანახ „პირველი სხივის“, „სულიკო მსოფლიო ხალხთა ენებზე“). გაიმართა შეხვედრები პროექტის „იპოვე გამომცემელი“ ფარგლებში.
- თსუ გამომცემლობა მონაწილეობდა **ქუთაისის საერთაშორისო ლიტერატურულ ფესტივალზე „ქუთაისი - მითი და ლიტერატურა“.** ფესტივალი გაიმართა ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტსა და აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

- 2025 წლის ოქტომბერში თბილისს ესტუმრა ცნობილი **იტალიელი ავტორი დაჩა მარაინი, რომელსაც უმასპინძლა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმაც,** სადაც ავტორი შეხვდა ქართველ მკითხველს და წარადგინა ქართულ ენაზე, ჩვენ მიერ გამოცემული საკუთარი წიგნი „წერის სიყვარული“.
- წლის მიწურულს უნივერსიტეტში გაიმართა აკადემიკოს **თამაზ გამყრელიძის აქამდე უცნობი ნაშრომის „გილგამეშის ეპოსის ტრანსლიტერაციის“** პრეზენტაცია, რომელიც გამოსცა თსუ გამომცემლობამ. სპეციალურად მოწვეული იყო მსოფლიოში ცნობილი ასირიოლოგი, პროფესორი **მარტინ უორთინგტონი,** რომლის წინასიტყვაობითაც დაიბეჭდა აღნიშნული გამოცემა.
- საინტერესო გამოდგა ცნობილი ქართველი ენათმეცნიერისა და ლექსიკოლოგის კიტა ჩხენკელის წერილების კრებული **„ქართული ენის ხატრით“ პრეზენტაციაც.**

- **ლიტერატურული პრიზები და აღიარება** დაიმსახურა თსუ გამომცემლობის მიერ გამოცემულმა წიგნებმა:
  - ***ნომინაციაში „წლის საუკეთესო ლიტერატურული კრიტიკა“*** პრემია „საბა“ ერგო თეიმურაზ დოიაშვილის „სულისკვეთებას“.
  - ***საქართველოს თეატრალური საზოგადოების პრემია ნომინაციაში „სეზონის საუკეთესო თეორიული ნაშრომი“*** დაიმსახურა ირმა რატიანის წიგნმა „დრამის პოეტიკა ქართული აქცენტით“.

გამომცემლობა კვლავაც აგრძელებს მუშაობას ახალი, ორიგინალური სახელმძღვანელოების, უცხო ენებიდან ქართულად თარგმნილი ტექსტების, სამეცნიერო მონოგრაფიების, შრომების, ჟურნალების, კრებულების მომზადებისა და გამოცემისთვის.

## 8. საინფორმაციო ტექნოლოგიები

**IT პოლიტიკის განხორციელება და მართვა**
უნივერსიტეტმა უზრუნველყო უნივერსიტეტის IT პოლიტიკის პრაქტიკული რეალიზაცია, რაც მოიცავდა:

- ინფორმაციული სისტემების ცენტრალიზებულ მართვას
- უსაფრთხოების და ხელმისაწვდომობის სტანდარტების დაცვას
- IT ინფრასტრუქტურის განვითარების დაგეგმვას
- შესაბამისი ტექნიკური სტანდარტებისა და რეგულაციების ჩამოყალიბებას

**საგამოცდო ცენტრის კომპიუტერიზაციის პროექტი**
2025 წელს განათლების სამინისტროსთან თანამშრომლობით დაიწყო სტრატეგიული პროექტი საგამოცდო ცენტრის კომპიუტერიზაციის მიმართულებით.

პროექტის ძირითადი პარამეტრები:

- საწყისი მასშტაბი: 600 კომპიუტერი (თხელი კლიენტი)
- სამომავლო გაფართოება: 2500–3000 კომპიუტერი
- დაფინანსება: განათლების, მეცნიერების და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ

**სასწავლო პროცესის მართვის სისტემის განვითარება (uni.tsu.ge)**
განხორციელდა სასწავლო პროცესის მართვის სისტემის ფუნქციური და ტექნიკური გაუმჯობესება:

ძირითადი მიმართულებები:

- სისტემის სტაბილურობის და წარმადობის გაუმჯობესება
- ახალი ფუნქციონალის დამატება საგამოცდო ცენტრის მოთხოვნების შესაბამისად
- ადმინისტრაციული პროცესების დიჯიტალიზაცია

დამატებული ფუნქციონალი:

- ონლაინ სერვისები სტუდენტებისთვის
- საგამოცდო პროცესის მართვის მოდულები
- პროცესების ავტომატიზაცია

**ადმინისტრაციული პროცესების გაციფრულება:**
სასწავლო პროცესების მართვის დეპარტამენტთან თანამშრომლობით გაიწერა და დაინერგა ადმინისტრაციული პროცესების მართვის ახალი წესები:

- მაგისტრატურისა და დოქტორანტურის საბუთების ონლაინ მიღება
- განაცხადების ელექტრონული დამუშავება
- პროცესების გამჭვირვალობისა და ეფექტიანობის გაზრდა

**ინფრასტრუქტურის და ოპერაციული მხარდაჭერა**
დეპარტამენტი უზრუნველყოფდა უნივერსიტეტის უწყვეტ ტექნოლოგიურ ფუნქციონირებას:

- ბიზნესუწყვეტობის უზრუნველყოფა
- ქსელური ინფრასტრუქტურის გამართული მუშაობა
- ინტერნეტით უწყვეტი მომარაგება
- მომხმარებელთა ტექნიკური მხარდაჭერა
- სისტემების მონიტორინგი და ოპერატიული რეაგირება

**შედეგები და მიღწევები**
2025 წლის განმავლობაში მიღწეული ძირითადი შედეგები:

- დაწყებულია მასშტაბური საგამოცდო ცენტრის პროექტი
- გაძლიერდა უნივერსიტეტის IT ინფრასტრუქტურის დაგეგმვა და სტანდარტიზაცია
- დაიხვეწა სასწავლო პროცესის მართვის სისტემა
- გაიზარდა ადმინისტრაციული პროცესების დიგიტალიზაციის დონე
- უზრუნველყოფილია სისტემების მაღალი ხელმისაწვდომობა და სტაბილურობა
- 2025 წელი მნიშვნელოვანი ეტაპი იყო უნივერსიტეტის IT განვითარების კუთხით. განხორციელებული სამუშაოები ქმნის საფუძველს მომდევნო წლებში ინფრასტრუქტურის მასშტაბირებისთვის, პროცესების შემდგომი ავტომატიზაციისთვის და საგამოცდო სისტემის სრულფასოვანი დანერგვისთვის.

## 9. საგარეო ურთიერთობები

### უცხოურ უმაღლეს საგანმანათლებლო/კვლევით დაწესებულებებთან თანამშრომლობის ხელშეკრულების გაფორმება/განახლება

უცხოურ უმაღლეს საგანმანათლებლო და კვლევით დაწესებულებებთან ინსტიტუციური პარტნიორობის განვითარების, არსებული პარტნიორთა ქსელის გაფართოებისა და თანამშრომლობის სფეროების გამრავალფეროვნების მიზნით, დეპარტამენტმა უზრუნველყო ახალი პარტნიორი უნივერსიტეტებისა და ორგანიზაციების მოძიება.

2025 წლის განმავლობაში გაფორმდა/განახლდა ინსტიტუციური თანამშრომლობის 41 ხელშეკრულება/მემორანდუმი სხვადასხვა ქვეყნის უნივერსიტეტებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებთან; ასევე, ერაზმუს+ საერთაშორისო კრედიტ მობილობის (ICM) პროგრამის ფარგლებში მომზადდა 90 საგრანტო განაცხადი, რომელთაგან დაფინანსდა 50 (ICM) პროექტი.

### საერთაშორისო საგანმანათლებლო ქსელებში უნივერსიტეტის გაწევრიანება

უზრუნველყოფილი იქნა უმაღლესი განათლების საერთაშორისო ორგანიზაციებში (ევროპული უნივერსიტეტების ფონდი/EUF, ევროპის დედაქალაქების უნივერსიტეტების ქსელი/UNICA, ევროპის უნივერსიტეტთა ასოციაცია/EUA, საერთაშორისო უნივერსიტეტების ასოციაცია/IAU, შავი ზღვის უნივერსიტეტთა ასოციაცია/BSUN, ფრანკოფონიის საუნივერსიტეტო სააგენტო/AUF, კომპოსტელას უნივერსიტეტების ჯგუფი (GCU), ევრაზიის უნივერსიტეტების კავშირი (EURAS), თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წევრობის ყოველწლიურ ვალდებულებებთან დაკავშირებული ადმინისტრაციული პროცედურების წარმართვა (კომუნიკაციის წარმოება, ფინანსური ანგარიშგება და ა.შ.).

### საერთაშორისო პროექტების მართვა და მის ფარგლებში დაგეგმილი აქტივობების განხორციელება

2025 წელს დეპარტამენტმა უზრუნველყო Erasmus+, DAAD Eastern Partnership და სხვა საერთაშორისო პროგრამების ფარგლებში მიმდინარე პროექტების ადმინისტრირება და მობილობის პროცესების მხარდაჭერა.

წლის განმავლობაში დეპარტამენტმა ადმინისტრირება გაუწია ერაზმუს + საერთაშორისო კრედიტ მობილობის 224 პროექტს.

### გაცვლითი პროგრამების ფარგლებში თსუ-ს სტუდენტებისა და პერსონალის შესარჩევი კონკურსების ორგანიზება

2025 წლის განმავლობაში დეპარტამენტმა უზრუნველყო სტუდენტებისა და აკადემიური/ადმინისტრაციული პერსონალის შესარჩევი პროცესების ადმინისტრირება

Erasmus+ და სხვა საერთაშორისო მობილობის პროგრამების ფარგლებში; კერძოდ, დეპარტამენტმა უზრუნველყო თსუ-ს სტუდენტებისა და პერსონალის შესარჩევი 80-მდე კონკურსის ჩატარება, ერაზმუს პლიუსის საერთაშორისო კრედიტ-მობილობის პროგრამებისა და პარტნიორ უნივერსიტეტებთან გაფორმებული თანამშრომლობის ხელშეკრულებების ფარგლებში გამოყოფილი სტიპენდიების მისანიჭებლად. კონკურსების შედეგად სტიპენდია მოიპოვა 297-მა სტუდენტმა და 242-მა პერსონალმა (აკადემიური/ადმინისტრაციული).

ასევე, დეპარტამენტის ორგანიზებით უნივერსიტეტის სტუდენტებისთვის წლის განმავლობაში 2-ჯერ ჩატარდა ინსტიტუციონალური ტესტირება 8 უცხო ენაში.

### საერთაშორისო მობილობაში მონაწილე სტუდენტებისა და პერსონალის რაოდენობები

სტუდენტების მობილობა:

- გამავალი მობილობა: 297 სტუდენტი
- შემომავალი მობილობა: 62 სტუდენტი

გამავალი პერსონალის მობილობა: სულ 242

- ადმინისტრაციული: 114
- აკადემიური:128

ვიზიტორი/შემომავალი პერსონალის მობილობა: სულ 197

- ადმინისტრაციული: 108
- აკადემიური: 89

ერაზმუს + (ICM) პროგრამების ფარგლებში 2025 წლის გაზაფხულისა და შემოდგომის სემესტრებში დეპარტამენტმა კოორდინირება გაუწია 62 უცხოელი სტუდენტის და 197 აკადემიური/ადმინისტრაციული პერსონალის თსუ-ში მობილობას და ხელი შეუწყო მათ ინტეგრირებას პროფილურ ფაკულტეტებზე. კერძოდ, დეპარტამენტმა უზრუნველყო სასწავლო/მობილობის ხელშეკრულებების მომზადება, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენა, რომლის ფარგლებშიც უცხოელი სტუდენტებისთვის შეთავაზებული იქნა 319 ინგლისურენოვანი სასწავლო კურსი; დეპარტამენტის ორგანიზებით ჩატარდა არაერთი საორიენტაციო დღე და თემატური ტრენინგი; დახმარება გაეწიათ უცხოელ სტუდნეტებს/პერსონალს დაბინავების საკითხში.

### გრძელვადიანი უცხოელი [native speaker] ლექტორების ჩამოყვანა თსუ-ში

კოორდინირება გაეწია გრძელვადიანად 7 უცხოელი ლექტორის (ესპანური, ბასკური, გერმანული, იტალიური, ჩეხური, უნგრული ენების ლექტორები ჰუმანიტარულ მეც. ფაკულტეტზე და ფრანგული ენის ლექტორი ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე) ჩამოყვანას თსუ-ში აკადემიური საქმიანობის განხორციელების მიზნით და ხელი შეუწყო მათ ინტეგრირებას პროფილურ ფაკულტეტებზე.

**საზღვარგარეთ განსახორციელებელი საქმიანი ვიზიტების დაგეგმვა-ორგანიზება**

ორგანიზება გაეწია თსუ-ის რექტორისა და ადმინისტრაციული პერსონალის 28 საქმიანი ვიზიტის განხორციელებას საზღვარგარეთ. ამასთანავე, 2025 წლის 8-10 აპრილს უზრუნველყოფილი იქნა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მონაწილეობა ევრაზიის უმაღლესი განათლების რიგით მე-10 სამიტსა და გამოფენაში - EURIE 2025 (სტამბოლი, თურქეთი), ხოლო 26-31 მაისს - ქალაქ სან-დიეგოში (კალიფორნიის შტატი, აშშ) გამართულ საერთაშორისო კონფერენციასა და განათლების გამოფენაში (NAFSA 2025).

**საერთაშორისო ღონისძიებების ორგანიზება და უცხოელი სტუმრების მიღება თსუ-ში**

2025 აკადმიური წლის განმავლობაში ორგანიზება გაეწია პარტნიორი უნივერსიტეტებიდან დელეგაციების მიღება-მასპინძლობას და საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავებისკენ მიმართულ ღონისძიებებს.

ასევე, ჩატარდა საერთაშორისო ღონისძიებები, მათ შორის:

- პერსონალის მე-10 საერთაშორისო კვირეული, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 11 ქვეყნის 37 ინსტიტუციის 53 წარმომადგენელმა (12–16 მაისი, 2025);
- პერსონალის მე-11 საერთაშორისო კვირეული, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 7 ქვეყნის 11 უმაღლესი საგანმანათლებლო ინსტიტუციის 12 წარმომადგენელმა (27–31 ოქტომბერი, 2025).
- უნივერსიტეტის წინაშე განსაკუთრებული დამსახურების მქონე უცხოელი პროფესორებისთვის (გერმანია, ლიეტუვა, პოლონეთი) თსუ-ის საპატიო დოქტორის წოდების მინიჭების 4 ღონისძიება.

**საერთაშორისო საზაფხულო სკოლების კოორდინირება**

კოორდინირება გაეწია ჯორჯიის უნივერსიტეტის (ატლანტა, აშშ) საზაფხულო სკოლას თსუ-ში, ასევე ჰარვარდისა და ტეხასის უნივერსიტეტებში თსუ-ის სტუდენტების მონაწილეობას საზაფხულო პროგრამებში.

## 10. სასწავლო პროცესის ეფექტური მხარდაჭერა

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტის კურსდამთავრებულთა მომსახურების ცენტრი აქტიურად თანამშრომლობს სხვადასხვა საერთაშორისო საგანმანათლებლო, ასევე დოკუმენტების ნამდვილობის დადასტურების/აღიარების ცენტრებთან/ქსელებთან — DATAFLOW-DIGIFLOW, ENIC/NARIC-თან, WES-თან, დასაქმების საერთაშორისო ორგანიზაცია ICOVER-თან, „The Evaluation Company“ (TEC)-თან, აგრეთვე უცხოეთის

ქვეყნების სტრატეგიული საინფორმაციო რესურსების ორგანიზაციებთან, საგანმანათლებლო დოკუმენტების გადამოწმების სახელმწიფო სააგენტოებთან და უცხოეთის სხვადასხვა უნივერსიტეტების საერთაშორისო განყოფილებებთან სწავლის ფაქტისა და საგანმანათლებლო დოკუმენტების ნამდვილობის დადასტურების მიზნით.

თანამშრომლობის ახალი პერსპექტივების განხილვისა და პარტნიორული ურთიერთობების გაღრმავების მიზნით, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და კომპანიის **„The Evaluation Company“ (TEC)** წარმომადგენლებს შორის 2025 წლის 22 აგვისტოს გაიმართა სამუშაო შეხვედრა. შეხვედრის მიმდინარეობისას განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო დოკუმენტების გადამოწმების პროცესის გამარტივებასა და ეფექტიანობის ზრდას, რაც მნიშვნელოვანად შეუწყობს ხელს კურსდამთავრებულთა ინტერესების დაცვას. აღნიშნული ინიციატივა ერთი მხრივ, გააუმჯობესებს უნივერსიტეტის ადმინისტრაციული მომსახურების ხარისხს, ხოლო მეორე მხრივ, გააძლიერებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო პარტნიორულ კავშირებს.

1. განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის (uni.emis.ge) მიერ ჩატარებული მონიტორინგის შედეგად თსუ-ში 2005-2010 წლებში ჩარიცხულ სტუდენტებზე ბაზაში გამოვლენილი ხარვეზების გასწორება. (შესრულებულია სამუშაოს **93%**)

2. ხელშეკრულების ფორმების მომზადების ავტომატიზაციის პროცესი უმაღლესი განათლების სისტემის რეფორმის ეროვნულ კონცეფციასთან შესაბამისობაში.

1. განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში ჩატარებული მონიტორინგის შედეგად 2025 წელს გადმოგზავნილ იქნა **9081** სტუდენტის სახელობითი სია, რომლებიც თსუ-ში ჩარიცხულნი არიან 2005-2011 წლებში და რომლებსაც უფიქსირდებათ სტატუსი - "კურსდამთავრებული" კვლიფიკაციის მინიჭების ბრძანების გარეშე.

განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა ითხოვდა კანონმდებლობის შესაბამისად ყოფილიყო სათანადო ინფორმაცია ასახული სისტემაში უნივერსიტეტის შესაბამისი სამართლებრივი აქტის (თსუ რექტორის ბრძანების) საფუძველზე.

ამ ეტაპზე ბაკალავრიატის /ერთსაფეხურიანი სამედიცინოს / მაგისტრატურის / დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამებზე არსებული **9081** სტუდენტიდან **8421** სტუდენტზე უკვე მოძიებულია და შესაბამისი ინფორმაცია კვალიფიკაციის მინიჭების შესახებ ასახულია განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში. დარჩენილ **660** სტუდენტზე მიმდინარეობს ინფორმაციის მოძიება.

2. თსუ-ში ჩარიცხული სტუდენტებისთვის სტუდენტთა რეესტრის წარმოების განყოფილება უზრუნველყოფს **7000**-მდე სტუდენტისთვის ხელშეკრულების ფორმების მომზადებას.

ამჟამად მიმდინარეობს ხელშეკრულების ახალი ფორმების მომზადება, რომლებიც ჩაშენებული იქნება uni.tsu.ge სისტემაში და შესაბამისობაში იქნება უმაღლესი განათლების სისტემის რეფორმის ეროვნულ კონცეფციასთან.

დამატებით სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტმა საჯარო დაწესებულებაში სტაჟირების გავლის წესის დამტკიცების თაობაზე საქართველოს მთავრობის 2023 წლის 15 მაისის N177 დადგენილების საფუძველზე დაამუშავა დაახლოებით **3600** სტუდენტის მონაცემი და გაუგზავნა შესაბამის უწყებებს.

## 11. ადამიანური რესურსების მართვა

✓ უნივერსიტეტის მართვის პროცესში საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ჩართულობის ზრდის მიმართულებით სისტემატურად ხდებოდა ყველა კატეგორიის პერსონალის შესახებ მონაცემების შეტანა/განახლება უნივერსიტეტის პერსონალის მონაცემთა ბაზაში, სახელმწიფო ხაზინის ელექტრონული მომსახურების სისტემაში, შემოსავლების სამსახურის „დაქირავებულ პირთა რეესტრში". მონაცემების შეტანა/განახლება შრომატევადი და საპასუხიმგებლო სამუშაოა, მოითხოვს სიზუსტეს და ოპერატიულობას. ხსენებულ ბაზებში აისახა თსუ-ს სხვადასხვა კატეგორიის პერსონალის განახლებული მონაცემები -4060- ზე მეტი პოზიცია (შევნიშნავთ რომ თსუ-ში მოქმედი მონაცემთა ბაზა საჭიროებს სრულყოფას, რაზეც გარკვეული სამუშაოები დაგეგმილია თანამედროვე ტექნოლოგიის თვალსაზრისით).

✓ დამხმარე პერსონალის შეფასების არსებული წესის (აკადემიური საბჭოს დადგენილება 81/2018) მოთხოვნის შესაბამისად, შეფასების კითხვარი გადაეგზავნა ყველა სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს (დოკ.N32266/10 09/12/2025), მიღებული ინფორმაცია დამუშავდა და გაანალიზდა კონფიდენციალურობის სრული დაცვით.

✓ დეპარტამენტმა მონაწილეობა მიიღო შიდა სამართლებრივი რეგულაციების, კერძოდ ცენტრალური და საფაკულტეტო ადმინისტრაციის ფუნქცია-მოვალეობების გამიჯვნისა და კონკრეტული პოზიციის სპეციფიკიდან გამომდინარე დებულებებსა და სამუშაოს აღწერილობებში ცვლილებების განხორციელებაში. ცვლილება შევიდა 6 სტრუქტურული ერთეულის დებულებასა და 18 სტრუქტურული ერთეულის სამუშაოს აღწერილობაში, რის საფუძველზეც პერსონალთან გაფორმებულ შრომით ხელშეკრულებაში განხორციელდა შესაბამისი ცვლილებები. დეპარტამენტმა შეიმუშავა და შესაბამისი წესით დამტკიცდა დამხმარე პერსონალის სამსახურში მიღების წესი.

✓ 2025 წელს, ისევე როგორც გასულ წლებში, მსოფლიო უნივერსიტეტების რანჟირების სისტემებში („თაიმსი", იუნესკოს სტატისტიკის კითხვარი," რანჟირების პორტალი) თსუ-ს წარმოჩენის მიზნით დამუშავდა და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, ასევე თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს მიეწოდა ინფორმაცია სპეციალურად შედგენილი კითხვარების მიხედვით.

✓ 2025 წელს, სადაზღვევო მომსახურებით თსუ ბიუჯეტის ხარჯზე სარგებლობდა 1782 თანამშრომელი, საკუთარი ხარჯით დაზღვეული იყო 119 შტატგარეშე თანამშრომელი. ასევე დაზღვეული იყვნენ თანამშრომელთა ოჯახის წევრები -117 პირი.

✓ საანგარიშგებო წლის განმავლობაში სისტემატურად ხდებოდა შემოსულ კორესპონდენციაზე ოპერატიული რეაგირება, საჭირო მასალის მოძიება, გაანალიზება და წერილობითი პასუხის მომზადება, ხელმოსაწერად წარსადგენი დოკუმენტების სიზუსტით გაფორმების უზრუნველყოფა. პერსონალისთვის ცნობების 4183, რეკომენდაციების, სხვა საჭირო დოკუმენტების მომზადება/გაცემა, ასევე საქართველოს კანონში „კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ" განხორციელებული ცვლილებების, საქართველოს მთავრობის 2025 წლის 28 ოქტომბრის N482 დადგენილების და საქართველოს კანონის მე-13 მუხლის შესაბამისად მომზადდა 1605 ნებართვის პროექტი, სამართლებრივი აქტების პროექტებზე ვიზირება და ა.შ. საანგარიშგებო წელს დეპარტამენტში რეაგირებისთვის შემოვიდა 17761-მდე დოკუმენტი, დეპარტამენტის ხელმძღვანელის მიერ ხელმოწერილია 8978 დოკუმენტი, ვიზირებულია 7959 დოკუმენტი (2024 წელს დეპარტამენტში რეაგირებისთვის შემოვიდა 11359 დოკუმენტი, დეპარტამენტის ხელმძღვანელის მიერ ხელმოწერილია 7130 დოკუმენტი, ვიზირებულია 5499).

✓ „საკადრო" და სახაზინო ბაზაში ოპერატიულად ხორციელდებოდა პერსონალის ხელფასების შესახებ ინფორმაციის ასახვა/ცვლილება. საკადრო" და სახაზინო ბაზაში ოპერატიულად და სიზუსტით ასახული მონაცემების საფუძველზე თსუ რეგულაციებით განსაზღვრულ ვადებში გაიცემოდა ხელფასი, არ ყოფილა უკმაყოფილება და პრეტენზიები. თვეში საშუალოდ ხელფასი ერიცხება 4736- ზე მეტ სამუშაო ადგილზე დასაქმებულებს.

✓ საანგარიშგებო წელს თსუ-ში მოქმედი რეგულაციის შესაბამისად, სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელებთან შეთანხმებით ხდებოდა სტაჟიორების განაწილება, სტაჟირების თაობაზე სამართლებრივი აქტების მომზადება, სტაჟირების პროცესის მონიტორინგი, ცნობების გაცემა სტაჟირების თაობაზე (მოთხოვნის შესაბამისად). 2025 წელს სხვადასხვა სტრუქტურულ ერთეულში სტაჟირება გაიარა 67 პირმა, დასაქმდა 3 სტაჟიორი (2024 წელს სხვადასხვა სტრუქტურულ ერთეულში სტაჟირება გაიარა 45 პირმა).

✓ 2025 წელს დეპარტამენტში შემუშავდა HR პროცესების ოპტიმიზაციის AI ტექნოლოგიების დანერგვის და პერსონალის განვითარების ხელშეწყობის გეგმის პროექტები, რომელიც მოიცავს რიგ კონკრეტულ მიმართულებებს და ღონისძიებებს. კერძოდ,

**თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლების მიმართულებით:**

- ტრენინგებს ლიდერობასა და თანამედროვე HR ტექნოლოგიებში.
- საერთაშორისო გამოცდილების შესწავლა/გაანალიზებას და გაზიარების მიზანშეწონილობის დასაბუთებას.
- ადმინისტრაციულ-დამხმარე პერსონალისათვის პროფესიული განვითარების ინდივიდუალური გეგმების შემუშავებას.

**ტექნოლოგიური ინოვაციების დანერგვის მიმართულებით:**

- სმარტ AI სისტემებით მონაცემთა ავტომატიზაციას.
- HR პლატფორმის დანერგვას, რაც გააუმჯობესებს მართვას.
- პერსონალის შეფასებისა და რეკრუტინგის ოპტიმიზაციას.

**სამუშაო გარემოს გაუმჯობესების მიზნით:**

- მოქნილი გრაფიკით მუშაობის შესაძლებლობებს და კომფორტული სამუშაო გარემოს შექმნას.
- თანამშრომელთა მოტივაციისა და ჩართულობის გაზრდას.
- კომფორტული და თანამედროვე სამუშაო სივრცეების შექმნას.

**რეკრუტინგისა და შეფასების გაუმჯობესების მიზნით დაგეგმილია:**
- კადრების შერჩევის პროცესის გამარტივება და ავტომატიზაცია.
- მოტივაციის ახალი სისტემის დანერგვა.
- მონაცემებზე დაფუძნებული HR გადაწყვეტილებების შემუშავება.

**შიდა პროცესების ოპტიმიზაციის მიმართულებით:**
- ბიუროკრატიული პროცედურების შემცირებას.
- დოკუმენტაციის ელექტრონული მართვას.

✓ დეპარტამენტი სამომავლოდ გეგმავს პროცესების ოპტიმიზაციას, სმარტ AI ტექნოლოგიების დანერგვას და თანამშრომელთა განვითარების ხელშეწყობას, რაც გაზრდის უნივერსიტეტის ეფექტიანობასა და კონკურენტუნარიანობას.

## 12. უწყვეტი განათლება

თსუ უწყვეტი განათლების ცენტრში 2025 წელს **შემუშავდა და დამტკიცდა 4 ახალი კურსი:**
1. ადრეული ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებში კვების ორგანიზებისა და ჰიგიენის კომპონენტის მართვის თეორიული და პრაქტიკული საფუძვლები;
2. საქართველოს მოქალაქეობის მოსაპოვებელი ტესტირებისათვის მოსამზადებელი კურსი;
3. ევროკავშირი 101 - მოდულური კურსი;
4. სკოლისშემდგომი განათლებისათვის მომზადების პროგრამა.

2025 წლის განმავლობაში ცენტრის მიერ განხორციელდა **ზრდასრულთა განათლების 39 კურსი**, **235 კურსდამთავრებული**

(სასერტიფიკატო და ტრენინგკურსები: *ნუტრიციოლოგიის საბაზისო კურსი; სურსათის უვნებლობის მართვა - საფრთხის ანალიზისა და კრიტიკული საკონტროლო წერტილების (HACCP) სისტემა; სურსათის ეტიკეტირება; საფრთხის ანალიზისა და კრიტიკული საკონტროლო წერტილების (HACCP) სისტემის აუდიტი; სურსათის უვნებლობის მართვა - საფრთხის ანალიზისა და კრიტიკული საკონტროლო წერტილების (HACCP) სისტემა; საპროექტო განაცხადის წერა; ტრენერების ტრენინგი (ინტენსიური კურსი); ტრენერთა ტრენინგი დამწყებთათვის; ემოციების მართვა; უნგრული ენა; საქართველოს მოქალაქეობის მოსაპოვებელი ტესტირებისათვის მოსამზადებელი კურსი; სკოლისშემდგომი განათლებისათვის მომზადების პროგრამა*).

წლის განმავლობაში მუშაობდა **აბიტურიენტთა მოსამზადებელი 38 ჯგუფი, საერთო სამაგისტრო გამოცდებისათვის მოსამზადებელი 3 ჯგუფი.**

## 13. სამუზეუმო საქმიანობა

**საფონდო სამუშაო:** ახალი ექსპონატები შეივსო და გამდიდრდა სამუზეუმო ფონდები. კერძოდ ისტორიის, გეოგრაფიისა და პალეონთოლოგიის მუზეუმებს შეემატა ახალი საფონდო ერთეულები. (389 ექსპონატი)

სათანადოდ აღირიცხა საფონდო ერთეულები.

**საგანმანათლებლო მუშაობა: გამოფენები.**

2025 წელს მუზეუმში ჩატარდა სხვადასხვა თემატური გამოფენები. (15 გამოფენა)

**საექსპოზიციო მომსახურეობა:**

1. პროფილურმა მუზეუმებმა მიიღო 176 საექსკურსიო ჯგუფი - 700-მდე ვიზიტორი.
2. მუზეუმს ეწვია 43 ინგლისურენოვანი ჯგუფი - დაახლოებით 900-მდე ვიზიტორი.

2025 წელს მუზეუმის ბაზაზე გამოქვეყნდა პუბლიკაციები, ასევე, მეზეუმის ბაზაზე მომზადდა დოკუმენტური ფილმები, მიძღვნილი ექვთიმე თაყაიშვილის, იუსტინე აბულაძის და ნიკო კეცხოველის ხსოვნისადმი.

ექსპოზიციის მოწყობაში თსუს-ს მუზეუმი დაეხმარა სოფელ ნოღაში აკაკი შანიძის ოჯახს.

## 14. პროფესიული განათლება

- თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესიული განათლების ცენტრში ორ ლოკაციაზე (თბილისი, ქუთაისი), 2026 წლის იანვარში თბილისსა და ქუთაისში წარმატებით განხორციელდა ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ექსპერტთა ვიზიტი, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების რეაზვტორიზაციის მიზნით. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით უნივერსიტეტს პროფესიულ საგანანმანათლებლო პროგრამების განხორცილების უფლება 6 წლით გაუხანგრძლივდა. უნივერსიტეტში ხორციელდება 20 პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა. ყველა პროგრამა 100% ფინანსდება სახელმწიფოს მიერ.
- 2025 წელს ორივე ლოკაციაზე გამოცხადებულ 467 ვაკანტურ ადგილზე რეგისტრირებული იყო 1898 აპლიკანტი, პროგრამებზე ჩაირიცხა 460 პროფესიული სტუდენტი.

- 2025 წელს კვალიფიკაცია მიენიჭა ცენტრის 265 კურსდამთავრებულს.
- უნივერსიტეტის რექტორმა, აკადემიკოსმა ჯაბა სამუშიამ და ვალგამაას (ესტონეთი) პროფესიული განათლების ცენტრის დირექტორმა მარგუს ოჯაოცმა თსუ-სა და ვალგამაას პროფესიული განათლების ცენტრს შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს მოაწერეს ხელი.
- ცენტრის ცნობადობის ამაღლების მიზნით წლის განმავლობაში დაიგეგმა და განხორციელდა არა ერთი აქტივობა და სხვადასხვა ღონისძიებები, ასევე ვიზიტები სამაუწყებლო მედიის (ტვ, რადიო) პირდაპირ ეთერში, ცენტრის საქმიანობის შესახებ გავრცელდა ინფორმაცია მედია საშუალებებში.
- თსუ პროფესიული განათლების ცენტყრი ასევე აქტიურად იყო წარმოდგენილი სოცმედიაში და ცენტრის ვებგვერდზე. აპლიკანტთა რეგისტრაციის პერიოდში მომზადდა პროგრამების შესახებ საიმიჯო ვიდეო რგოლები, რომლებიც განთავსდა და დაარეკლამა სამიზნე აუდიტორიაზე Facebook გვერდზე.
- მიმდინარე წლის 18 სექტემბერს გაიმართა ონლაინ ღია კარის დღე პროფესიული განათლების მსურველთათვის.
- ცენტრის ორგანიზებით გაიმართა მე-2 კონფერენცია ,,პროფესიული განათლება საქართველოში: შესაძლებლობები და გამოწვევები“.
- ცენტრის პროექტმა პროფესიული უნარების სააგენტოს მიერ პროფესიული პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულებებისთვის "ექსტრაკურიკულური აქტივობების დანერგვა-განვითარებასთან დაკავშირებით" გამოცხადებულ კონკურსში გაიმარჯვა. რის საფუძველზეც არა ერთი სტუდენტური აქტივობა განხორციელდა.
- ცენტრის სტუდენტი ელენე ნინო მაისურაძე პროფესიული განათლების ეროვნული ჯილდოს კონკურსის ფინალისტი გახდა.
- წარმატებით განხორციელდა სტუდენტური პროექტები რომელიც ცენტრის ბიუჯეტიდან დაფინანსდა.
- ცენტრის ორგანიზებით გაიმართა პროფესიული სტუდენტებისთვის ტრენინგი ,,ტრეფიკინგი როგორც ტრანსნაციონალური დანაშაული“; CV და სამოტივაციო წერილის მომზადების მასტერკლასი; მასწავლებლებისთვის კურსი „ხელოვნური ინტელექტის (AI) გამოყენება პროფესიულ განათლებაში“; მასწავლებლებისთვის და სტუდენტებისთვის

რბილი უნარების კურსები; ადმინისტრაციული პერსონალისთვის, მასწავლებლებისთვის და სტუდენტებისთვის ტრენინგი „პრიორიტეტიზება და გადაწყვეტილებების მიღება“; ცენტრის თანამშრომლებისთვის და სტუდენტებისთვის ტრენინგი თემაზე: “სიცოცხლის შენარჩუნების ბაზისური მეთოდები BLS”.

- ცენტრის ორგანიზებით ყველა პროგრამის სტუდენტებისთვის დაიგეგმა და განხორციელდა გაცნობითი ვიზიტები პრაქტიკის ობიექტებზე.
- პროფესიული სტუდენტებისთვის ინტელექტუალური თამაში ”რა? სად? როდის?” გაიმართა. თამაშის პირველი ეტაპი პროექტის „ვისწავლოთ, დავმეგობრდეთ და აღმოვაჩინოთ საქართველო - ექსტრაკურიკულური აქტივობები მდგრადი მომავლისთვის“ ფარგლებში ჩატარდა.
- ცენტრში ჰიპერმარკეტების ქსელის „გუდვილი“ ადამიანური რესურსების დეპარტამენტის წარმომადგენლებმა პროფესიულ სტუდენტებთან დასაქმების შესაძლებლობებზე შეხვედრა გამართეს.
- ცენტრისა და პროფესიული განათლების ცენტრის ორგანიზებით, და დასაქმების სააგენტო HR.GE-ს მხარდაჭერით დასაქმების ფორუმი გაიმართა, რომელსაც 50-მდე ქართული კომპანია ესწრებოდა და სტუდენტებს პროფილურ ვაკანსიებს სთავაზობდა.
- ცენტრის მიერ მომზადდა უნიკალური გამოცემა „პროფესიული განათლების ისტორია საქართველოში“ გამოიცემა „პროფესიული განათლების ისტორია საქართველოში“.
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „Front-end დეველოპმენტი“(თბილისი) მასწავლებელი ვახტანგ ზუბიაშვილი საერთაშორისო სასწავლო ვიზიტით ესტონეთში იმყოფებოდა.
- ცენტრის ფეხბურთის და ფრენბურთის გუნდებმა პროფესიული განათლების სპორტულ ფესტივალში "ჯანსაღი ცხოვრება და თანასწორობა 2025" მიიღეს მონაწილეობა და საუკეთესო სამეულშიც მოხვდნენ.

საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ადმინისტრაციის ხელმძღვანელი

N 6437/10 26.03.2026

სსიპ „ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის“ წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერს,
ბატონ ვლადიმერ მარგველაშვილს

ბატონო ვლადიმერ,

წარმოგიდგენთ სსიპ „ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში“ შემოსულ შპს „ვიჩარჯის“ წერილს (02.03.2026წ), მობილური ტელეფონების სატენი აპარატების გაზიარების სერვისის მიწოდების მიზნით, უნივერსიტეტის სარგებლობაში/საკუთრებაში არსებულ, ქვემოთ ჩამოთვლილ ლოკაციებზე, 3 წლის ვადით, ფართების გადაცემის თაობაზე:

ა) ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. N1 - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, პირველი სასწავლო კორპუსის, ნულოვან სართულზე - 0,5 კვ/მ.;

ბ) ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. N3 - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, მეორე სასწავლო კორპუსის, შესასვლელში 0,5 კვ/მ.;

გ) ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. N11ბ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, მესამე სასწავლო კორპუსის, შესასვლელში - 0,5 კვ/მ.;

დ) ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. N36 - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, მეხუთე სასწავლო კორპუსის, შესასვლელში - 0,5 კვ/მ.;

ე) ქ. თბილისი, უნივერსიტეტის ქუჩა N19 - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, მეათე სასწავლო კორპუსის (მაღლივი), შესასვლელში - 0,5 კვ/მ.;

ვ) ქ. თბილისი, უნივერსიტეტის ქუჩა N50 - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, მეთერთმეტე სასწავლო კორპუსის შესასვლელში - 0,5 კვ/მ.;

ზ) ქ. თბილისი, უნივერსიტეტის ქუჩა N48 - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის შესასვლელში - 0,5 კვ/მ.

აღნიშნული საკითხები განხილული იქნა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების დროებით სარგებლობაში გაცემისა და საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების გასხვისების საკითხების განმხილველი მუდმივმოქმედი კომისიის (სხდომის ოქმი 25.03.2026წ. კ/ნ N 6336/10 25.03.2026წ) მიერ და მიღებული იქნა გადაწყვეტილება, რომ აღნიშნული მობილური ტელეფონების სატენი აპარატურის განთავსების მიზნით

გამოცხადდეს აუქციონი იჯარის წესით ფართების გაცემის თაობაზე (თითოეულ ლოკაციაზე 0.5 კვ.მ, 3 წლის ვადით). აღნიშნული ფართების სავარაუდო ადგილმდებარეობად განისაზღვრა ის ადგილები, სადაც დღეის მდგომარეობით განლაგებულია და ფუნქციონირებს ვენდინგის აპარატები (თსუ-ს: პირველი სასწავლო კორპუსის ნულოვანი სართული; მე-2 სასწავლო კორპუსის პირველი სართული; მე-3 სასწავლო კორპუსის ფოიე; მე-5 სასწავლო კორპუსის ფოიე; მე-10 სასწავლო კორპუსის ფოიე; მე-11 სასწავლო კორპუსის ფოიე; ცენტრალური ბიბლიოთკის ფოიე).

უნივერსიტეტის წესდების 47-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, წარმოგიდგენთ შესაბამის დოკუმენტაციას.

გთხოვთ, განიხილოთ და მიიღოთ გადაწყვეტილება დასმულ საკითხთან დაკავშირებით.

დანართი: შესაბამისი დოკუმენტაცია.

პატივისცემით,

ლაშა საღინაძე

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი 02 მარტი 2026 წ.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის
ხელმძღვანელს ბატონ ლაშა საღინაძეს

ბატონო ლაშა,

მოგმართავთ თხოვნით, შპს ვიჩარჯის კუთვნილებაში არსებული ე.წ სატენი აპარატების გაზიარების სერვისის მისაწოდებლად, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისი სახელმწიფო უნივერსიტეტის საკუთრებაში არსებულ ქვემოთ ჩამოთვლილ შენობებში, 3 წლის ვადით გამოგვიყოთ ფართი (ქვემოთ მითითებული ოდენობით):

1) ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. N1 - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, პირველი სასწავლო კორპუსის, შესასვლელში - 0,5 კვ/მ;
2) ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. N3 - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, მეორე სასწავლო კორპუსის, შესასვლელში 0,5 კვ/მ;
3) ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. N11ბ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, მესამე სასწავლო კორპუსის, შესასვლელში - 0,5 კვ/მ;
4) ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. N36 - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, მეხუთე სასწავლო კორპუსის, შესასვლელში - 0,5 კვ/მ;
5) ქ. თბილისი, უნივერსიტეტის ქუჩა N19 - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, მეათე სასწავლო კორპუსის (მაღლივი), შესასვლელში - 0,5 კვ/მ.
6) ქ. თბილისი, უნივერსიტეტის ქუჩა N50 - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, მეთერთმეტე სასწავლო კორპუსის შესასვლელში - 0,5 კვ/მ.
7) ქ. თბილისი, უნივერსიტეტის ქუჩა N48 - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო ბიბლიოთეკის შესასვლელში - 0,5 კვ/მ.

შპს ვი ჩარჯ ს/კ 405648884

დირექტორი: თათია ხაბეიშვილი

WECHARGE LLC * 405648884 * შპს ვი ჩარჯ

WECHARGE

# Power Bank Rental Sharing Service

Get It On Google Play

Available On The App Store



WECHARGE

# ჩვენს შესახებ

WeCharge არის Power Bank-ის გაქირავების ქართული კომპანია, რომელიც მომხმარებელს აძლევს შესაძლებლობას APP-ის დახმარებით, მისთვის სასურველ ლოკაციაზე  დატენოს ნებისმიერი მოწყობილობა



WECHARGE

# როგორ ვისარგებლოთ სერვისით

## 01




გადმოწერე WeCharge App და იპოვე სადგური შენთვის სასურველ ლოკაციაზე

## 02




დარეგისტრირდი აპლიკაციაში, გადაიხადე Apple Pay / G Pay ან დაამატე ბარათი

## 03




დაასკანერე სადგურზე არსებული QR code და აიღე Power Bank

## 04




დატენე ნებისმიერი მოწყობილობა გადაადგილებისას

## 05




დააბრუნე Power Bank-ი შენთვის სასურველ ლოკაციაზე!

WECHARGE

# რატომ უნდა გახდეთ WeCharge-ის პარტნიორი?




დამატებითი სერვისის შეთავაზებით მოიზიდე ლოიალური მომხმარებელი

მოიპოვე კონკურენტული უპირატესობა და შექმენი ინოვაციური იმიჯი შენი ბიზნესისთვის

იზრუნე მომხმარებლის საჭიროებასა და კმაყოფილებაზე

თანამშრომელი და მომხმარებელი უფასოდ დატენის მოწყობილობას 30 წთ-ს განმავლობაში

WECHARGE

# როგორ გამოვიყენოთ Wecharge App მომხმარებლის მოსაზიდად?

- ბრენდის დამატება აპლიკაციაში;
- კომპანიის სოციალური გვერდების პოპულარიზაცია;
- ობიექტის დამატება Wecharge - ის ციფრულ რუკაზე;
- შეთავაზებებისა და სიახლეების ვიზუალიზაცია;



WECHARGE

# სადგურის მოდელები

სადგურის მოდელის შერჩევა ხდება ობიექტთან შეთანხმებით



## 4 Slots

20.5(L)×13.0(W)×9.5 cm(H)
Weight: 0.7 kg

ელ.ენერგიის თვიური ხარჯი ≈ 0.52 ლ




## 6 Slots

26.0(L)×23.6(W)×24.3 cm (H)
Weight: 2.4 kg

ელ.ენერგიის თვიური ხარჯი ≈ 1.56 ლ




## 8 Slots

36.3(H)×21.5 (W)×19.0 cm (H)
Weight: 4 kg

ელ.ენერგიის თვიური ხარჯი ≈ 2.17 ლ




## 12 Slot

52.0(L)×47.2(W)×78.0 cm (H)
Weight: 6 kg

ელ.ენერგიის თვიური ხარჯი ≈ 3.74 ლ



## 24 Slots

165.0(H)×35.0(W)×45.0 cm (L)
Weight: 38 kg
LED SCREEN

ელ.ენერგიის თვიური ხარჯი ≈ 10 ლ



## 48 Slots

201.2(H)×64.5(W)×70.0 cm (L)
Weight: around 97.6 kg
LED SCREEN

ელ.ენერგიის თვიური ხარჯი ≈ 24 ლ

WECHARGE

# Power Bank-ის მახასიათებლები

- USB-C
- Micro USB
- Lightning
- პორტატული დამტენი
- უსაფრთხო
- 5000 mAh
- კომპაქტური
- მსუბუქი



# WeCharge უზრუნველყოფს:

სადგურის უფასო მიტანასა და ინსტალაციას

სადგურის გამართულად ფუნქციონირებას

Power Bank-ის შეცვლასა და დამატებას

მომხმარებლის ტექნიკურ მხარდაჭერას

# პარტნიორები

- WECHARGE
- ევროპის უნივერსიტეტი / EUROPEAN UNIVERSITY
- ევექსი კლინიკები
- გაგუას კლინიკა
- კავკასიის მედიცინის ცენტრი
- ჯეო ჰოსპიტალსი
- PER TRADITIONES AD FUTURUM
- ბლიც დენტალი
- ibis
- cavea MOVIES LIVE HERE
- Gulf
- ტრავმატოლოგიური ჰოსპიტალი
- DENS
- ჭაშნაგირი CHASHNAGIRI
- PAUL depuis 1889
- SAKURAMI • BEAUTY INTO ART •
- MEAMA
- NAPOLI
- TSISKVILI GROUP SINCE 2002
- GIPA In hoc signo vinces
- GOLDEN TULIP
- მ. იაშვილის სახელობის ბავშვთა ცენტრალური საავადმყოფო
- GRUNI გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტი GRIGOL ROBAKIDZE UNIVERSITY
- TIFFANY BAR
- სტუ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი 1922 წლიდან
- MOTORS otomotors.ge
- CARAPS MEDLINE
- Dali & K ASTORIA TBILISI HOTEL

WECHARGE

# CONTACT INFO


Mariam Bochorishvili

+995 596 100 385

Mariam.Bochorishvili@Wechargers.Com

Kamani St.#1

Wechargers.com

0 332 88 85 88

N 6336/10 25.03.2026

**სსიპ -ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების დროებით სარგებლობაში გაცემისა და საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების გასხვისების საკითხების განმხილველი მუდმივმოქმედი კომისიის სხდომის**

**ოქმი**

ქ. თბილისი
25.03.2026 წ.

სხდომის თავმჯდომარე - ლაშა საღინაძე
სხდომის მდივანი - ნინო კუტალაძე
სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:
გიორგი შამათავა, არჩილ კუკულავა, იოსებ სოფრომაძე, ზვიად სოფრომაძე, მანონი ჯოჯუა, ლიანა ღვალაძე, რუსუდან ნასარიძე.
სხდომას არ ესწრებოდნენ: კომისიის წევრები -მურმან ცარციძე და ლიანა მჭედლიშვილი.

**დღის წესრიგი:**

1. მობილური ტელეფონების სატენი აპარატების გაზიარების სერვისის მიწოდების მიზნით, უნივერსიტეტის სარგებლობაში/საკუთრებაში არსებულ, ქვემოთ ჩამოთვლილ ლოკაციებზე, 3 წლის ვადით, ფართების გადაცემის თაობაზე:
ა) ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. N1 - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, პირველი სასწავლო კორპუსის, ნულოვან სართულზე - 0,5 კვ/მ.;
ბ) ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. N3 - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, მეორე სასწავლო კორპუსის, შესასვლელში 0,5 კვ/მ.;
გ) ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. N11ბ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, მესამე სასწავლო კორპუსის, შესასვლელში - 0,5 კვ/მ.;
დ) ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. N36 - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, მეხუთე სასწავლო კორპუსის, შესასვლელში - 0,5 კვ/მ.;
ე) ქ. თბილისი, უნივერსიტეტის ქუჩა N19 - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, მეათე სასწავლო კორპუსის (მაღლივი), შესასვლელში - 0,5 კვ/მ.;
ვ) ქ. თბილისი, უნივერსიტეტის ქუჩა N50 - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, მეთერთმეტე სასწავლო კორპუსის შესასვლელში - 0,5 კვ/მ.;
ზ) ქ. თბილისი, უნივერსიტეტის ქუჩა N48 - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის შესასვლელში - 0,5 კვ/მ.

2. უნივერსიტეტი საკუთრებაში არსებული უძრავი ქონებიდან (ს/კოდი: 01.14.06.006.116, უნივერსიტეტის ქ. 48) მიწის ნაწილის გამოყოფის და სახელმწიფო საკუთრებაში რეგისტრაციის თაობაზე, კერძოდ, ჯამში 13291,8 კვ.მ მიწის ფართის გამოყოფის შესახებ, საიდანაც 5367,6 კვ.მ ფართი განკუთვნილი იქნება 203-ე საჯარო სკოლის და მისი საცხოვრებლისთვის (შშმ პირების სკოლა), 4413,5 კვ.მ. - სსიპ - სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს შენობა-ნაგებობისთვის, ხოლო 3510,7 კვ.მ გზისათვის.
3. უნივერსიტეტის ქ. N48-ში (ს/კოდი: 01.14.06.006.116) მდებარე უნივერსიტეტის თანასაკუთრებაში არსებული უძრავი ქონების 7200 კვ.მ. (1200 კვ. მეტრი ფართი დაიტვირთება სერვიტუტით) ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ -ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოსთვის უსასყიდლოდ, თხოვების ფორმით, მისი არსებობის ვადით, გადაცემის თაობაზე, დიდი ტევადობის (18 მეტრ სიგრძის) ავტობუსების ბოლო გაჩერების გამოყენებისათვის.

**მოისმინეს:** დღის წესრიგის საკითხებთან დაკავშირებით, კომისიის წევრმა, ზვიად სოფრომაძემ კომისიას მოახსენა:

**საკითხი 1**. მომხსენებელმა დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით კომისიას მოახსენა, რომ უნივერსიტეტში განსახილველად შემოსულია შპს „ვი ჩარჯის" (ს/კ 405648884) 02.03.2026 წ. წერილი, რომლითაც დასმულია მოთხოვნა ე.წ. მობილური ტელეფონების სატენი აპარატების გაზიარების სერვისის მიწოდების მიზნით, უნივერსიტეტის სარგებლობაში/საკუთრებაში არსებულ, დღის წესრიგით აღნიშნულ ლოკაციებზე, 3 წლის ვადით, ფართების გადაცემის თაობაზე. ამასთან, მომხსენებელმა აღნიშნა, რომ მიზანშეწონილი იქნება აღნიშნული მობილური ტელეფონების სატენი აპარატურები განთავსდეს იმ ლოკაციებზე, სადაც დღეის მდგომარეობით განლაგებულია და ფუნქციონირებს ვენდინგის აპარატები (თსუ-ის: პირველი სასწავლო კორპუსის ნულოვანი სართული; მე-2 სასწავლო კორპუსის პირველი სართული; მე-3 სასწავლო კორპუსის ფოიე; მე-5 სასწავლო კორპუსის ფოიე; მე-10 სასწავლო კორპუსის ფოიე; მე-11 სასწავლო კორპუსის ფოიე; ცენტრალური ბიბლიოთკის ფოიე). შესაბამისად, ამ ვენდინგის აპარატების გვერდით, მათ განთავსება ვიზუალურად მისაღები იქნება.

კომისიამ იმსჯელა დღის წესრიგის პირველ საკითხზე და მსჯელობის შედეგად **ერთხმად დაადგინა:**
**საკითხი განსახილველად და გადაწყვეტილების მისაღებად გადაეცეს თსუ-ის წარმომადგენლობით საბჭოს.**

**საკითხი 2.** მომხსენებელმა დღის წესრიგის მე-2 საკითხთან დაკავშირებით კომისიას მოახსენა, რომ საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს 02.03.2026წ. MES 3 26 0000247106 წერილით დასმულია საკითხი უნივერსიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონებიდან (უნივერსიტეტის ქ. 48, ს/კოდი: 01.14.06.006.116) მიწის ნაწილის გამოყოფის და სახელმწიფო საკუთრებაში რეგისტრაციის თაობაზე, კერძოდ, ჯამში 13291,8 კვ.მ მიწის ფართის გამოყოფის შესახებ, საიდანაც 5367,6 კვ.მ ფართი განკუთვნილი იქნება 203-ე საჯარო სკოლის და მისი საცხოვრებლისთვის (შშმ პირების სკოლა), ხოლო 4413,5 კვ.მეტრი - სსიპ - სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს შენობა-ნაგებობისთვის და 3510,7 კვ.მეტრი გზისათვის.

კომისიამ იმსჯელა დღის წესრიგის პირველ საკითხზე და მსჯელობის შედეგად **ერთხმად დაადგინა:**

**განხორციელდეს დამატებითი კონსულტაციები საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან.**

**საკითხი 3.** მომხსენებელმა დღის წესრიგის მე-3 საკითხთან დაკავშირებით, მოახსენა კომისიას მასზედ, რომ უნივერსიტეტში განსახილველად შემოსულია ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ- ქონების მართვის სააგენტოს მოთხოვნა უნივერსიტეტის ქ. N48-ში მდებარე უნივერსიტეტის თანასაკუთრებაში არსებული უძრავი ქონებიდან 7200 კვ.მ. ფართის (საიდანაც 1200 დაიტვირთება სერვიტუტით) ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოსთვის უსასყიდლოდ, თხოვების ფორმით, მისი არსებობის ვადით, გადაცემის თაობაზე. წერილის თანახმად ირკვევა, რომ ეს ტერიტორია გამოყენებული იქნება დიდი ტევადობის (18 მეტრ სიგრძის) ავტობუსების ბოლო გაჩერებისათვის.

კომისიამ იმსჯელა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით და **ერთხმად დაადგინა**:

**საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე განხორციელდეს დამატებითი კონსულტაციები შესაბამის სახელმწიფო უწყებებთან.**

ლაშა საღინაძე

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

გიორგი შამათავა

ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოადგილე
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

არჩილი კუკულავა

დეპარტამენტის უფროსი
იურიდიული დეპარტამენტი

იოსებ სოფრომაძე

დეპარტამენტის უფროსი
მატერიალური რესურსების მართვის დეპარტამენტი

ზვიად სოფრომაძე

განყოფილების უფროსი
აქტივების მართვის, ჩამოწერის და განკარგვის განყოფილება

მანონი ჯოჯუა

დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი
საფინანსო დეპარტამენტი

ლიანა ღვალაძე

განყოფილების უფროსი
აღრიცხვა-ანგარიშგების განყოფილება

რუსუდანი ნასარიძე

უფროსის მოადგილე
აღრიცხვა-ანგარიშგების განყოფილება

ნინო კუტალაძე

მთავარი სპეციალისტი
იურიდიული დეპარტამენტი

საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ადმინისტრაციის ხელმძღვანელი

N 5462/10 16.03.2026

სსიპ „ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის“ წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერს,
ბატონ ვლადიმერ მარგველაშვილს

ბატონო ვლადიმერ,

წარმოგიდგენთ სსიპ „ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში“ შემოსულ განცხადებებს, უნივერსიტეტის საკუთრებაში/სარგებლობაში არსებული უძრავი ქონების განკარგვის თაობაზე:

1. სსიპ „ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის“ სარგებლობაში არსებული, ქ. თბილისში, ტატა (ტატიანა) თვალჭრელიძის ქ. N11-ში მდებარე უძრავი ქონებიდან (15653 კვ.მ. მიწის ფართი) 975 კვ.მ მიწის ნაკვეთის (ს/კ 01.14.16.008.024) საქართველოს საპატრიარქოსათვის პირდაპირი მიყიდვის ფორმით, სიმბოლურ ფასად 1 (ერთი) ლარად საკუთრებაში გადაცემის შესახებ, ეკლესიის მშენებლობის მიზნით.
2. ქ. თბილისში, უნივერსიტეტის ქ. N11-ში (ახალი მისამართი: უნივერსიტეტის ქ. N48) მდებარე, უნივერსიტეტის საკუთრებაში არსებული 90 767 კვ.მ არასასოფლოსამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ 01.14.06.006.116) სამ ნაწილად დაყოფისა და დაყოფის შედეგად 883 კვ.მ ფართის ადგილმონაცვლეობის (გაცვლის) შესახებ.
3. უნივერსიტეტის საკუთრებაში არსებული 1125 კვ.მ. მიწის ფართობის (საკადასტრო კოდი: 01.14.06.006.133) და 172 კვ.მ. ფართობის (საკადასტრო კოდი: 01.14.06.006.133), 10 (ათი) წლის ვადით იჯარის უფლებით გაცემის შესახებ.

აღნიშნული საკითხები განხილული იქნა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების დროებით სარგებლობაში გაცემისა და საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების გასხვისების საკითხების განმხილველი მუდმივმოქმედი კომისიის (სხდომის ოქმი 19.02.2026წ. კ/ნ N 3742/10 24.02.2026წ) მიერ და მიღებული იქნა დადებითი გადაწყვეტილება.

უნივერსიტეტის წესდების 47-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, წარმოგიდგენთ შესაბამის დოკუმენტაციას.

გთხოვთ, განიხილოთ და მიიღოთ გადაწყვეტილება დასმულ საკითხებთან დაკავშირებით.

პატივისცემით,

ილია ჭავჭავაძის გამზ. 1, 0179 თბილისი, საქართველო
1. Ilia Tchavtchavadze Ave., 0179 Tbilisi, Georgia
http://www.tsu.edu.ge
ტელ/ფაქსი: +(995 32) 222 35 01 Tel/Fax
ელ-ფოსტა: chancellery@tsu.ge; E-mail

ლაშა საღინაძე



ადმინისტრაციის ხელმძღვანელი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სრულიად საქართველოს
კათოლიკოს-პატრიარქის
მდივანი
0105, თბილისი, მეფე ერეკლე II მოედ. №1.
ტელ: (995 32) 99 03 78; 98 27 09.
ფაქსი: (995 32) 98 71 14.

SECRETARY OF THE
CATHOLICOS-PATRIARCH
OF ALL GEORGIA
#1 King Erekle II sq. Tbilisi 0105,
Tel: (995 32) 99 03 78; 98 27 09.
FAX: (995 32) 98 71 14.

N 710
30.09.2024 წ.

სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს

გაცნობებთ, რომ საქართველოს საპატრიარქოში შემოვიდა წერილობითი თხოვნა ქ. თბილისში, ნუცუბიძის პლატოსთან ახლოს, ტატიანა თვალჭრელიძის ქუჩაზე, ეკლესიის მშნებლობასთან დაკავშირებით

გთხოვთ, თუ შესაძლებელია, თანდართულ საკადასტრო აზომვით ნახაზზე წარმოდგენილი 975 კვ.მ. მიწის ნაკვეთი პირდაპირი განკარგვის წესით, სიმბოლურ ფასად, 1 ლარად (საფასურის გადახდა მოხდება ხელშეკრულების გაფორმებიდან 1 თვის ვადაში), საკუთრებაში გადმოსცეთ საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართმადიდებელ ეკლესიას (ს/კ: 204395537) ზემოხსენებული მიზნით.

ღმერთმა დაგლოცოთ და გაგახაროთ,

პატივისცემით,

სრულიად საქართველოს
კათოლიკოს–პატრიარქის
მდივანი

დეკანოზი მიქაელ
ბოტკოველი

**სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო**

49ა ილია ჭავჭავაძის გამზირი
0179 თბილისი, საქართველო
ტელ:1420
info@nasp.gov.ge

**14 / იანვარი / 2026 წ.**

KA021707672324326

№ **5/1509**

საქართველოს განათლების, მეცნიერების
და ახალგაზრდობის სამინისტროს

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტს

გაცნობებთ, რომ სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოში შემოსულია სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მდივნის, დეკანოზ მიქაელ ბოტკოველის 30.09.2024 წლის N710 წერილი, რომლითაც დასმულია საკითხი, ქალაქ თბილისში, ტატა (ტატიანა) თვალჭრელიძის ქუჩა N11-ში მდებარე 975 კვ.მ მიწის ნაკვეთის (ს/კ N01.14.16.008.024-ის ნაწილი ფართი) საქართველოს საპატრიარქოსათვის, პირდაპირი მიყიდვის ფორმით, 1 (ერთი) ლარად საკუთრებაში გადაცემის თაობაზე.

გიგზავნით ზემოხსენებულ კორესპონდენციას, თანდართული დოკუმენტაციით, გთხოვთ განიხილოთ და კომპეტენციის ფარგლებში მოგვაწოდოთ თქვენი მოსაზრება, ინფორმაცია და წინადადება საკითხთან დაკავშირებით.

დანართი: 3 (სამი) ელ. ფაილი.

კერძო სექტორთან ურთიერთობის სამსახურის
უფროსის მოვალეობის შემსრულებელი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ნანა ბორცვაძე

**განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო**

დიმიტრი უზნაძის N52
0102 თბილისი, საქართველო
+995 32 2200 220
pr@mes.gov.ge

15/01/2026

MES 9 26 0000027647

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტს

გაცნობებთ, რომ განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროში განსახილველად შემოვიდა, სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს N5/1509 14/01/2026წ. კორესპონდენცია (სამინისტროში რეგისტრაციის N21774 14/01/2026წ.), რომელიც ეხება სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სარგებლობაში არსებული, ქალაქ თბილისში, ტატა (ტატიანა) თვალჭრელიძის ქუჩა N11-ში მდებარე უძრავი ქონებიდან, 975 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ 01.14.16.008.024) საქართველოს საპატრიარქოსათვის პირდაპირი მიყიდვის ფორმით, სიმბოლურ ფასად 1 (ერთი) ლარად საკუთრებაში გადაცემის საკითხს - ეკლესიის მშენებლობის მიზნით.
გიგზავნით ზემოაღნიშნულ კორესპონდენციას (იხ. დანართი). გთხოვთ, განიხილოთ და მოგვაწოდოთ წარმომადგენლობით საბჭოსთან შეჯერებული თქვენი პოზიცია საკითხთან დაკავშირებით.

ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსი
ლევანი კერესელიძე

ელექტრონული მეისპადემპი/ ელექტრონული ბეჭედი



სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო
NATIONAL AGENCY OF STATE PROPERTY
29/10/2025
1:1,500
დაინტერესება
975 კვ.მ.
ზედდება 01.14.16.008.024–ზე
საცხოვრებელი ზონა 6
011416009078
1986 კ.მ.
011416009412
466 კ.მ.
011416008146
6000 კ.მ.
011416022010
730 კ.მ.
011416008145
28962 კ.მ.
011416008031
21229 კ.მ.
011416008127
3215 კ.მ.
011416008012
6444 კ.მ.
011416008073
46825 კ.მ.
011416008156
2045 კ.მ.
011416008155
8975 კ.მ.
02/2
03/4
04/4
05/4
06/1
01/1
07/5
06/5
05/5
4620800
4620700
4620600
476900
477000
477100
477200


09/25/2024


09/25/2024


09/25/2024

საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ადმინისტრაციის ხელმძღვანელი

N 5462/10 16.03.2026

სსიპ „ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის“ წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერს,
ბატონ ვლადიმერ მარგველაშვილს

ბატონო ვლადიმერ,

წარმოგიდგენთ სსიპ „ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში“ შემოსულ განცხადებებს, უნივერსიტეტის საკუთრებაში/სარგებლობაში არსებული უძრავი ქონების განკარგვის თაობაზე:

1. სსიპ „ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის“ სარგებლობაში არსებული, ქ. თბილისში, ტატა (ტატიანა) თვალჭრელიძის ქ. N11-ში მდებარე უძრავი ქონებიდან (15653 კვ.მ. მიწის ფართი) 975 კვ.მ მიწის ნაკვეთის (ს/კ 01.14.16.008.024) საქართველოს საპატრიარქოსათვის პირდაპირი მიყიდვის ფორმით, სიმბოლურ ფასად 1 (ერთი) ლარად საკუთრებაში გადაცემის შესახებ, ეკლესიის მშენებლობის მიზნით.
2. ქ. თბილისში, უნივერსიტეტის ქ. N11-ში (ახალი მისამართი: უნივერსიტეტის ქ. N48) მდებარე, უნივერსიტეტის საკუთრებაში არსებული 90 767 კვ.მ არასასოფლოსამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ 01.14.06.006.116) სამ ნაწილად დაყოფისა და დაყოფის შედეგად 883 კვ.მ ფართის ადგილმონაცვლეობის (გაცვლის) შესახებ.
3. უნივერსიტეტის საკუთრებაში არსებული 1125 კვ.მ. მიწის ფართობის (საკადასტრო კოდი: 01.14.06.006.133) და 172 კვ.მ. ფართობის (საკადასტრო კოდი: 01.14.06.006.133), 10 (ათი) წლის ვადით იჯარის უფლებით გაცემის შესახებ.

აღნიშნული საკითხები განხილული იქნა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების დროებით სარგებლობაში გაცემისა და საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების გასხვისების საკითხების განმხილველი მუდმივმოქმედი კომისიის (სხდომის ოქმი 19.02.2026წ. კ/ნ N 3742/10 24.02.2026წ) მიერ და მიღებული იქნა დადებითი გადაწყვეტილება.

უნივერსიტეტის წესდების 47-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, წარმოგიდგენთ შესაბამის დოკუმენტაციას.

გთხოვთ, განიხილოთ და მიიღოთ გადაწყვეტილება დასმულ საკითხებთან დაკავშირებით.

პატივისცემით,

ილია ჭავჭავაძის გამზ. 1, 0179 თბილისი, საქართველო
1. Ilia Tchavtchavadze Ave., 0179 Tbilisi, Georgia
http://www.tsu.edu.ge
ტელ/ფაქსი: +(995 32) 222 35 01 Tel/Fax
ელ-ფოსტა: chancellery@tsu.ge; E-mail

ლაშა საღინაძე

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

# საკადასტრო აგეგმვითი / აზომვითი ნახაზი




სახელმწიფო გეოდეზიური კოორდინატთა სისტემა WGS_1984_UTM_Zone_38N

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| მისამართი: | ქალაქი თბილისი, უნივერსიტეტის ქუჩა, ნაკვეთი 06/020 | ფართობი: | | 65267 კვ.მ. |
| | | ხაზობრივი ნაგებობის ფაქტობრივი სიგრძე | | მეტრი |
| | | ხაზობრივი ნაგებობის გეგმარებითი სიგრძე | | მეტრი |
| დანიშნულება: | არასასოფლო-სამეურნეო | ხაზობრივი ნაგებობის წერტილოვანი ობიექტი | | რაოდენობა |
| ● წერტილი<br>ნაკვეთის ფიქსირებული საზღვარი<br>ნაკვეთის არაფიქსირებული საზღვარი<br>ვალდებულება<br>შენობა-ნაგებობა, მდგომარეობა<br>აშენებული<br>დანგრეული/ნანგრევი<br>მშენებარე<br>მიწისქვეშა | ხაზობრივი ნაგებობა<br>ხაზობრივი ნაგებობის წერტილოვანი ობიექტი | შპს "3D Research" ქ.თბილისი, შარტავას ქუჩა 45ა / მობ: 599146353 3DResearch3D@gmail.com | | |
| | | საკადასტრო აღწერაზე უფლებამოსილი პირი | 3. 65 | ვახტანგ ნაკაშიძე<br>01020003476 |
| | | დაინტერესებული პირი | | გიორგი მეგრელიშვილი<br>01030006742 |
| | | თარიღი: | | 18.09.2024 |
| | | შენიშვნა: აზომვითი ნახაზი შესრულებულია დამკვეთის მითითებით | | |

## საკადასტრო აგეგმვითი/აზომვითი ნახაზის ფორმის მეორე გვერდი

| მიწის ნაკვეთის/ნაზობრივი ნაგებობის მისამართი | ფართობი (კვ.მ) | დანიშნულება |
|---|---|---|
| ქალაქი თბილისი, უნივერსიტეტის ქუჩა, ნაკვეთი 06/020 | 65267 | არასასოფლო-სამეურნეო |

| შენობის № | დანიშნულება | მდგომარეობა (მშენებარე, აშენებული) | სართულიანობა | მოშენების ფართი |
|---|---|---|---|---|
| 01 | არასაცხოვრებელი | აშენებული | 2 | 5972 |
| 02 | არასაცხოვრებელი | აშენებული | 8 | 3990 |
| 03 | არასაცხოვრებელი | აშენებული | 1 | 166 |
| 04 | არასაცხოვრებელი | აშენებული | 1 | 564 |
| 05 | არასაცხოვრებელი | აშენებული | 2 | 2340 |
| 06 | | | | |
| 07 | | | | |
| 08 | | | | |
| 09 | | | | |
| 10 | | | | |

| უფლებრივი შეზღუდვის/ დატვირთვის საზღვრების აღწერა | ვალდებულების სახე | ფართობი (კვ.მ) |
|---|---|---|
| | | |

| ხაზობრივი ნაგებობის ტიპი | ხაზობრივი ნაგებობის ფაქტობრივი სიგრძე | ხაზობრივი ნაგებობის გეგმარებითი სიგრძე | ხაზობრივი ნაგებობის თანმდევი წერტილოვანი ობიექტის ტიპი და რაოდენობა |
|---|---|---|---|
| | | | |

| საკადასტრო აგეგმვითი / აზომვითი სამუშაოების შემსრულებელი ორგანიზაცია, საიდენტიფიკაციო მონაცემები და საკონტაქტო ინფორმაცია | შ.პ.ს. "3D Research"<br>საიდ.კოდი 400345079<br>ქ. თბილისი, ქ. შარტავას ქუჩა №45-1 კორპ.<br>მობ: +995 599 14-63-53 |
|---|---|

| საზღვარი | მოსაზღვრის აღწერა |
|---|---|
| A----------B | უნივერსიტეტის ქუჩა |
| B----------C | 01.14.06.006.169 |
| C----------D | 01.14.06.006.161 |
| D---------E | 01.14.06.006.117 |

| საკადასტრო აღწერაზე დამსწრე პირების სახელი გვარი | ხელმოწერა |
|---|---|
| ვახტანგ ნაკაშიძე | 3.65 |
| გიორგი მეგრელიშვილი | |

### საკადასტრო აზომვითი სამუშაოების შემსრულებელი პირის მონაცემები

| სახელი, გვარი | საიდ. მონაცემები | საკონტაქტო ინფორმაცია | ხელმოწერა |
|---|---|---|---|
| ვახტანგ ნაკაშიძე | 01020003476 | 599146353 | 3.65 |

| საკადასტრო აზომვის მეთოდოლოგია | დ.ვ. |
|---|---|

### დაინტერესებული პირის მონაცემები

| სახელი, გვარი | საიდ. მონაცემები | ხელმოწერა |
|---|---|---|
| გიორგი მეგრელიშვილი | 01030006742 | |

| აზომვის თარიღი |
|---|
| 18.09.2024 |

# საკადასტრო აგეგმვითი / აზომვითი ნახაზი




სახელმწიფო გეოდეზიური კოორდინატთა სისტემა WGS_1984_UTM_Zone_38N/37N

| | | | |
|---|---|---|---|
| მისამართი: | ქალაქი თბილისი, უნივერსიტეტის ქუჩა, ნაკვეთი 06/020 | ფართობი: | 24617 კვ.მ |
| | | ხაზობრივი ნაგებობის ფაქტობრივი სიგრძე | მეტრი |
| | | ხაზობრივი ნაგებობის გეგმარებითი სიგრძე | მეტრი |
| დანიშნულება: | არასასოფლო-სამეურნეო | ხაზობრივი ნაგებობის წერტილოვანი ობიექტი | რაოდენობა |

● წერტილი
ნაკვეთის ფიქსირებული საზღვარი
ნაკვეთის არაფიქსირებული საზღვარი
ვალდებულება

შენობა-ნაგებობა, მდგომარეობა
აშენებული
დანგრეული/ნანგრევი
მშენებარე
მიწისქვეშა

ხაზობრივი ნაგებობა
ხაზობრივი ნაგებობის წერტილოვანი ობიექტი

შპს "3D Research" 3DResearch3D@gmail.com
ქ.თბილისი, შარტავას ქუჩა 45ა / მობ: 599146353

| | | |
|---|---|---|
| საკადასტრო აღწერაზე უფლებამოსილი პირი | 3.65 | ვახტანგ ნაკაშიძე 01020003476 |
| დაინტერესებული პირი | | გიორგი მეგრელიშვილი 01030006742 |
| თარიღი: | | 18.09.2024 |

შენიშვნა: აზომვითი ნახაზი შესრულებულია დამკვეთის მითითებით

## საკადასტრო აგეგმვითი/აზომვითი ნახაზის ფორმის მეორე გვერდი

| მიწის ნაკვეთის/ხაზობრივი ნაგებობის მისამართი | ფართობი (კვ.მ) | დანიშნულება |
|---|---|---|
| ქალაქი თბილისი, უნივერსიტეტის ქუჩა, ნაკვეთი 06/020 | 24617 | არასასოფლო-სამეურნეო |

| შენობის № | დანიშნულება | მდგომარეობა (მშენებარე, აშენებული) | სართულიანობა | მოშენების ფართი |
|---|---|---|---|---|
| 01 | | | | |
| 02 | | | | |
| 03 | | | | |
| 04 | | | | |
| 05 | | | | |
| 06 | | | | |
| 07 | | | | |
| 08 | | | | |
| 09 | | | | |
| 10 | | | | |

| უფლებრივი შეზღუდვის/ დატვირთვის საზღვრების აღწერა | ვალდებულების სახე | ფართობი (კვ.მ) |
|---|---|---|
| | | |

| ხაზობრივი ნაგებობის ტიპი | ხაზობრივი ნაგებობის ფაქტობრივი სიგრძე | ხაზობრივი ნაგებობის გეგმარებითი სიგრძე | ხაზობრივი ნაგებობის თანმდევი წერტილოვანი ობიექტის ტიპი და რაოდენობა |
|---|---|---|---|
| | | | |

| საკადასტრო აგეგმვითი / აზომვითი სამუშაოების შემსრულებელი ორგანიზაცია, საიდენტიფიკაციო მონაცემები და საკონტაქტო ინფორმაცია | შ.პ.ს. "3D Research"<br>საიდ.კოდი 400345079<br>ქ. თბილისი, ყ. შარტავას ქუჩა №45-1 კორპ.<br>მობ: +995 599 14-63-53 |
|---|---|

| საზღვარი | მოსაზღვრის აღწერა |
|---|---|
| A----------B | 01.14.06.006.116 |
| B----------C | 01.14.06.006.161 |
| C----------D | 01.14.06.006.080 |
| D---------E | 01.14.06.008.386 |

| საკადასტრო აღწერაზე დამსწრე პირების სახელი გვარი | ხელმოწერა |
|---|---|
| ვახტანგ ნაკაშიძე | 3·6 |
| გიორგი მეგრელიშვილი | |

### საკადასტრო აზომვითი სამუშაოების შემსრულებელი პირის მონაცემები

| სახელი, გვარი | საიდ. მონაცემები | საკონტაქტო ინფორმაცია | ხელმოწერა |
|---|---|---|---|
| ვახტანგ ნაკაშიძე | 01020003476 | 599146353 | 3·6 |

| საკადასტრო აზომვის მეთოდოლოგია | დ.პ. |
|---|---|

### დაინტერესებული პირის მონაცემები

| სახელი, გვარი | საიდ. მონაცემები | ხელმოწერა |
|---|---|---|
| გიორგი მეგრელიშვილი | 01030006742 | |

| აზომვის თარიღი |
|---|
| 18.09.2024 |

# საკადასტრო აგეგმვითი / აზომვითი ნახაზი




სახელმწიფო გეოდეზიური კოორდინატთა სისტემა WGS_1984_UTM_Zone_38N/37N

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| მისამართი: | ქალაქი თბილისი, უნივერსიტეტის ქუჩა, ნაკვეთი 06/020 | ფართობი: | | 883 კვ.მ. |
| | | ხაზობრივი ნაგებობის ფაქტობრივი სიგრძე | | მეტრი |
| | | ხაზობრივი ნაგებობის გეგმარებითი სიგრძე | | მეტრი |
| დანიშნულება: | არასასოფლო-სამეურნეო | ხაზობრივი ნაგებობის წერტილოვანი ობიექტი | | რაოდენობა |
| ● წერტილი<br>ნაკვეთის ფიქსირებული საზღვარი<br>ნაკვეთის არაფიქსირებული საზღვარი<br>ვალდებულება<br>შენობა-ნაგებობა, მდგომარეობა<br>აშენებული<br>დანგრეული/ნანგრევი<br>მშენებარე<br>მიწისქვეშა<br>ხაზობრივი ნაგებობა<br>ხაზობრივი ნაგებობის წერტილოვანი ობიექტი | | შპს "3D Research" 3DResearch3D@gmail.com<br>ქ.თბილისი, შარტავას ქუჩა 45ა / მობ: 599146353 | | |
| | | საკადასტრო აღწერაზე უფლებამოსილი პირი | 3·65 | ვახტანგ ნაკაშაშვილი 01020003476 |
| | | დაინტერესებული პირი | | გიორგი მეგრელიშვილი 01030006742 |
| | | თარიღი: | | 18.09.2024 |
| | | შენიშვნა: აზომვითი ნახაზი შესრულებულია დამკვეთის მითითებით | | |

საკადასტრო აგეგმვითი/აზომვითი ნახაზის ფორმის მეორე გვერდი

| მიწის ნაკვეთის/ხაზობრივი ნაგებობის მისამართი | ფართობი (კვ.მ) | დანიშნულება |
|---|---|---|
| ქალაქი თბილისი, უნივერსიტეტის ქუჩა, ნაკვეთი 06/020 | 883 | არასასოფლო-სამეურნეო |

| შენობის № | დანიშნულება | მდგომარეობა (მშენებარე, აშენებული) | სართულიანობა | მოშენების ფართი |
|---|---|---|---|---|
| 01 | | | | |
| 02 | | | | |
| 03 | | | | |
| 04 | | | | |
| 05 | | | | |
| 06 | | | | |
| 07 | | | | |
| 08 | | | | |
| 09 | | | | |
| 10 | | | | |

| უფლებრივი შეზღუდვის/ დატვირთვის საზღვრების აღწერა | ვალდებულების სახე | ფართობი (კვ.მ) |
|---|---|---|
| | | |

| ხაზობრივი ნაგებობის ტიპი | ხაზობრივი ნაგებობის ფაქტობრივი სიგრძე | ხაზობრივი ნაგებობის გეგმარებითი სიგრძე | ხაზობრივი ნაგებობის თანმდევი წერტილოვანი ობიექტის ტიპი და რაოდენობა |
|---|---|---|---|
| | | | |

| | |
|---|---|
| საკადასტრო აგეგმვითი / აზომვითი სამუშაოების შემსრულებელი ორგანიზაცია, საიდენტიფიკაციო მონაცემები და საკონტაქტო ინფორმაცია | შ.პ.ს. "3D Research"<br>საიდ.კოდი 400345079<br>ქ. თბილისი, ყ. შარტავას ქუჩა №45-1 კორპ.<br>მობ: +995 599 14-63-53 |

| საზღვარი | მოსაზღვრის აღწერა |
|---|---|
| A----------B | 01.14.06.006.116 |
| B----------A | 01.14.06.008.386 |
| | |
| | |

| საკადასტრო აღწერაზე დამსწრე პირების სახელი გვარი | ხელმოწერა |
|---|---|
| ვახტანგ ნაკაშაშვილი | |
| გიორგი მეგრელიშვილი | |

საკადასტრო აზომვითი სამუშაოების შემსრულებელი პირის მონაცემები

| სახელი, გვარი | საიდ. მონაცემები | საკონტაქტო ინფორმაცია | ხელმოწერა |
|---|---|---|---|
| ვახტანგ ნაკაშაშვილი | 01020003476 | 599146353 | |

| | |
|---|---|
| საკადასტრო აზომვის მეთოდოლოგია | დ.ვ. |

დაინტერესებული პირის მონაცემები

| სახელი, გვარი | საიდ. მონაცემები | ხელმოწერა |
|---|---|---|
| გიორგი მეგრელიშვილი | 01030006742 | |

| აზომვის თარიღი |
|---|
| 18.09.2024 |

# ორთო




სახელმწიფო გეოდეზიური კოორდინატთა სისტემა WGS_1984_UTM_Zone_38N/37N

| მისამართი:<br>ქალაქი თბილისი, უნივერსიტეტის ქუჩა,<br>ნაკვეთი 06/020 ს/კ 01.14.06.006.116 | მიწის ნაკვეთის დანიშნულება<br>არასასოფლო-სამეურნეო | ფართობი<br>90767 კვ.მ |
|---|---|---|

# ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
# სსიპ ქონების მართვის სააგენტო

წერილის ნომერი: **61-01243031619**
თარიღი: **29/10/2024**

**ადრესატი:** ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
**საიდენტიფიკაციო ნომერი:** 204864548
**მისამართი:** საქართველო, თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, ილ. ჭავჭავაძის გამზირი, №1

ასლი:

**ადრესატი:** შპს აქტივების მართვისა და განვითარების კომპანია
**საიდენტიფიკაციო ნომერი:** 405007200
**მისამართი:** საქართველო, თბილისი, საბურთალოს რაიონი, კოსტავას ქუჩა, N 70

**ადრესატი:** სსიპ-სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო

გაცნობებთ, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოში (შემდგომში - „სააგენტო") 2024 წლის 10 სექტემბერს N74-01242541429 (რეგისტრირებული: N17-01242541932-61 – 10.09.2024წ.) წერილით წარედგინა შპს „ჰერმესის" მომართვა, რომელიც შეეხება N01.14.06.006.116 და N01.14.06.006.161 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებული უძრავი ქონების ფართობის უცვლელად კორექტირებას, შემდგომში გამოთავისუფლებული მიწის ნაკვეთის (882 კვ.მ მიწის ნაკვეთი) ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებად რეგისტრაციისა და საბურთალოს სასაფლაოს მიწის ნაკვეთის საზღვრებში მოქცევის მიზნით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, N01.14.06.006.116 საკადასტრო ერთეულის ნაწილის (882 კვ.მ მიწის ნაკვეთი) ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში გადმოცემის სანაცვლოდ, გთხოვთ, განიხილოთ თქვენს თანასაკუთრებაში არსებული N01.14.06.006.116 საკადასტრო ერთეულის ფართობის უცვლელად კორექტირება, შემდგომში N01.14.06.006.116 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული უძრავი ქონების ნაწილის (882 კვ.მ მიწის ნაკვეთის) ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებად რეგისტრაციის მიზნით.

ამასთან, დამატებით გაცნობებთ, რომ თქვენ მიერ მითითებული ღონისძიების განხორციელების მიზნით, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს მიერ ფართობის უცვლელად დაკორექტირდა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული N01.14.06.006.161 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული უძრავი ქონება.

დანართი: 3 (სამი) ფურცელი და SHP ფაილი.

ირაკლი თავართქილაძე

სააგენტოს უფროსი

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
405026877

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

საქართველო, თბილისი, 0160, ქ. შარტავას ქ. N7, (+995 32) 2 72 22 22

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
შ.პ.ს. "ჰერმესი"

TBILISI MUNICIPALITY CITY HALL
"HERMES" L.LC.

წერილის ნომერი: **74-01242541429**
თარიღი: **10/09/2024**

**ადრესატი:** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ ქონების მართვის სააგენტო
**მისამართი:** შარტავას ქ. 7

ქონების მართვის სააგენტოს უფროსს
ბატონ ირაკლი თავართქილაძეს

ბატონო ირაკლი,

გაცნობებთ, რომ საბურთალოს საქალაქო სასაფლაოს (საკ. კოდი:01.14.06.008.386) წითელ ხაზებს გარეთ მოწყობილია საფლავები (გთხოვთ იხილოთ თანდართულ ორთოფოტოზე ყვითელი ფერით აღნიშნული ტერიტორია 882 კვ.მ.), რომელიც ამჟამად მდებარეობს სსიპ ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკ. კოდი: 01.14.06.006.116).

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოგმართავთ განცხადებით, წარმოგიდგენთ სათანადო ელ. ფაილებს და გთხოვთ, მიიღოთ შესაბამისი ზომები აღნიშნული მიწის ნაკვეთის (882 კვ.მ.) ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრაციის თაობაზე, რათა შემდგომში ეს მიწის ნაკვეთი შეუერთდეს საბურთალოს საქალაქო სასაფლაოს წითელ ხაზებს. აღსანიშნავია რომ აღნიშნული მოთხოვნით მოგმართეთ 74-01232863029 წერილით, სადაც მითითებული იყო 523 კვ.მ. ფართის თაობაზე, რაც ამჟამად დაკორექტირდა და დაზუსტდა 882 კვ.მ.ფართით. გთხოვთ არ განიხილოთ არსებული 74-01232863029 წერილი და იხელმძღვანელოთ ახალი წარმოდგენილი კორექტირებული ნახაზით.

დანართი: ორთო-ფოტო და ელ. ფაილები.

ნოდარ რაზმაძე

შპს "ჰერმესი"-დირექტორი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

სოფელი დიღომი, მოციქულთა სწორი ნინოს ქუჩა N2ა, თბილისი 0159, ს/კ 202888349
VILLAGE DIGOMI,MOTSIKULTA TSRSORI NINOSTREET 2A TBILISI 0159, (995 32) 2 21 21 84 (995 32) 2 21 25 84


01.14.06.008-38
582

საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
LEGAL ENTITY OF PUBLIC LAW –
IVANE JAVAKHISHVILI TBILISI STATE UNIVERSITY

N 19639/02-80-03

10/10/2024

19639-02-80-03-2-
202410101255

# მინდობილობა

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (შემდგომში - ,,უნივერსიტეტი“) უფლებამოსილებას ანიჭებს უნივერსიტეტის მატერიალური რესურსების მართვის დეპარტამენტის, აქტივების მართვის, ჩამოწერის და განკარგვის განყოფილების უფროსს ზვიად სოფრომაძეს (საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობის პირადი N: 01011049208) მასზედ, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში, მერიის შესაბამის სამსახურებში და სსიპ-ქალაქ თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოში, უნივერსიტეტის სახელით შეასრულოს ყველა ის მოქმედება (ხელი მოაწეროს საჭირო დოკუმენტს - ხელშეკრულება, მიღებაჩაბარების აქტი, განაცხადი და ა.შ.) ქ. თბილისში, უნივერსიტეტის ქუჩაზე მდებარე (ნაკვეთი 06/020) სსიპ - „ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის“ საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი 01.14.06.006.116) - 90767.00 კვ. მ. მიწის ნაკვეთის სამ ნაწილად დაყოფასა და გამიჯვნასთან დაკავშირებით, ვადით 2024 წლის 31 დეკემბრამდე.

ლაშა საღინაძე

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ QUALIFIED ELECTRONIC SIGNATURE

ილია ჭავჭავაძის გამზ. 1, 0179 თბილისი, საქართველო
1, Ilia Tchavtchavadze Ave., 0179 Tbilisi, Georgia
http://www.tsu.edu.ge
ტელეფონი: +(995 32) 222 02 41 Tel.
ფაქსი: +(995 32) 222 51 07 Fax.
ელ-ფოსტა: rector@tsu.ge; chancellery@tsu.ge E-mail

# ᲥᲐᲚᲐᲥ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲛᲣᲜᲘᲪᲘᲞᲐᲚᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲡᲐᲯᲐᲠᲝ ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲘᲡ ᲘᲣᲠᲘᲓᲘᲣᲚᲘ ᲞᲘᲠᲘ – ᲥᲐᲚᲐᲥ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲛᲣᲜᲘᲪᲘᲞᲐᲚᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲢᲠᲐᲜᲡᲞᲝᲠᲢᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲣᲠᲑᲐᲜᲣᲚᲘ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲐᲒᲔᲜᲢᲝ

წერილის ნომერი: **01242841824-67**
თარიღი: **10/10/2024**

განმცხადებელი (დაინტერესებული პირი)

**განმცხადებელი:** ზვიად სოფრომაძე
**პირადი ნომერი:** 01011049208
**მისამართი:** საქართველო, ქალაქი თბილისი, მოსკოვის გამზირი, N 5, ბინა 34

---

განცხადება/ნომენკლატურა

სამსახურის პოზიცია ნაკვეთის გამიჯვნა/გაერთიანების, მისასვლელი გზისა და შეძენა ან/და იჯარის შესახებ სამსახურის პოზიცია მიწის ნაკვეთის გამიჯვნა/გაერთიანების შესახებ /

---

მოთხოვნის ტექსტი

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (შემდგომში - „უნივერსიტეტი“), გაცნობებთ, რომ ქ. თბილისში, უნივერსიტეტის ქუჩა N11-ში მდებარე (საკადასტრო კოდი: 01. 14. 06. 006. 116), უნივერსიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული უძრავი ქონების მიწის ნაკვეთის გამიჯვნისა და დაყოფის მიზნით შესრულებული და მომზადებული იქნა საკადასტრო აგეგმვითი/აზომვითი ნახაზები. კერძოდ, აღნიშნული საკადასტრო კოდით დაფიქსირებული არსასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, დაზუსტებული ფართობით 90767. 00 კვ. მ. დაყოფილი იქნა სამ ნაკვეთად: N1 ნაკვეთი: 65267 კვმ. ; N2 ნაკვეთი: 24617 კვ. მ; N3 ნაკვეთი 883 კვ. მ. მოგმართავთ თხოვნით, წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე მიიღოთ გადაწყვეტილება და მოახდინოთ N01. 14. 06. 006. 116 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის სამ მიწის ნაკვეთად დაყოფა.

---

# ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო

წერილის ნომერი: **16-01242843358**
გაცემის თარიღი: **11/11/2024**

**ადრესატი:** ზვიად სოფრომაძე
**პირადი ნომერი:** 01011049208
**მისამართი:** საქართველო, ქალაქი თბილისი, მოსკოვის გამზირი, N 5, ბინა 34

ბატონო ზვიად,

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტომ განიხილა, თქვენი 10.10.2024 წლის №01242841824-67 განცხადება, რომლითაც ითხოვთ სააგენტოს პოზიციას, მიწის ნაკვეთის (ს/კ №01.14.06.006.116) გამიჯვნასთან დაკავშირებით.

პასუხად გაცნობებთ, რომ ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს, შესაძლებლად მიაჩნია გასცეს დადებითი ქალაქგეგმარებითი პოზიცია, თქვენს მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად, მიწის ნაკვეთის (ს/კ №01.14.06.006.116) გამიჯვნასთან დაკავშირებით.

გადაწყვეტილების გასაჩივრება დაინტერესებული მხარის მიერ, შესაძლებელია მისთვის გადაწყვეტილების გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მისამართი: ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. №7) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ვიქტორ წილოსანი

სააგენტოს უფროსი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ადმინისტრაციის ხელმძღვანელი

N 5462/10 16.03.2026

სსიპ „ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის“ წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერს,
ბატონ ვლადიმერ მარგველაშვილს

ბატონო ვლადიმერ,

წარმოგიდგენთ სსიპ „ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში“ შემოსულ განცხადებებს, უნივერსიტეტის საკუთრებაში/სარგებლობაში არსებული უძრავი ქონების განკარგვის თაობაზე:

1. სსიპ „ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის“ სარგებლობაში არსებული, ქ. თბილისში, ტატა (ტატიანა) თვალჭრელიძის ქ. N11-ში მდებარე უძრავი ქონებიდან (15653 კვ.მ. მიწის ფართი) 975 კვ.მ მიწის ნაკვეთის (ს/კ 01.14.16.008.024) საქართველოს საპატრიარქოსათვის პირდაპირი მიყიდვის ფორმით, სიმბოლურ ფასად 1 (ერთი) ლარად საკუთრებაში გადაცემის შესახებ, ეკლესიის მშენებლობის მიზნით.
2. ქ. თბილისში, უნივერსიტეტის ქ. N11-ში (ახალი მისამართი: უნივერსიტეტის ქ. N48) მდებარე, უნივერსიტეტის საკუთრებაში არსებული 90 767 კვ.მ არასასოფლოსამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ 01.14.06.006.116) სამ ნაწილად დაყოფისა და დაყოფის შედეგად 883 კვ.მ ფართის ადგილმონაცვლეობის (გაცვლის) შესახებ.
3. უნივერსიტეტის საკუთრებაში არსებული 1125 კვ.მ. მიწის ფართობის (საკადასტრო კოდი: 01.14.06.006.133) და 172 კვ.მ. ფართობის (საკადასტრო კოდი: 01.14.06.006.133), 10 (ათი) წლის ვადით იჯარის უფლებით გაცემის შესახებ.

აღნიშნული საკითხები განხილული იქნა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების დროებით სარგებლობაში გაცემისა და საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების გასხვისების საკითხების განმხილველი მუდმივმოქმედი კომისიის (სხდომის ოქმი 19.02.2026წ. კ/ნ N 3742/10 24.02.2026წ) მიერ და მიღებული იქნა დადებითი გადაწყვეტილება.

უნივერსიტეტის წესდების 47-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, წარმოგიდგენთ შესაბამის დოკუმენტაციას.

გთხოვთ, განიხილოთ და მიიღოთ გადაწყვეტილება დასმულ საკითხებთან დაკავშირებით.

პატივისცემით,

ილია ჭავჭავაძის გამზ. 1, 0179 თბილისი, საქართველო
1, Ilia Tchavtchavadze Ave., 0179 Tbilisi, Georgia
http://www.tsu.edu.ge
ტელ/ფაქსი: +(995 32) 222 35 01 Tel/Fax
ელ-ფოსტა: chancellery@tsu.ge; E-mail

ლაშა საღინაძე

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სსიპ „ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის

სახელმწიფო უნივერსიტეტის“ ადმინისტრაციის

ხელმძღვანელს ბატონ ლაშა საღინაძეს

ბატონო ლაშა,

გაცნობებთ, რომ ჩვენ კომპანიას, შპს „დოტ77“, იჯარის წესით აღებული აქვს უნივერსიტეტის საკუთრებაში არსებული, უნივერსიტეტის ქ. #50-ში მდებარე უძრავი ქონებიდან (საკადასტრო კოდი: 01.14.06.006.133), შენობის ნულოვან სართულზე მდებარე 455 კვ.მ. ფართი, 10 წლის ვადით, შესაბამისი პირობებით და გაფორმებულია საიჯარო ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც აღნიშნულ ფართში გათვალისწინებულია სპორტული სროლის შემსწავლელი სივრცის (ტირის) მოწყობა.

იმისათვის, რომ მოხდეს საიჯარო ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების ჯეროვნად შესრულება საჭიროა საქმიანობისთვის შესაბამისი ლიცენზიის მიღება. ლიცენზიის აღებისთვის გამოიკვეთა დამატებითი მოთხოვნები კომპანიის ძირითადი საქმიანობის უსაფრთხოების კუთხით.

აღნიშნულიდან გამომდინარე უნივერსიტეტის წინაშე დავსვით საკითხი 2025 წლის პირველი სექტემბრის #14214/10-02 წერილით, რომელშიც ვითხოვდით უნივერსიტეტის საკუთრებაში არსებული, უნივერსიტეტის ქ. #50-ში მდებარე უძრავი ქონებიდან (საკადასტრო კოდი: 01.14.06.006.133), შენობის ნულოვან სართულზე მდებარე 172 კვ.მ. ფართის და 1125 კვ.მ. მიწის ფართის იჯარით, 10 წლის ვადით გადმოცემას, სადაც მოეწყობა ტირთან დამოუკიდებელი შესასვლელი, ვიზიტორები ხელს არ შეუშლიან სასწავლო პროცესს და ობიექტი იფუნქციონირებს უსაფრთხოების ყველა სტანდარტის დაცვით. ამასთან, მოხდება ტერიტორიის კეთილმოწყობა უსასყიდლოდ და უპირატესად მოემსახურება უნივერსიტეტის სტუდენტებს და აკადემიურ პერსონალს.

უნივერსიტეტის შესაბამის სამსახურებთან გავლილი კონსულტაციების და ინტერესების შეჯერების შემდეგ ვაზუსტებთ ჩვენს თხოვნას და გაცნობებთ, რომ მოხდა ფართების დაზუსტება კერძოდ ნულოვან სართულზე იჯარით გასაცემი ფართის რაოდენობა შეადგენს 172 კვ.მ-ს, ხოლო მიწის ფართის ოდენობა 1125 კვ.მ-ს, ამასთან ჩვენს მიერ უსასყიდლოდ განხორციელდება თქვენს მიერ მითითებული ორი ფართის გარემონტება და ეზოს უკანა მხრიდან მოხდება დამოუკიდებელი შესასვლელის მოწყობა.

პატივისცემით,

ზურაბ გელაძე

შპს „დოტ77“ ს/კ 405739562

ტელ.: 598238088


სართული
1
34.83 m²
26.11 m²
13.11 m²
26.28 m²
H=3.75 მ.
270.84 m²
H=2.42 მ.
6.83 m²
6.79 m²
6.41 m²
6.74 m²
13.53 m²
H=3.27 მ.
80.94 m²
H=2.40 მ.
24.10 m²
14.93 m²
74.33 m²
H=4.38 მ.
21.29 m²
H=2.47 მ.
9.05 m²
12.07 m²
H=2.82 მ.
21.11 m²
H=2.52 მ.
21.12 m²
31.63 m²
129.90 m²
121.69 m²
H=1.27 მ.
ანტრესოლი
H=2.59 მ.


625 კვ.მ.
02/4
500 კვ.მ.
04/4
05/5

# საკადასტრო გეგმა

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

საკადასტრო კოდი: **01.14.06.006.133**

ნაკვეთის დანიშნულება: **არასასოფლო სამეურნეო**

განცხადების ნომერი: **882021433511**

ფართობი: **58192 კვ.მ (WGS 84 / UTM zone 38N)**

მომზადების თარიღი: **19/06/2021**




კოორდინატთა სისტემა: WGS 84 / UTM zone 38N

მასშტაბი 1:3200

20 40 60

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 05/25 | მშენებარე ნაგებობა | 05/25 | შენობა/ნაგებობა | | ტყის ფონდი |
| | ნაკვეთის საკადასტრო საზღვარი | | ხაზობრივი ნაგებობა | | ვალდებულება |